

ფილოლოგიის

შესაძრევლობები

ტექსტუალური შეფუძნების დინამიკა



კანს ულრის გუმბრესტი



ჰანს ულრის გუმბრესტი

# ფილოლოგიის შესაკლებლობები

ტექსტუალური შემცნების დინამიკა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი 2010

ფილოლოგიის შესაძლებლობები. ჰანს ულრიხ გუმბრეხტი  
The Powers of Philology: Dynamics of Textual Scholarship. Hans Ulrich Gumbrecht

*ეს გახლავთ ცნობილი თეორეტიკოსის საინტერესო კვლევა მზარდი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე. წარმოდგენილი ესეები ფილოლოგიური პრობლემების მთელ გამას მოიცავს - ყველაფერს, რაც ლიტერატურის შემსწავლელ სტუდენტს შეიძლება აინტერესებდეს.*

ნიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით – „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“. ნიგნი გამოსაცემად მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

The Powers of Philology: Dynamics of Textual Scholarship  
© 2003 by Board of Trustees of the University of Illinois  
Reprinted by arrangement with the University of Illinois Press  
Georgian copyright Publishing House at Ilia Chavchavadze State University

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია **University of Illinois Press-ის** ნებართვის გარეშე ნიგნის რომელიმე ნაწილის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. ქართულ ენაზე გამოიცა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საავტორო უფლება © 2007.

ISBN 978-9941-9116-5-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი 0162, საქართველო  
Ilia State University Press  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## სარჩევი

მადლიერების ნიშნად 5

რა შესაძლებლობები აქვს ფილოლოგიას? 6

1. ფრაგმენტების იდენტიფიკაცია 14

2. ტექსტების რედაქტირება 29

3. კომენტარების დართვა 45

4. ისტორიზაცია 56

5. სწავლება 69

ინდექსი 88



რატომ უნდა გაატაროს უმაღლესი განათლების ფილოლოგმა ათი წელი მკვდარ ენაზე დაწერილი გაუგებარი ტექსტის კრიტიკული გამოცემის მომზადებაში? რატომ უთმობენ აკადემიკოსები წვრილმანი დეტალების განხილვას ამდენ დროს? რის საფუძველზე წყვეტენ გამომცემლები, რომელი უძველესი ტექსტი უნდა „გადაარჩინონ“ და როგორ წარუდგინონ ის თანამედროვე მკითხველს?

ფილოლოგია – ისტორიული ტექსტების აღმოჩენა, გამოქვეყნება და პრეზენტაცია – ოდესღაც მკაფიოდ გამოკვეთილი დისციპლინა იყო, რომელიც ლინგვისტიკისა და ლიტერატურის სფეროს, სტუდენტთა სწავლების ბირთვს წარმოადგენდა. მიუხედავად თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფილოლოგიური განყოფილებების დახურვის ტენდენციისა, ამ წიგნში ჰანს ულრიხ გუმბრეხტმა სცადა ეჩვენებინა, რომ ფილოლოგიის პრობლემები, სტანდარტები და მეთოდები ჯერაც სიცოცხლისუნარიანია.

ორნახევარი ათასწლეულის განმავლობაში ფილოლოგები თავს ტექსტუალური წარსულის საუკეთესო პერიოდის მცველებად და მოკრძალებულ მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. აგროვებდნენ და აქვეყნებდნენ ტექსტის ფრაგმენტებს, ალაგებდნენ ქრონოლოგიურად, უკეთებდნენ კომენტარს და ბოლოს, ასწავლიდნენ მათ თანამედროვე მკითხველებს. გუმბრეხტი ითხოვს აღნიშნული ტრადიციის დაბრუნებას და იმ ტენდენციის ჩასანაცვლებლად, რომელიც გულისხმობს ზედაპირულ ტექსტუალურ ინტერპრეტაციას, ლიტერატურული სწავლების „კულტურულ სწავლებად“ მიჩნევას და ქმნის ინტელექტუალური კერის დაკარგვის საფრთხეს. ფილოლოგიის ბაზისთან ამგვარი დაბრუნება შესაძლოა საფუძველად დაედოს კიდევ ერთ აკადემიურ ნოსტალგიას, თუ ის გაითვალისწინებს იმ ფარულ სურვილს, რომელიც წარმოადგენდა ფილოლოგიის შთაგონებას ჯერ კიდევ ელინური საწყისებში: წარსულის ანმყოფ ქცევის სურვილს მისი გაცოცხლების გზით.

ჰანს გუმბრეხტი წარმოადგენს ალბერტ გერარდის პროფესორს ლიტერატურაში, სტენფორდის უნივერსიტეტში, შედარებითი ლიტერატურის განყოფილების ასოცირებულ პროფესორს მონრეალის უნივერსიტეტში და გაერთიანებული სწავლების დირექტორს პარიზის უმაღლესი სწავლების სკოლაში. მისი ოთხასზე მეტი ნაშრომი თარგმნილია 17 ენაზე.

## მადლიერების ნიშნად

ეს წიგნი არასოდეს გახდებოდა რეალობა, არასოდეს იქცეოდა თუნდაც ყველაზე ბუნდოვან ინტელექტუალურ პროექტად, რომ არა ჩემი მეგობრის – გლენ მოსტის ნდობა და ოპტიმიზმი; არასოდეს ჩამოყალიბებოდა თუნდაც არათანმიმდევრულ ესსეთა სერიებად, რომ არა ჩემს სტენფორდულ ოფისში მიმდინარე ინტენსიური საუბრები, რომლებსაც უზარმაზარი დრო დაუთმეს მიგელ ტემენმა და ჯოშუა ლანდიმ; ხოლო ეს არათანმიმდევრული ესსეები არასოდეს მიიღებდა წიგნის სახეს უილის რეგიერის, ტრინა მარმარელისა და ვალდეი ლოპეს დე არაუხოს მხარდაჭერის გარეშე. დაბოლოს, მე ალბათ არასოდეს ვცდიდი ფილოლოგიის ამ თემაზე მუშაობას, რომ არ ვიყო უდიდესი კლასიკოსის – მანფრედ ფურმენის მხურვალე თაყვანისმცემელი და სტუდენტი 1970-იანი წლების დასაწყისიდან და ასევე უდიდესი ფილოლოგის – კარლ მაუერის კოლეგა 1975 წლიდან.

ვიმედოვნებ, სარა ამ გვერდებს ისე წაიკითხავს, როგორც მორიგ ღია ბარათს.

## რა შესაძლებლობები აქვს ფილოლოგიას?

მე ალბათ ამას ბოლომდე ვერასოდეს გავიგებდი მთელი რიგი მიზეზების გამო. დედაჩემი, რომელიც მედიცინას სწავლობდა, მუდამ ჯიუტად ხმარობდა გერმანულ სიტყვა ფილოლოგს (*philologe*) როცა საუბრობდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებზე. მაგრამ დედაჩემის ექსცენტრიულ-სემანტიკური „შემოქმედება“ დიდად არ განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რომელსაც ჩემი ზოგიერთი კომპეტენტური ამერიკელი კოლეგა სიტყვა **ფილოლოგს** ანიჭებს, როცა ეხება გერმანული ტრადიციის ისეთ დიდ წინამორბედებს, როგორებიც არიან ერნსტ რობერტ კურტიუსი, ლეო სპიტზერი და ერის აუერბახი. აღნიშნულ გამოჩენილ სწავლულთაგან არცერთს მიუღწევია წარმატებისთვის იმ საქმიანობაში, რომელსაც სიტყვა **ფილოლოგია** გულისხმობს. ერნსტ კურტიუსის აკადემიურ რეპუტაციას საფუძველი ჩაეყარა 1920-იან წლებში, როცა ის თანამედროვე ფრანგული და ესპანური ლიტერატურის ცნობილ სპეციალისტად მიიჩნეოდა. მხოლოდ შემდეგ, 1930-იან წლებში მან კონცენტრირება დაიწყო შუა საუკუნეების პოეტოლოგიურ იდეებსა და ლიტერატურულ ფორმებზე. მე-20 საუკუნის პირველი ორი დეკადის განმავლობაში ლეო სპიტზერი განათლებას ღებულობდა როგორც ისტორიული ლინგვისტი, მაგრამ შემდეგ მან აირჩია იმანენტური ტექსტის ინტერპრეტაციის მაღალსუბიექტური სტილი (რომლის ძირითად მახასიათებელსაც ე.წ. „გაცოცხლებული გამოცდილება“ წარმოადგენდა). ერის აუერბახი კი, რომელმაც დამოუკიდებლად დაუდო სათავე ახალ დისკურსს ლიტერატურის ისტორიაში, საკმაოდ სუსტი იყო ფილოლოგიის ელემენტარულ საწყისებში.<sup>1</sup> არც კურტიუსს,

1. იხ. წიგნი *Vom Leben und Sterben der großen Romanisten: Carl Vossler, Ernst Robert Curtius, Leo Spitzer, Erich Auerbach, Warner Krauss* (მიუნხი: ჰანსერი, 2002). აუერბახის ესეს ორიგინალი ინგლისური ვერსია დაიბეჭდა გამოცემაში: „**ლიტერატურის ისტორია და ფილოლოგიის გამოწვევა**“: **ერის აუერბახის მემკვიდრეობა**, გამომც. „სეთ ლერი“ (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1996), 13-35. მე შევეხე ლიტერატურის სწავლულების იგივე თაობის სუბიექტურ და ინსტიტუციონალურ მოტივაციას ნაშრომში „**ლიტერატურის ისტორიკოსები – საიდან მოდის მათი მოტივაცია?**“, გამოცემაში „*Poetologische Umbrüche*“: *Romanistische Studien zu Ehreb von Ulrich Schulz-Buschhaus*, გამომც. ვერნერ ჰელმიხი, ჰელმუტ მეტერი და ასტრიდ პოიერბერნჰარდი (მიუნხი: ფინკი, 2002), 399-404.



არც სპიტზერს და არც აუერბახს განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ როგორც ტექსტის რედაქტორებს ან ისტორიული ქრონიკების ავტორებს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია ზოგიერთი ჩემი ამერიკელი კოლეგის მიერ, ლამის დედაჩემისეული სიჯიუტით, მათი „ფილოლოგებად“ მოხსენიება. ვფიქრობ, აქ თავის როლს თამაშობს ლიტერატურულ წარსულზე მუშაობის გერმანულ სტილსა და ანგლო-ამერიკული კრიტიკის ინტერპრეტაციულ ტრადიციას შორის არსებულ განსხვავებაზე ერთგვარი გაუცნობიერებელი რეაქცია. კურტიუსის, სპიტზერისა და აუერბახის ნაშრომები, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განსხვავდება არნოლდის, რიჩარდსის ან სინგლტონის ნაშრომებისაგან, მაგრამ ეს განსხვავება საკმარისი არ იქნებოდა, რომ ყოფილი სწავლულებისთვის ფილოლოგები გვენოდებინა.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ჩემ მიერ სიტყვა *ფილოლოგიის* ხმარების ორი მაგალითის მოყვანა მიზნად ისახავდა ეჩვენებინა მართალია გასაოცარი, მაგრამ უტყუარი ფაქტი, რომ ეს კონცეფცია, რომელიც თითქოს განწირულია მეტისმეტად მარტივი და არაეფექტური ფუნქციონირებისთვის, ხშირად პოულობს უამრავ დამაბნეველ მნიშვნელობასა და გამოყენებას. არც ზოგადი თუ სპეციალიზებული ენციკლოპედიებისა და სხვადასხვა ცნობარის გამოყენება დაგვეხმარება ცოტაოდენი სიცხადის შეტანაში. ერთი მხრივ, შეიძლება ნააწყდეთ *ფილოლოგიის* ისეთ დეფინიციას, რომელიც გვაბრუნებს მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთან – „სიტყვებით დაინტერესება, გატაცება“ – რაც აღნიშნულ ცნებას აიგივებს ენის ან კიდევ, უფრო ზოგადად, ადამიანის სულიერების ნებისმიერი შედეგის შესწავლასთან.<sup>2</sup> მეორე მხრივ, არსებობს უფრო სპეციფიკური და გაცილებით ცნობილი მხარე, რომლის მიხედვითაც ფილოლოგია ვინრო გაგებით აღნიშნავს ისტორიული წერილობითი ტექსტების დაცვას.

ჩემს წიგნში სიტყვა *ფილოლოგია* გამოიყენება მხოლოდ მეორე მნიშვნელობით და აუცილებლად გულისხმობს იმ სამეცნიერო უნარს, რომელიც მიმართულია ისტორიული ტექსტების დაცვისაკენ. ამ კონცეფციას გააჩნია ოთხი ძირითადი დატვირთვა, რომელთა მოკლე განხილვაც, ვფიქრობ, აუცილებელია. პირველი, ფილოლოგია ერთგვარად ენათესავება იმ ისტორიულ პერიოდებს, რომ-

2. იხ. *Oxford English Dictionary*, *ფილოლოგი*: „სწავლის, ლიტერატურის, წერილებისა ან მეცნიერების მოყვარული; განსწავლული ან ლიტერატურული ადამიანი.“

ლებიც მოსდევდნენ დიდ კულტურულ აღმასვლას და რომელთაც ახასიათებდათ წარსული კულტურისთვის უპირატესობის მინიჭება ანმეოსთან შედარებით. შემთხვევითი არაა, რომ ძველი ნელთაღრიცხვის III-II საუკუნეების ელინისტური კულტურა საფუძვლად დაედო ფილოლოგიის, როგორც სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას (აღსანიშნავია, რომ პლატონი იგივე სიტყვას ყბედობის მნიშვნელობით ხმარობდა). იმავე ლოგიკით ფილოლოგიის ისტორიაში გამოიყოფა შემდეგი მომენტები: საეკლესიო მამათა პერიოდი, ევროპული რენესანსი, როცა ჰუმანისტებს სურდათ უძველეს კლასიკურ ტექსტებს დაბრუნებოდნენ და მე-19 საუკუნის რომანტიზმი შუა საუკუნეების ნოსტალგიით. მეორე, ტექსტუალური წარსულით უბრალო გატაცებისაგან გამოცალკევების შემდეგ ფილოლოგიის ძირითად ამოცანად იქცა კულტურული წარსულის თითოეული პერიოდის ტექსტების იდენტიფიკაცია და აღდგენა განსახილველად გამოტანის მიზნით.<sup>3</sup> სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმება აგრეთვე იდენტიფიკაცია იმ ტექსტებისა, რომელთაც ჩვენამდე სრულად ვერ მოაღწიეს; სრული დოკუმენტაცია ტექსტებისა, რომელთა რამდენიმე განსხვავებული ვერსია არსებობს, მათი სრული სიმრავლის ან ერთი, ორიგინალური ან ყველაზე ღირებული ვერსიის წარდგენა; იმ კომენტარით უზრუნველყოფა, რომელიც ერთგვარ ხიდს გადებდა თანამედროვე მკითხველის ცოდნასა და ისტორიული მკითხველის იმ ცოდნას შორის, რომელსაც შესაძლოა აღნიშნული ტექსტი ითხოვდეს. ფრაგმენტების იდენტიფიკაცია, ტექსტების რედაქტირება და ისტორიული კომენტარის დაწერა ფილოლოგიის სამ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. აღნიშნულ საქმიანობებთან და მათი განხორციელებისათვის აუცილებელ ფილოლოგიურ უნართან ერთად უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს შორის განსხვავებების ზედმიწევნითი ცოდნა, რაც ტექსტის დათარიღების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. დაბოლოს, ფილოლოგის ყველა ეს აუცილებელი უნარი მოიცავს კიდევ ერთს – წარსულის ტექსტებისა და კულტურის სწავლების ინსტიტუციურ კონტექსტში გამოყენებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფილოლოგია წარმოუდგენელია პედაგოგიური მიზნებისა და ისტორიის სულ მცირე ელემენტარული ცოდნის გარეშე.

3. იხ. ძირითადი დეფინიცია ნიგნში *Gran Enciclopedia RIALP* (მადრიდი, გამომცემლობა RIALP, 1972), *ფილოლოგია*.

მესამე, წარსულის ტექსტების იდენტიფიცირება და აღდგენა – რაც ამ წიგნის მიხედვით ფილოლოგიის არსს წარმოადგენს – ერთმანეთს უპირისპირებს ჰერმენევტიკის ინტელექტუალურ ნაწილსა და ინტერპრეტაციის ტექსტუალურ საქმიანობას, რომელსაც ჰერმენევტიკა მოიცავს.<sup>4</sup> ახალი კრიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნება შთაგონებას და დიდი ინტერპრეტატორების ინტუიციას, ფილოლოგია საკუთარ თავს განიხილავს, როგორც მტკიცე სწავლებას, დაფუძნებულს ობიექტურობაზე, სიფხიზლესა და რაციონალურობაზე.<sup>5</sup> მეოთხე, რაც გამომდინარეობს ყოველივე ზემოქმულიდან, ასეთი სწავლება და კომპეტენცია თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან და ხშირად უმთავრეს როლს იმ დისციპლინებში, რომელთაც საქმე აქვთ წარსულის ქრონოლოგიურად და კულტურულად დაშორებულ სეგმენტებთან (თუ ჩვენ ხელთ გვაქვს თუნდაც მცირე კვალი და მას მივყავართ წარსულის ამა თუ იმ მონაკვეთთან). ამგვარად, ფილოლოგია ძალზე მნიშვნელოვანია ასირიოლოგიისა და ეგვიპტოლოგიისთვის და კლასიციისტების უმეტესობა მას თავის ძირითად კომპეტენციადაც მიიჩნევს. უფრო მეტიც, რომანტიზმის პერიოდიდან, ფილოლოგია გამოიყენებოდა შუა საუკუნეების ტექსტების აღსადგენად როგორც სხვადასხვა ეროვნულ-კულტურული ტრადიციების წარმომავლობის საყარაუდო კონტექსტი.

❧ ❧ ❧ მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი სამეცნიერო ცხოვრება დავიწყე როგორც შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტმა, რაც ერთგვარად ენათესავება კიდევ ფილოლოგიურ ტრადიციებს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს ვიფიქრებდი „ფილოლოგიის ძალის“ შესახებ წიგნის დაწერაზე ყოველგვარი ინტელექტუალური გამოწვევის გარეშე, რომ არა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში 1995 და 1999 წლებს შორის მიმდინარე ის ხუთი საუბარი, რომელზეც ჩემმა უძვირფასესმა მეგობარმა, კლასიციისტმა გლენ მოსტმა მიმიწვია. ეს იყო სწორედ მოსტის პროექტი, დაგვემუშავებინა მისი საკუთარი აკადემიური დისციპლინა – კლასიკის ისტორია – ხუთი ძირითადი ფილოლოგიური საქმიანობის გამოყენებით: ფრაგმენტების იდენტი-

4. იხ. *Grande Dizionario Enciclopedico* (ტურინი: UTET, 1987), **ფილოლოგია**: „ზღვარი ფილოლოგიასა და ინტერპრეტაციას შორის ვინაობა, მაგრამ ნათელი.“  
 5. იხ. კარლ უიტი, „ფილოლოგია“, **ჯონ ჰოპკინსის სახელმძღვანელო ლიტერატურულ თეორიასა და კრიტიკაში**, გამომც. მაიკლ გროდენი და მარტინ კრეისვირტი (ბალტიმორი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამოცემა, 1994), 56773.

ფიცირებით, ტექსტების რედაქტირებით, კომენტარის გაკეთებით, ისტორიზაციით და სწავლებით. რა თქმა უნდა, საპატიო წარსულში მრავალგზის დაბრუნებამ განაპირობა კლასიციზმის, როგორც დისციპლინის მომავალზე ორიენტაცია.

მე, როგორც არაკლასიციზტს, მევალებოდა კონტრასტული მასალების მოძიება ჩემი საკუთარი აკადემიური სფეროს ისტორიიდან და აგრეთვე მათი ისეთი დისციპლინებიდან, როგორცაა რომანული და გერმანული ლიტერატურის ისტორია და შედარებითი ლიტერატურა. მიუხედავად დიდი მონდომებისა, მალე შევფერხდი. ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ანალიზისას განუწყვეტილვით მოცუბდა ის ინვესტიციები, რომლებიც ვრცელდებოდა ამ სფეროში მომუშავე სწავლულებზე, რაც თითქოს ენინააღმდეგებოდა კიდევ ფილოლოგიის, როგორც შრომატევადი მეცნიერების იმიჯს. რასაკვირველია, მე არ ვიყავი ერთადერთი, ვინც ეს თავისებურება შენიშნა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ტექსტის რედაქტირებას თან ახლდა ერთგვარი ლიბერალობაც, რომელიც ხაზს უსვამდა რედაქტორის წარმოსახვის მნიშვნელობას ფილოლოგიური რეკონსტრუქციის პროცესში. ჩემი აღმოჩენის სიახლე და ინტრიგა მდგომარეობდა შემდეგში: იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს როგორც ძირითადი ფილოლოგიური საქმიანობის შრე, ის არ წარმოადგენდა მხოლოდ განსახილველი ტექსტის ინტერპრეტაციის დამატებას.<sup>6</sup> აქედან გამომდინარე, ცვდილობდი ხაზი გამეხვა დამოკიდებულება-სა და აღნიშნულ მოვლენას შორის განსხვავებაზე, მივაკუთვნებდი რა ამ უკანასკნელს „ფილოლოგიის პოეტიკის“ კონცეფციას.

☞☞☞ მალე მივხვდი, რომ ამგვარი დაკვირვებების რისიკი „პოეტიკად“ გამოცხადება იმდენად გავრცელებული იყო, რომ ეს გულწრფელად რომ ვთქვათ, მოსაბეზრებელიც კი გახდა.<sup>7</sup> როცა ჩემს გადანყვეტილებას გადავხედე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ პოეტიკის ცნება მეორე მხრივ, გულისხმობს სისტემურობას – გნებავთ, პროგნოზირებადობას, რაც ჩემს აღმოჩენას სრულიად არ ახასიათებდა. მაგრამ რა დავინახე ზუსტად და რას ვუნოდე საბოლოოდ „ფილოლოგიის ძალა“?

6. <sup>6</sup> იხ. საპირისპირო მოსაზრება გამოცემაში *Enciclopedia Hispanica* (ბარსელონა, ენციკლოპედია ბრიტანიკა, 1994-95), **ფილოლოგია**: „ფილოლოგი (ცდილობს ანალიზი გაუკეთოს ტექსტის მნიშვნელობას და ამავე დროს მოახდინოს მისი ინტერპრეტაცია.“

7. <sup>7</sup> მხოლოდ უილის რეგიერის წინააღმდეგობის წყალობით გადავურჩი ამ ფრაზის აკვიატებას.

ნება მომეცით ამ ორმაგ კითხვაზე პასუხი დავინყო იმის აღიარებით, რომ ის, რასაც ძალის ცნებაში ვგულისხმობ, ძალზე შორსაა იმ მნიშვნელობისაგან, რომელსაც მას მიშელ ფუკო ანიჭებს და რომელიც ახლა უზომოდ პოპულარულია ჰუმანიტიტებს შორის. ფუკოსგან განსხვავებით მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ვცდებით აღნიშნული ცნების რაობაში, ვაქცევთ რა მას სტრუქტურის, პროდუქციისა და ცოდნის დეკარტისეულ საზღვრებში. მე გთავაზობთ ძალა განვმარტოთ როგორც სიცარიელის სხეულებით შევსების ან ჩაკეტვის პოტენციალი. მისი, როგორც პოტენციალის განმარტებისას მე ვგულისხმობ, რომ ძალა – თუნდაც ძალის აქტიური პოლიტიკური გამოყენება – ყოველთვის არ წარმოშობს ძალადობას (ძალადობას ადგილი აქვს როცა პოტენციალი რეალურ განხორციელებას პოულობს). მე ვამტკიცებ, რომ ძალა, რაც უნდა მრავალგვარად იყოს გამოყენებული, ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ფიზიკურ უპირატესობას და რომ ის ბევრად აღემატება ყველაფერს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანური გონების ძირითად არსად ან სტრუქტურულ თვისებად.

ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა პასუხს კიდევ ერთ გადამწყვეტ შეკითხვაზე: როგორ შეიძლება ფილოლოგია ყოველგვარი მეტაფორის გარეშე უკავშირდებოდეს ძალის კონცეფციას (და ძალადობის კონცეფციას). ჩემი ფილოლოგიური საქმიანობის ყველაზე იდუმალ, ბრწყინვალე და მომხიბვლელ მხარედ მიმაჩნია ერთგვარი გატაცება, რომელიც, როგორც არ უნდა გამოვლინდეს, ყოველთვის გადაამეტებს ფილოლოგიის ნამდვილ მიზნებს. უფრო მეტიც, ამ გატაცებას ფილოლოგიის სურვილი გადაჰყავს ისეთ განზომილებაში, რომელიც უცხოა კაცობრიობის სხვა მეცნიერებებისთვის. ის, რისი განხილვაც მინდა „ფილოლოგიის ძალის“ სათაურის ქვეშ მთლიანად ანგრევეს ამ მეცნიერების აკადემიურ სურათს. ამავე დროს, ვფიქრობ ადეკვატურია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ეს გატაცება განპირობებულია ფილოლოგიური მუშაობით, რადგან ის აუცილებლად ამოტივტივდებოდა ფილოლოგიის განზრახვისაგან დამოუკიდებლად. და რისკენაა მიმართული ეს გატაცება თუ სურვილი? ჩემი აზრით, ყველა ფილოლოგიურ საქმიანობას ახასიათებს არსებობის,<sup>8</sup> ფიზიკურ და კონკრეტულ სივრცეში საგნებთან (მათ შორის ტექსტებთან)

---

8. ეს არის თვალთახედვა, რომლითაც ჩემი ესსეები თემაზე „ფილოლოგიის ძალა“ უკავშირდება ჩემს მომავალ წიგნს *არსებობის წარმოშობა: მნიშვნელობის მდუმარე მხარე* (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამომცემა, 2003).

ურთიერთობის სურვილი და ეს სურვილები წარმოადგენს სწორედ ნიადაგს, რომელზეც დაფუძნებულია ფილოლოგიის ხელშესახებობის (და ხშირად რეალურობის) ეფექტი.

ბრიტანელი ხელოვნების ისტორიკოსთან, სტივენ ბენტან დისკუსიისას მივხვდი, თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს წარსულში შექმნილი კულტურული ნაწარმოების ფრაგმენტები ფლობის სურვილის და რეალური არსებობის სურვილის ჩამოყალიბებაში. ამგვარი სურვილი ძალზე ახლოს დგას ალძრულ მადასთან.<sup>9</sup> ტექსტის რედაქტირება წარმოშობს მოცემული ტექსტის განსხეულების სურვილს, რაც შესაძლოა გადაიქცეს ტექსტის ავტორის განსხეულების სურვილად. ისტორიული კომენტარების წერა გამოწვეულია სიმდიდრის სურვილით და იმ გეომეტრიული ფართობით – ტექსტის ირგვლივ დატოვებული ცარიელი ველით, რომელზეც ჩვეულებრივ კომენტარი იწერება. ისტორიზაცია ნიშნავს წარსულის ობიექტების გადაქცევას ერთგვარ „წმინდა“ ობიექტებად, რომლებიც ბადებენ ერთდროულად სიშორის შეგრძნებასა და მათთან შეხების სურვილს.

კარგად გასაგები და წარმატებული აკადემიური სწავლება ინსტრუქტორისაგან ითხოვს თავი შეიკავოს მოვლენების, როგორც წინასწარ გაანალიზებული და ინტერპრეტირებული ობიექტების წარმოდგენისაგან, რათა მათ არ დაკარგონ თავდაპირველი ბუნებრიობა და სტატუსი როგორც ფიზიკურმა ობიექტებმა. ამ სურვილთა უმეტესობა, რამდენადაც ისინი გამოწვეულია ფილოლოგიური საქმიანობით, განაპირობებს ფილოლოგიის წარმოსახვის ენერჯის შემოტანას. სურვილისა და წარმოსახვის ერთად გამომყვანება სულაც არ არის შემთხვევითი, რადგან წარმოსახვა გონების შედარებით არქაული უნარია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია განსაკუთრებული სიახლოვე ადამიანის სხეულის უამრავ სხვა ფუნქციასთან.

---

9. ამ ასპექტმა განაპირობა ერთ-ერთი თავის – „**ფრაგმენტების იდენტიფიცირება**“ ადრეული ვერსიის სათაური: „**შექაშე შენი ფრაგმენტი**“, 315-27. ჩემი მომდევნო ოთხი სტატიის სათაურებიც იგივე სინტაქსური შაბლონისაა: „ითამაშე ტაქტიანად! ტექსტის რედაქტირების პრაგმატიკის შესახებ, იდენტიფიცირებისა და თეორიის შეწინააღმდეგების სურვილი,“ ტექსტების **რედაქტირებისთვის/Texte edieren**, გამომც. გლენ მოსტი (Gottingen: Vandenhoeck and Ruprecht, 1998), 237-50; „შეავსე მინდვრები! კომენტარისა და ... შესახებ,“ გამოცემაში **კომენტარები/ Kommentare**, გამომც. გლენ მოსტი (Gottingen: Vandenhoeck and Ruprecht, 1999), 443-53; „ნაბიჯი უკან – ზურგი აქციე სიკვდილს! ისტორიზაციის სვლებზე,“ გამოცემაში **ისტორიზაცია/Historisierung**, გამომც. გლენ მოსტი (Gottingen: Vandenhoeck and Ruprecht, 2001), 365-75; „გააცოცხლე გამოცდილება – და დაასწარი დროს! რა შეიძლება იყოს ფილოლოგია, როგორც პროფესია,“ გამოცემაში **კლასიკის დისციპლინა/Altertumswissenschaft als Beruf**, გამომც. გლენ მოსტი (Gottingen: Vandenhoeck and Ruprecht, 2002), 253-69.

☞ ☞ ☞ გასაოცარი და მეტიც, უცნაურიცაა, რომ ეს გაურკვეველობა – დაძაბულობა, დაბრკოლებები და მერყეობა, რასაც ინვეს ფილოლოგიური საქმიანობა, თავსდება გონების ეფექტსა და რეალური არსებობის ეფექტს შორის და სტრუქტურულად და ზემოქმედებით ასე ახლოს დგას ესთეტიკურობის თანამედროვე განმარტებასთან.<sup>10</sup> მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგიასა და ესთეტიკას შორის დამოკიდებულება საკმაოდ განყენებულია ფილოლოგიის ტრადიციული კონცეფციისა და იმიჯისაგან, ეს არ არის ფილოლოგიის ძალის ის ასპექტი, რომელიც მე ყველაზე მეტად მხიბლავს. ვფიქრობ, ამ წიგნში ყველაზე საინტერესო (თუმცა მკითხველმა ეს თავად უნდა გადანყვიტოს) კულტურულ ობიექტებთან მუშაობის სრულიად ახალი, არაინტერპრეტაციული გზებია. იმედი მაქვს ეს არაინტერპრეტაციული გზები თავს დააღწევს *Geisteswissenschaften* – ს „სულის მეცნიერებების“ ჩრდილს, რომელიც ობიექტების დემატერილიზაციას ახდენს და ართულებს კულტურულ საქმიანობაში ადამიანის სხეულის რომელიმე კონკრეტული ნაწილის ჩართვას. ის რეაქციები, რასაც ფილოლოგიური საქმიანობა, როგორც არსებობის მრავალგვარი სურვილი, ინვეს, აკადემიური კაცობრიობის არცერთ ოფიციალურ თვითდამონმებას არ ერგება. ფილოლოგიის კლასიკური დისციპლინარული გაგებიდან ასეთმა, თუნდაც გრამატიკულმა დაშორებამ შესაძლოა გამოამყდუნოს (ან სულაც შექმნას) ახალი ინტელექტუალური სტილი. ეს სტილი შეძლებდა მიეღწია ჰუმანიტარული დისციპლინების იმ საზღვრებისთვის, რომლებიც, 1900-იანი წლების დეკადებიდან, მომდინარეობს ჰერმენევტიკის პარადიგმათა წანამძღვრებიდან (რაც თავის მხრივ დასავლური ფილოსოფიის მემკვიდრეობას წარმოადგენს).<sup>11</sup> ფილოლოგიის ძალის აღიარება, მიუხედავად ამ მეცნიერების აკადემიური ტრადიციისა, არის სპეცეფექტების მომავადობელი, ულამაზესი და ინტელექტუალურად გამომწვევი ფეიერვერკი.

---

10. იხ. ეს ასპექტი მესამე თავში *არსებობის ძალა*.

11. იხ. მეორე თავი.



ფრაგმენტების ილენტიფიკაცია

ერთ-ერთი მცირე მონაკვეთი უოლტერ ბენჯამინის ნიგნისა **ცალ-მხრივ ქუჩაში** (*Einbahnstraße*) ეხება ჰეიდელბერგის ციხესიმაგრის ვიზუალურ მოგონებას: „ჰეიდელბერგის ციხესიმაგრე: ცისკენ აღმართული ნანგრევები ორჯერ უფრო მშვენიერია დარში, როცა თვალი მათი ფანჯრებიდან დანახულ ან უბრალოდ მათ ზემოთ მცურავ ღრუბლებს აკვირდება. ის მოძრავი სპექტაკლი, ცაში რომ იდგმება, ღრუბელთა ფორმების დაშლა ამ ნანგრევების მარადიულობას ადასტურებს.“<sup>1</sup>

ბენჯამინის წარმოსახვა შთაგონებულია ორგვარ წარმავალობას შორის კონტრასტის შეგრძნებით. ერთი მხრივ, ნაჩვენებია ციხესიმაგრის თავზე მცურავი ღრუბლების უწყვეტი რბოლა და ფორმათა სწრაფი ცვლა. მეორე მხრივ, ციხესიმაგრის ნანგრევების ატრიბუტი – მარადიულობა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს წარმავალობას და ცვლილებას დროში. რაც უნდა ხშირად წავიკითხო ბენჯამინის მცირე ტექსტი (მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა), ვერ ვხსნი მის მიერ შემოთავაზებულ ასოციაციურ კავშირს ნანგრევებსა და მარადიულობას შორის. უფრო მეტიც, ვერ ვხვდები, რატომ იწვევს განუწყვეტელი ნგრევის (*Zerstörung*) შეგრძნება მარადიულობის (*Ewigkeit*) შთაბეჭდილებას – თუნდაც ეს ნგრევა „ორმაგდებოდეს და ძლიერდებოდეს ღრუბელთა წარმავალი სპექტაკლით“ („bekräftigt durch das vergängliche Schauspiel“).

ცოტა ხნის წინ მე მქონდა საშუალება მეცქირა ჰეიდელბერგის ციხესიმაგრის თავზე მცურავი ღრუბლებისთვის და ნაცვლად მარადიულობის შეგრძნებისა, ამან დამაფიქრა ცვლილებათა ორ განსხვავებულ რიტმზე: სწრაფზე (ღრუბლების) და ნანგრევების ცვლილების ისეთ ნელ ტემპზე, რომლის შესამჩნევადაც დამჭირდა

1. უოლტერ ბენჯამინი, *Einbahnstraße*, გამოცემა *Gesammelte Schriften*, ტომი 4, ნაწილი 1 (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1972), 83-148 (ციტატა გვ. 123). ყველა თარგმანი შესრულებულია ჩემს მიერ.



წარმოსახვაში გამეცოცხლებინა როგორც მისი წარსული დიდება, ისე მომავალიც, სადაც ძნელი იქნებოდა ამ ნანგრევებში შენობის ნანძილები ამოგეცნო. ერთადერთი, რაც ღრუბელთა ფორმების განუწყვეტელ ტრანსფორმაციას და ციხესიმაგრის მატერიალური ნარჩენების ტრანსფორმაციას აქვთ საერთო და რამაც ბენჯამინის ყურადღება მიიპყრო, თუმცა ის ამას სათანადოდ ვერ გადმოსცემს, არის ქვეტექსტური და, შეიძლება ითქვას, შინაგანი უკმარისობის განცდა. ბუნებრივია, შენობის ნანგრევები გვაფიქრებს იმ დროზე და მდგომარეობაზე, როცა მათი ამოცნობა შეუძლებელიც კი ვახდება. და რა სახის უკმარისობის განცდა შემოაქვს ღრუბლების სპექტაკლს? პირველ რიგში, ეს არის იმედგაცრუება, მომდინარე იმ პროცესიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფორმათა უსასრულო გამოკვეთა და გაქრობა, განუწყვეტელი გარდამავლობა, რომელშიც ისინი ვერასოდეს მოიპოვებენ სტაბილურობას.<sup>2</sup> გაჩენისა და გაქრობის ამ თამაშში არ არის მომენტი, რომელიც გამოყოფდა რომელიმე მოვლენას, რადგან ამისთვის საჭიროა მისი კონტრასტი რაიმე ისეთთან, რაც არ იქნებოდა დაკავშირებული მოძრაობასა და ტრანსფორმაციასთან. უფრო მეტიც, ეს თამაში არა მხოლოდ გამორიცხავს ნებისმიერი სახის შვების შეგრძობას, არამედ არც კი უახლოვდება ისეთ კონცეფციებს, როგორიცაა „დასრულება“ და „დასვენება“.

☞ ☞ ☞ ბენჯამინი ვერ ხედავს ჰეიდელბერგის თავზე მცურავი ღრუბლებით შთაგონებული გრძნობის ისტორიულ სპეციფიკას. განა შეგვიძლია არ წარმოვიდგინოთ როგორ ტკბებოდა იგივე სანახაობით, მაგალითად, ემპედოკლესი? როგორ უყურებდა იგივე სპექტაკლს აბერალდი მიტოვებული მონასტრის ნანგრევებიდან? ასევე უტყუარად მე შემიძლია დავამტკიცო, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ბენჯამინის (მიუხედავად მის მიერ გაკეთებული დასკვნებისა) ასახვის ობიექტსა და მეოცე საუკუნის დასავლელი ინტელექტუალების ფილოსოფიური რეპერტუარის ძირითად მოტივს შორის.<sup>3</sup> ამ

2. მე არ ვგულისხმობ, რომ „დროითი ობიექტები შესაბამისი გაგებით“ (*Zeitobjekte im reinen Sinn*, როგორც მათ ჰუსერლი უწოდებს) არ შეიძლება ჰქონდეთ ფორმა. მათ მიერ გარკვეული ფორმის მიღება არის სწორედ ის, რასაც ჩვენ „რიტმს“ ვუწოდებთ (იხ. ჩემი ესეი „რიტმი და მნიშვნელობა“ გამოცემაში *კომუნიკაციის მატერიალიზმი*, გამოცემა: ჰანს ულრიხ გუმბრეხტი და კ. ლუდვიგ პფაიფერი [სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1994], 170-82).

3. ზოგადად, ბენჯამინი ცდილობს *Einbahnstraße*-ში ასახული მოვლენები და პრობლემები თანამედროვედ წარმოაჩინოს. იხ. „ინჟინრები“ – შესავალი ჩემი 1926 წლის წიგნისა „*ცხოვრება დროის მიჯნაზე*“ (კემბრიჯი, ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1997), 93-101.

მოსაზრების გასამაგრებლად მომინვეს შუა საუკუნეების კულტურის შესახებ საკმაოდ ვრცელი თეზისის ფორმულირება.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურაში ცენტრალური იყო კოლექტიური რწმენა ღმერთის ადამიანებს შორის ყოფნისა და გარკვეული რიტუალების ე.წ. მესისა, რომელსაც ღვთის არსებობის გრძნობა უნდა გაეძლიერებინა.<sup>4</sup> არსებობა, ამ კონტექსტში, აუცილებლად არ გულისხმობს განზომილებას დროში, მაგრამ შეიცავს საჭიროებას სივრცული სიახლოვისა. ჩვენ „არსებულს“ ვუნოდებთ ყველაფერს, რაც მოცემულ მომენტში ჩვენი სხეულისთვის მისაწვდომია და ხელშესახები. ქრისტიანული ღმერთის არსებობა კი შესაძლებელს ხდის მისი ხორცის ჭამასა და მისი სისხლის შესმას. თანამედროვე კულტურაში, რენესანსის პერიოდიდან დაწყებული, პირიქით, წარმოდგენა ჭარბობს რეალურ სიახლოვეს უამრავ დონეზე. ამგვარად, თანამედროვე წარმოდგენა არ ცდილობს ისევ ახლო გახადოს ის, რაც იყო, მაგრამ აღარ არის ახლო. უფრო ზუსტად, ეს სიტყვა გულისხმობს იმ კულტურულ საქმიანობასა და ჩვეულებებს, რომლებიც რთული სიმბოლოს საშუალებით მკვიდრდებიან (ეს სიმბოლო მათ თითქოს ხელშესახებს ხდის) და არ გულისხმობენ დროით ან სივრცით სიახლოვეს. თუკი ვიგულისხმებთ, რომ შუა საუკუნეებისა და თანამედროვეობის ეს მახასიათებლები საყოველთაოა, ჩემი ინოვაციური დებულება მდგომარეობს შემდეგში: 1800-იანი წლების იმ ისტორიული მომენტიდან, რომელსაც ჩვენ „გამოსახულების კრიზისს“<sup>5</sup> ვუნოდებთ, ჩვენს კულტურას განუახლდა სიახლოვის შეგრძნების სურვილი, რომელიც მიუხედავად უამრავი საშუალებისა, მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება.<sup>6</sup>

მე-20 საუკუნის კონსერვატიული რევოლუციის ყველაზე მგზნებარე და თავგამოდებული მცდელობა ადამიანური არსებობისთვის „მყარი ნიადაგის“ აღდგენისა; ჰაიდეგერის დაჟინება, რომ არსებო-

4. შემდგომი თეზისები იხილეთ ჩემს ესსეში „უმატერიო ფორმა ფორმის, როგორც მოვლენის წინააღმდეგ“, *შენიშვნები თანამედროვე ენაზე* 111 (1996): 578-92; და „Einführung: Inszenierung von Gesellschaft – Ritual – Theatralisierung,“ გამოცემაში „*Aufführung*“ und „*Schrift*“ in *Mittelalter und frühe Neuzeit*, გამომც. ჟან-დირკ მიულერი (Stuttgart: Metzler, 1996), 331-37.

5. იხ. კერსტინ ბენკი, *Krise der Repräsentation*,“ გამოცემაში *Historisches Wörterbuch der Philosophie*, გამომც. იოაკიმ რიტერი და კარფილდ გრიუნდერი, ტომი 8 (Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1992), 846-53.

6. ამ სოციალური ფენომენის საუკეთესო დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ სპორტის (როგორც აქტიური, ისე სანახაობრივი) პოპულარობა, მაშინ როცა კომუნიკაციის ტექნიკურ საშუალებებს, უკეთეს შემთხვევაში, ამ მხრივ გარკვეული ორაზროვნება ახასიათებთ, რამდენადაც ისინი (მაგ.: ტელევიზია) გვთავაზობენ რეალურ სიახლოვეს ხელშესახებობის გარეშე.

ბის საკითხი ონტოლოგიური ხასიათისაა; ალეთიის ასპექტები, არსებობის თვითგამომჟღავნება, რომელიც, როგორც ეფექტი, არ შეიძლება იყოს ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ატრიბუტი<sup>7</sup> – ყველა ეს ინტერვენცია და პოზიცია მხოლოდ ადასტურებს განახლებულ ფილოსოფიურ დამოკიდებულებას არსებობასთან კულტურის შიგნით, რომელიც ეფუძნებოდა (და ახლაც ეფუძნება) გამოსახულების ინსტიტუტს. მაგრამ არსებობს რაიმე, რაც დღეს არსებულ სიახლოვის სურვილს განასხვავებს შუა საუკუნეების კულტურაში არსებული სურვილისგან? თუკი შუა საუკუნეების კულტურას სჯეროდა, რომ ამ სურვილს ღმერთის სიახლოვის შეგრძნებით დაიკმაყოფილებდა, თანამედროვე დამოკიდებულება არსებობასთან ასიმპტოტიურია. ჩვენ თითქოს გამუდმებით ვიმყოფებით ისეთ სიტუაციაში, როცა მეტ-ნაკლებად შევიგრძნობთ გარემომცველ სამყაროს, თუნდაც ეს სამყარო სულაც არ იყოს ახლო. ჟან-ლუკ ნენსი ამ ორმხრივ კავშირს „არსებობის სათავეს“<sup>8</sup> უწოდებს, სამყაროსთან უშუალოების განცდას, რომელიც თითქოს ყოველთვის ვლინდება და უკან იხევს. ამ კუთხით ჰეიდელბერგის ციხესიმაგრის თავზე მცურავი ღრუბლების პეიზაჟი ემსავასება კიდეც არსებობის სათავეს. ნანგრევები გამოხატავენ მუდმივად კლებად მთლიანობას, რომელმაც შესაძლოა ვერასოდეს მიაღწიოს საბოლოო განადგურების წერტილს, ხოლო ღრუბლები – ფორმათა განუწყვეტელ წარმოქმნის პროცესს, რომელიც დასრულებულ სახეს ვერასოდეს მიიღებს.<sup>9</sup>

ჰეიდელბერგის ციხესიმაგრე, წარმოადგენს რა არსებობის გაქრობის უსასრულო პროცესს, ბენჯამინის და უკვე ჩვენი თვალთახედვითაც, კიდეც ერთ მცირე ნაბიჯს დგამს განადგურებისკენ და ინარჩუნებს ფრაგმენტის სტატუსს. თუ გავიხსენებთ, რომ დასავლურ გატაცებას ფრაგმენტებით ჰქონდა ინტენსიფიკაციის მომენტი განათლების კულმინაციის მომდევნო დეკადებში (1800-იანი წლები) და ამ დეკადებს ახასიათებდათ გამოსახულების კრიზისი, მაშინ აღმოვაჩინთ ეპისტემოლოგიურ ნიადაგს, ან მინიმუმ ეპისტემოლოგი-

7. მარტინ ჰაიდეგერი, *Sein Und Zeit*, მე-15 გამოცემა. (Tubingen: Niemeyer, 1984), 44.

8. იხ. ჟან-ლუკ ნენსი, *სიახლოვის სათავე* (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1993).

9. სიმრთელე/სისრულეს შორის დამოკიდებულება ითხოვს სისტემატურ ფიქრს. სრულ სიახლოვეს პირადად მე ვუკავშირებ სისრულე/სიმრთელესთან, თუმცა ვვარაუდობ, რომ დროებითი ობიექტები (მაგ.: ღრუბლები, იხ. შენიშვნა 2), მიუხედავად სიახლოვისა, ტოვებენ უკმარისობის განცდას. გულდასმით შესასწავლია მხოლოდ განსხვავება სიახლოვის სახეებს შორის.

ურ რეზონანსს იმ მიმზიდველობისთვის, რომელიც თან ახლავს ნანგრევებთან და ფრაგმენტებთან არქეოლოგიურ და ფილოლოგიურ მუშაობას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოსახულების კრიზისმა, გამოსახულებასა და სამყაროს შორის მანძილის ჩაშლამ გამოიწვია სიახლოვის სურვილის დაბრუნება. ამ თვალსაზრისით ფრაგმენტი თავისი არსით წარმოადგენს არსებობის გაქრობის მეტონიმიას. ტორსის თუ ტექსტუალური ფრაგმენტის აღდგენითი სამუშაოები კი შეიძლება მივაკუთვნოთ ფორმათა გამოკვეთა-გაქრობის პროცესს, რომლითაც ჰეიდელბერგის თავზე მცურავმა ღრუბლებმა ასე მოხიბლეს უოლტერ ბენჯამინი.

როგორ ამოვიცნოთ ფრაგმენტი? საერთო წესი, რომელიც გამოიყენება ყველა ასეთ შემთხვევაში არის ის, რომ უფრო დიდი მთელის ნაწილი გამოიყურება როგორც მეტონიმი, რომელიც ასახავს მთელს. და როგორ ამოვიცნოთ ის მთელი, რომელსაც ეს ფრაგმენტი ეკუთვნის? ჩვენ რასაკვირველია, მათ ვერ ვცნობთ, რადგან განმარტების თანახმად ფრაგმენტი არ შეიძლება არსებობდეს მთელთან ერთად. თავდაპირველად ჩნდება ერთგვარი უკმარისობის ინტუიციური განცდა არსებული ობიექტის დათვალეობისას. ალბათ პირველად ვილაცამ იგრძნო, რომ მთები იოსემიტის პარკის გარშემო იგივე ადგილას ადრე არსებული ლანდშაფტის ფრაგმენტი იყო. ლანდშაფტის შემთხვევაში უკვე ფრაგმენტად ქცეულის მთლად წარმოსახვა უნდა ეყრდნობოდეს გეოლოგიურ და ფიზიკურ ალბათობას ან ესთეტიკურ მსჯელობას, გამომდინარე სხვა მთების ან ბარის შესწავლიდან. ნაწარმოების შემთხვევაში კი მისი ფრაგმენტად და მთელის ნაწილად ცნობა მომდინარეობს ავტორის სავარაუდო განზრახვის წარმოდგენიდან. ფრაგმენტზე დაყრდნობით ჩვენ აღმოვაჩინებთ მცირე კავშირს ავტორის რეალურ განზრახვასთან, გამოვყოფთ სხვადასხვა პრინციპებს, რომლებიც შესაძლოა ჩართული იყოს ჭეშმარიტ განზრახვასთან და ვაყალიბებთ ფრაგმენტების ტიპოლოგიას.

ჩვენ ყველამ ვიცით რომანტიზმის კლასიკური ისტორიიდან, რომ ზოგჯერ ტექსტებს ფრაგმენტად ვთვლით და მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ავტორს განზრახული ჰქონდა ფრაგმენტულობის იმიტაცია. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ აღნიშნული ტექსტი ზუსტად შეესაბამება ავტორის განზრახვას. სამუშაო

ჰიპოთეზის დონეზე რომ ვიმსჯელოთ, გარკვეული სისრულე, რომელიც ავტორმა გონებაში წარმოიდგინა, რათა ფრაგმენტის ეფექტის მქონე ტექსტი ჩამოეყალიბებინა, ჩვენ გვკარნახობს ასეთი ეფექტის შექმნის რეალურ მიზეზს. მიუხედავად ამისა, ამგვარი ვირტუალური სისრულის (რომელიც თავისთავად არასოდეს გამოაშკარავდება) „აღდგენა“ ყოვლად უსარგებლო ფილოლოგიური სამუშაო იქნებოდა. პირიქით, ასეთი მცდელობა გულუბრყვილობადაც კი ჩაითვლებოდა, რადგან ფრაგმენტი, რომელიც ავტორის მიერ თავიდანვე ამგვარადვე იყო ჩაფიქრებული, ფრაგმენტი არ არის. ელემენტარული ტიპოლოგიის კონტექსტის პირველი გამოვლინება ცხადყოფს, რომ ჩვენ ვვარაუდობთ ძალადობრივ ჩარევას, რომელმაც გამოიწვია ორიგინალ ტექსტსა (უფრო ზუსტად ფორმას) და ჩვენამდე მოღწეულ ტექსტს შორის განსხვავება. აღნიშნული ძალადობა შეიძლება მომდინარეობდეს განზრახვიდან, რომელიც წინააღმდეგობაშია ავტორის განზრახვასთან და გააჩნია თვითმიმტაცის უზარმაზარი ძალა. ნათელია, რომ ფრაგმენტაციის მეორე შემთხვევა ასახავს იმას, რასაც ჩვენ „ცენზურას“ ვუწოდებთ. ფრაგმენტაციას ცენზურას ვუქვემდებარებთ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ცენზორმა ყოველთვის იცის, რისი ამოგდება უნდა და მეორეც, ის არ დაუშვებდა იმ ტექსტის ფრაგმენტაციას, რომელმაც ცენზურა გაიარა. ეს ნიშნავს, რომ ძალზე ძნელია ასეთი ტექსტის ფრაგმენტის ამოცნობა, მაგრამ თუ მოხერხდა ცენზორისა და მისი განზრახვების ამოცნობა, რთული არ იქნება სრული ტექსტის წარმოდგენა. საბოლოოდ, ფრაგმენტაციის მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ ძალადობრივი ფიზიკური მოვლენები ან განადგურების ნელი პროცესი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ წინასწარგანზრახულობას. მიზეზები ფრაგმენტაციის ამ უკანასკნელი ტიპისთვის ფაქტიურად განუსაზღვრელია: ხანძარი და ნესტი; მელნის გამკრთალება; პაპირუსის, პერგამენტისა თუ ქალღლის გაცვეთა; იმ შენობის კედლების დანგრევა, რომელზეც ტექსტი იყო დაწერილი (განსაკუთრებით ხშირია შუა საუკუნეებში), უკვე გამოყენებული სანერი მასალის გამოყენება ახალი წარწერის გასაკეთებლად.

☞ ☞ ☞ ნება მომეცით გვერდზე გადავდო შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია მესამე ტიპის ფრაგმენტებად კანონიზაცია, რადგან ეს ჩემი განხილვის თემას არ წარმოადგენს.

ფიზიკური მიზეზი, რომელიც ყველა ტიპის ფრაგმენტზე ჩანს, არის ველი – ან მისი უფრო დრამატული ფორმულირება, „ნაიარევი“ – რომელზეც ჩერდება ხოლმე ტექსტის მიმდინარეობა და სადაც ჩვენ ფრაგმენტაციის ფიზიკურ მიზეზებს აღმოვაჩინებთ. ასეთი ნაიარევები მესამე ტიპის ფრაგმენტებისთვის გარდაუვალია და მინდა აღვნიშნო, რომ მათი არსებობა მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენ მიერ სრული ტექსტის წარმოდგენას. ასეთი ნაიარევების აღქმა ცვლის ჩვენს პოზიციას ტექსტთან მიმართებაში: მათ ჩვენი ყურადღება გადააქვთ გარეგნულ სახეზე, უფრო ზუსტად მატერიალურობაზე.<sup>10</sup> ამ თვალსაზრისით, დიაკრიტიკული კონვენციები, რომელთაც ჩვენ წარმოვადგენთ გამოცემაში ორიგინალის არატექსტუალური ელემენტების მითითებისას (მაგ.: ფრჩხილები, რომელიც მიგვითითებს, სად მთავრდება ორიგინალი) სულაც არ არის ექვივალენტური იმისა, რასაც ორიგინალის ვიზუალური დათვალიერებისას ვხედავთ. ტექსტის გარეგნული სახის შესწავლისათვის ჩვენ ვიყენებთ ავტომატურ გაშიფრვას. ნაცვლად ავტორის მიერ ჩაფიქრებული მნიშვნელობისა, კონცენტრაციას ვახდენთ ტექსტის, როგორც მატერიალური ობიექტის გრძნობად თვისებებზე. შესაძლებელია მატერიალურ ფრაგმენტთან შეხება, ხელის გადასმა, შეჭმა, განადგურება. ამ ასპექტის ხაზგასმა აუცილებელია ფრაგმენტის მატერიალურობის შეცნობისთვის, რაც დიდ როლს თამაშობს ჩვენი წარმოსახვის შედეგისთვის. რამდენადაც მატერიალური არსებობა სტიმულს აძლევს წარმოსახვას და წარმოადგენს იმ სურვილის ობიექტს, რომელსაც ყან-ლუკ ნენსიმ „არსებობის სათავე“ უწოდა. იგივე დამოკიდებულების უფრო მეტაფორული ასახვა შესაძლებელია მაგიური მიმზიდველობის მოხმობითაც. ტექსტი, როგორც მატერიალური ობიექტი საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვიდგინოთ წარსულის სამყარო, თუმცა, რა თქმა უნდა, არ არსებობს იმიტირებული ურთიერთობა იმ სამყაროსა და ტექსტის ფორმას შორის. მაგრამ ნაცვლად მეტაფორების შემუშავებისა, მოდით, კულტურულ ობიექტებსა (განსაკუთრებით ტექსტებს) და ჩვენს წარმოსახვას შორის ურთიერთქმედების კონცეპტუალიზაცია მოვახდინოთ.

---

10. იხ. დევიდ უილბერი, „წარწერის გარეგნული სახე“, *სტენფორდის ლიტერატურული მიმოხილვა* 9 (1992): 11-24.

მკაცრად ფენომენოლოგიური თვალსაზრისით, იმ ანალიზის კონტექსტში, რომელიც იზღუდება ადამიანის გონების თვითრეფერენცირებულობით, შეუძლებელია შევეწინააღმდეგოთ ჟანპოლ სარტრის ესსეს, *L'Imaginaire*. სარტრის ანალიზის თვისებები და ამ მიდგომის საზღვრები საშუალებას იძლევა ავხსნათ, რატომ არის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც ეს ტრაქტატი ასე მნიშვნელოვანი ადამიანის გონების შესახებ ნებისმიერი ფილოსოფიური დისკუსიისთვის.<sup>11</sup> ერთ-ერთი უპირველესი გამორჩეული ლაიტმოტივი, რომელსაც სარტრი აყალიბებს, არის მტკიცება იმისა, რომ წარმოსახვაში სურათები ყოველთვის სრული სახით წარმოგვიდგებიან: „ჩვენი გაგებით, ცოდნა გულისხმობს თანდათანობით ფორმირებას, ხოლო წარმოსახვაში ფორმირებული სურათი – დაუყოვნებელ ცოდნას. ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენა პირველივე წუთიდან სრული სახით გვეხატება.“<sup>12</sup> ეს დაკვირვება დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა სპეციფიკური სტრუქტურული ადგილი შეიძლება დაიკავოს წარმოსახვამ ტექსტებისა და სხვა ნაწარმოებების აღდგენის საქმეში. თავდაპირველად წარმოსახვა გვთავაზობს სისრულის იდეას, იმ სანყისს, რომლისკენაც შეიძლება მივმართოთ ფილოლოგიური თუ არქეოლოგიური სამუშაოები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოსახვას არ შეუძლია მოახდინოს რაიმე სახის არსებითი კონკრეტიზაცია ან დიფერენციაცია, ან თავდაპირველი წარმოდგენის კორექცია: „თუკი წარმოსახვაში ვატრიალებთ რამე კუბის ფორმის ობიექტს, თითქოს ის თავის ყველა მხარეს თანმიმდევრობით გვიჩვენებდეს, სავარჯიშოს დასასრულს ვერანაირ პროგრესს ვერ მივალწევთ, ვერაფერს ავითვისებთ.“<sup>13</sup> ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველი წარმოდგენის დასახვეწად, იმისათვის, რომ აღვადგინოთ მთლიანობა, წარმოსახვას სჭირდება სტიმულირება კონტექსტუალური ცოდნის ელემენტებითა და ობიექტის დეტალური დაკვირვებით. თუმცა იმის გამო, რომ შეუძლებელია სათანადო სიცხადით უზრუნველყოფა, წინასწარ ვერასოდეს განვსაზღვრავთ რას წარმოგვიდგენს საბოლოოდ ჩვენი წარმოსახვა. ის განუწყვეტილად გაურბის ცნობიერ კონტროლს. სარტრი ამას უკავშირებს იმ ფაქტს, რომ წარმოსახვის შინაგანი სტრუქტურა ჩვენს თვითანალიზს არ ექვემდებ-

11. იხ. „Namensregister“ ვოლფგანდ ისერის გამოცემაში *Das Fiktive und das Imaginäre: Perspektiven literarischer Antropologie* (Frankfurt am Main: Suhrkamo, 1991), 521. სარტრის ესსეს სრული სათაური არის *L'Imaginaire: psychologie phénoménologique de l'imagination* (Paris: Gallimard, 1940).

12. იხ. სარტრი, *L'Imaginaire*, 19

13. იქვე.

ბარება. წარმოსახვას მხოლოდ მისი ნაყოფით შევიცნობთ: „აღქმითი ცნობიერება თავისი არსით პასიურია. შედარებისთვის, წარმოსახვითი ცნობიერება სპონტანურია და მოცემული ობიექტის სურათს სპონტანურად ქმნის და ინახავს.“<sup>14</sup> შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წარმოსახვა არ აკონკრეტებს შექმნილი სურათის ონტოლოგიურ სტატუსს („რეალურობის ხარისხს“):

ცნობიერების ყველა მდგომარეობა ყოველ თავის ობიექტს თავისებურად წარმოაჩენს. შემეცნება, მაგალითად, მას წარმოაჩენს როგორც არსებულს. წარმოდგენა მოიცავს რწმენასა და პოზიციონებას და ვლინდება მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ფორმით: ობიექტის პოზიციონება როგორც არსებულის, როგორც არარსებულის, როგორც სხვაგან არსებულის და „თვითნეიტრალიზაცია“ – არსებულის პოზიციონების უარყოფა. ამ ფორმათაგან ორი არის კომპრომისი; მეოთხე არის უკვე პოზიციონებულის ნეიტრალიზაცია. მესამე მოიცავს ობიექტის ნამდვილი არსებობის უარყოფას და არსებობას დღევანდელობაში. ამგვარი პოზიციონება – ეს კრიტიკული დაკვირვება, – არასოდეს არაფერს შეჰმატებს ერთხელ ჩამოყალიბებულ ობიექტს, რადგან სურათის შეცნობას მისი პოზიციონება განაპირობებს.<sup>15</sup>

თუ წარმოსახვაში გაჩენილ სურათებს ორმაგი უკმარისობა ახასიათებთ (ზემოხსენებული სპეციფიკაციის უკმარისობა ონტოლოგიური სტატუსიდან გამომდინარე და გარეგნული დიფერენციაციის უკმარისობა), შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ წარმოსახვის დაკავშირება ფრაგმენტთან ამ ნაკლს ამოაფსებდა. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ფრაგმენტის კონკრეტულობას, რომელიც ჩვენს წარმოსახვას დეტალურობით კვებავს, საბოლოო ჯამში მივყავართ ტექსტის ორიგინალური მთლიანობის დეტალურ სურათთან. ამგვარად აღდგენილი ტექსტი საკმაოდ რთულია, მაგრამ ნათელი და არაორაზროვანი. მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტს განვიხილავთ როგორც ანმყოსა და წარსულში (შექმნის პერიოდში) არსებულს, არ ხდება ჩვენ მიერ წარმოსახვის დახმარებით აღდგენილი ნაწილის პოზიციონება. სავარაუდო ნაწილს განვიხილავთ როგორც წარსულში და არა ჩვენს დროში არსებულს.

ნათელი უნდა იყოს, რომ ფრაგმენტებს, როგორც ობიექტებსა და ჩვენს წარმოსახვას, როგორც ტექსტის აღდგენის საშუალებას შორის ურთიერთდამატებითობის ეს ორი ასპექტი არ არის მა-

14. იქვე, 26.

15. იქვე, 24.



ტერიალური ობიექტების მეშვეობით წარმოსახვის ინტენსიფიკაციის იდენტური, ინტენსიფიკაციისა, რომელსაც მე ჯადოსნობა ვუწოდებ. მაგალითად, თეატრალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტექნიკა მსახიობთა წარმოსახვის გაუმჯობესებისა, ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად, არის ობიექტების გამოყენებით თამაში.<sup>16</sup> ჯორჯ ჰერბერტ მიდი *ანმეოს ფილოსოფიაში* იგონებს შთამბეჭდავ, თითქმის მითოლოგიურ მოთხრობას, რომელშიც ჩანს, რომ ის შესაძლებლად მიიჩნევს მატერიალური ობიექტების საშუალებით წარმოსახვის გაუმჯობესებას. მიდი „წარმოდგენას“ („წარმოსახვას“ და „წარმოსახულ სურათებს“) უკავშირებს ადამიანის ევოლუციის ადრეულ საფეხურს. „დისტანცია-სტიმული“ (ალქმა ობიექტებისა, რომლებიც სივრცულად ახლოს არიან, მაგრამ აღმქმელი მათთან ფიზიკურ კონტაქტში ვერ შედის) სახიფათო ან სასურველი სიტუაციის წარმოდგენას აცხოველებს და დაუყოვნებელი ფიზიკური კონტაქტისკენ უბიძგებს („კონტაქტი-გამოცდილება“). ეს წარმოდგენა ასევე დაუყოვნებლივ უნდა ინვედედეს სამოქმედო ნერვის გააქტიურებას და კუნთის მოძრაობას (უკან დახევას ან აგრესიას):

ალქმადი ობიექტები თავიანთი გრძობადი თვისებებიდან გამომდინარე ცნობიერების სფეროს განეკუთვნება; „დისტანცია-სტიმული“ შეიცავს „კონტაქტი-გამოცდილების“ ერთგვარ წინაპირობას და ვითარდება ორგანიზმის საპასუხო რეაქციის საშუალებით..... ამგვარად, დაშორებული ობიექტი არის ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია მისთვის, მისით ან მისი დახმარებით ან იმით, რისი გაკეთებაც მას შეუძლია ჩვენთვის. ის არსებობს ისევე მყისიერად, როგორც ჩვენ მას აღვიქვამთ, მაგრამ ვითხოვთ ამ ალქმის დასტურს. ეს მიზანმიმართული საპასუხო რეაქციები ორგანიზმში არსებობს როგორც ტენდენციები და წარსული რეაქციის შედეგები და ვლინდება ალქმის შესაბამისად. ამ უკანასკნელს „წარმოდგენას“ ვუწოდებთ.<sup>17</sup>

მიდის წარმოდგენა „დაშორებულ ობიექტზე“, რომელიც არის „ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია მისთვის, მისით ან მისი დახმარებით ან იმით, რისი გაკეთებაც მას შეუძლია ჩვენთვის“ მსგავ-

16. იხ. ანდრეა ბაპრი, *Imagination und Körper: Ein Beitrag zur Theorie der Imagination mit Beispielen aus der zeitgenössischen Schauspielinszenierung* (Bochum, Germany: Brockmeyer, 1990), განსაკუთრებით 63, 81.

17. ჯორჯ ერბერტ მიდი, *ანმეოს ფილოსოფია* (La Salle, Ill.: Open Court, 1959 [1932]), 74. ცხადია, მიდის მოთხრობის მნიშვნელობას ჩემი არგუმენტაციისთვის საერთო თითქმის არაფერი აქვს მის ლირებულებასთან ემპირიული თვალსაზრისით. მე მიდს ვეხები იმიტომ, რომ (1) მას თავმოყრილი აქვს ყველა ის თანმიმდევრული დაკვირვება წარმოსახვაზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩემი სადისკუსიო თემისთვის და (2) ამით ის აყალიბებს ყველაზე დამაჯერებელ ახსნას იმისა, რომ მატერიალურ საგნებთან სიახლოვე წარმოსახვას აუმჯობესებს.

სია ჰაიდეგერის კონცეფციისა „მისანოდებლად გამზადებული“.<sup>18</sup> ამ უკანასკნელში იგულისხმება ჩვენი თვისება, სამყარო და მისი ობიექტები ყოველდღიურად წინასწარ ინტერპრეტირებულად მივიღოთ. მათი ინტერპრეტაცია ხდება ჩვენი სავარაუდო საჭიროებებიდან და იმ სავარაუდო ფუნქციებიდან გამომდინარე, რომელთა შესრულებაც ამ ობიექტებს შეუძლიათ. ჩვენ იშიათად აღვიქვამთ ველოსიპედს, როგორც მეტალისა და რეზინის შესანიშნავ გეომეტრიულ კონსტრუქციას. ასეთი ობიექტის დანახვა ინვეს ველოსიპედის ტარების წარმოდგენას. ამ წარმოდგენათა უმეტესობა, თუ არა ყველა, გულისხმობს ჩვენი სხეულის მონაწილეობას. სწორედ აქ იკვრება კვანძი, რომელიც აერთებს ობიექტების ხელშესახებ არსებობას, გონების შთაგონებასა და სხეულის აქტივობას. მატერიალური საგნების გრძნობად აღქმას მოქმედებაში მოჰყავს ჩვენი წარმოსახვა, ხოლო წარმოსახვას მოქმედებაში მოჰყავს სხეული. მოქმედება, როგორც ნესი, მიმართულია ობიექტებთან ერთიანობისკენ (აგრესია: შეჭამე შენი ფრაგმენტი!) ან დაშორებისკენ (უკან დახევა: გაექეცი ფრაგმენტს!).

მიდის თანახმად, ეს რეაქციები მიეკუთვნება კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიას. სტადიას, რომელიც წინ წამოიწევა ჰომო საპიენსის არსებობის მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში. ჩვეულებრივ, ჩვენი წარმოსახვის შედეგი იღებს კონცეფციის სახეს და აფერხებს უშუალობას წარმოდგენასა და რეალურ მოქმედებას შორის. შესაძლოა ის იშვიათი შემთხვევები, როცა ჩვენ შევიგრძნობთ წარმოსახვისა და სხეულის არსებით გამოცოცხლებას, დაკავშირებულია ესთეტიკურ გამოცდილებასთან. მართებული იქნებოდა გამოგვერიცხა „გაზვიადება“, იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც შიშს ინვევენ არა მათი „ობიექტური სახიფათოობის“, არამედ იმის გამო, რომ (როგორც ამას ჟან-ფრანსუა ლიოტარდის ნარკვევში კანტის *Kritik der Urteilskraft*-ის შესახებ ვკითხულობთ)<sup>19</sup> ჩვენი წარმოსახვა მათ ვერ გარდაქმნის მდგრად, „სინთეტიკურ“ სურათებად? მეორე მხრივ, აგრესიის, სურვილის, შიმშილის მხრივ, ჟაკ ლაკანის ცნობილი შენიშვნები „ადამიანის თვალის სიხარბეზე“ („l'oeil plein de

18. ჰაიდეგერი, *Sein und Zeit*, 15, 16.

19. იხ. ჟან-ფრანსუა ლიოტარდი, *Leçons sur l'analytique du sublime* (Kant, *Critique de la faculté de juger*, 23-29) (Paris: Galile, 1991), 271.

voracite“)<sup>20</sup> გვთავაზობს კონცეფციითა მთელ რეპერტუარს, რომლებიც გვაბრუნებენ ფრაგმენტის განზომილებაში ზოგად მსჯელობასთან. ლაკანის დებულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის სურვილის ობიექტი სხვისი სურვილია და ის თავს თვითგამოვლენის სხვადასხვა საშუალებით წარმოადგენს („une sorte de desir a l'Autre, au bout duquel est le donner-a-soir“), გააჩნია საგულისხმო თავისებურება: „სხვა“ არასოდეს არის სრულად არსებული და ხილული. რასაც რეალურად ვხედავთ და რაც ჩვენი სურვილის მოტივაციას იწვევს, არის ლაკანის თქმით მხოლოდ ფრაგმენტი, „un objet petit a“. ფრაგმენტი, რომელსაც ჩვენ მთელის ნაწილად აღვიქვამთ და ვშიშობთ, რომ ამ მთელს ვილაც სხვა მიისაკუთრებს: „ეს ნამდვილი შურია. რასთან შედარებით მკრთალდება საგანი? – მარადიულობასთან შედარებით. სწორედ ამის გამო გამოეყოფა პატარა „a“ იმას, რაზეც იყო მიმაგრებული და ხდება ვილაც სხვისი საკუთრება ან კმაყოფილების ობიექტი.“

ვეთანხმები იმ აზრს, რომ მსგავსი სპეკულაციები დაუჯერებლად ჟღერს, განსაკუთრებით ისეთ სფეროსთან მიმართებაში, როგორცაა ტექსტის აღდგენის შრომატევადი და მაღალტექნიკური საქმიანობა. მე ალბათ განვაგრძობდი ამგვარ ურთიერთკავშირზე საუბარს, რომ არ არსებობდეს სტივენ ბენის დოკუმენტირებული დაკვირვება თემაზე: „სიტყვიერი მადა, როგორც ობიექტებისა და ფრაგმენტების დანიშნულება“, განსაკუთრებით მე-18-19 საუკუნეებში.<sup>21</sup> ბენი გვარწმუნებს, რომ არსებობს რეალური (თუნდაც ლაკანისეული გაგებით) ურთიერთკავშირი ფრაგმენტს, სხეულს, წარმოსახვასა და ისტორიულ გამოცდილებას შორის, რაღაც უფრო თვალსაჩინო, ვიდრე ფილოსოფიური კონცეფციების რთული ორნამენტებია. სწორედ ამიტომ იყენებს ბენი თავის არქივულ გამოძიებას ისტორიული წარმოსახვის გამოცდილების აღსაწერად: „იწყება იმით, რასთან შეხებაც შეიძლება და რაც სახელის ჯადოსნური ძალით მიემართება ისტორიული გამოცდილების, როგორც შუალედური განსხვავებისკენ.“<sup>22</sup>

20. იხ. „Qu'est-ce qu'un tableau?“ (Ilecon IX) ჟაკ ლაკანის გამოცემაში *Le Seminaire, livre XI: les quatre concepts fondamentaux de la psychanalyse* (1964) (Paris: Seuil, 1973), 120-32, განსაკუთრებით 130-31.

21. იხ. სტივენ ბენი, „Clio in Part: On Antiquarianism and the Historical Fragment,“ გამოცემაში *ისტორიის გამოვლენები: ესსეები თემაზე წარსულის რეპრეზენტაცია* (მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი: მანჩესტერის უნივერსიტეტის გამოცემა, 1990), 100-21 (ციტატა გვ.114).

22. იქვე, 119.

✠ ✠ ✠ მიუხედავად მისი არსებობის თეოკრატიული და ემპირიული დასტურისა, წარმოსახვასა და ისტორიულ რეკონსტრუქციას შორის კავშირი ყოველთვის ინვევდა ერთგვარ უხერხულობას. ეს გრძნობა მომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ რეფლექსურობის მაღალი ხარისხი და ის თვითკონტროლი, რომელიც ნებისმიერ სამეცნიერო მეთოდს ახასიათებს, არ უნდა იყოს შეცვლილი წარმოსახვით, რადგან ამ უკანასკნელს, როგორც სუბიექტზე დაფუძნებულ უნარს, ახასიათებს არაკონტროლირებადობის ტენდენცია. ჰანს-გეორგ გადამერის *Wahrheit und Methode*-ც კი, რომელიც ცნობილია ყველა სახის ანალიტიკური ოპერაციებისა და ინტელექტუალური სტილისადმი ლოიალურობით<sup>23</sup> (რაც უნდა მოკლებული იყოს ის აკადემიურ სიზუსტეს), 500 გვერდიან დისკუსიაში თავს არიდებს სიტყვა: *წარმოსახვის* გამოყენებას. ეს ყველაფერი კიდევ უფრო დამაინტრიგებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გადამერის მიერ „ინტერპრეტაციის ხელოვნების“ აღწერა სწორედ ამ კონცეფციას ითხოვს. ვნახოთ, მისი კომენტარი ისტორიკოსის ინტერპრეტაციის თავისუფლებაზე:

„მეორე მხრივ, „ობიექტის“ მხრივ ის გულისხმობს ტრადიციის დაცვასა და გამოყენებას მთელი თავისი შესაძლებლობებით და მდიდრდება ახალი ყოველი აღმქმელით. როცა ტრადიცია ლაპარაკობს, ყოველთვის რაღაც ისეთი ნამოინვეს წინ, რაც ადრე არ ჩანდა. ამის მაგალითად შეიძლება ნებისმიერი ისტორიული ობიექტი გამოგვადგეს, იქნება ეს პოეზიის ნიმუში თუ მნიშვნელოვანი მოვლენა, ტრადიციული ყოველ ჯერზე ახალი სახით წარმოგვიდგება. როცა ჰომეროსის „ილიადა“ ან ალექსანდრე დიდის ლაშქრობა ინდოეთში ტრადიციასთან ახლებურ შესაბამისობაშია, უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე ეს ტექსტშია. უფორ მეტიც, ეს მსგავსია რეალური დიალოგისა, სადაც თითოეული თანამოსაუბრე იგებს რაღაც ახალს, რასაც დამოუკიდებლად ვერასოდეს გაიგებდა“.<sup>24</sup>

მე არც იმას ვამტკიცებ, რომ გადამერი წარმოსახვის კონცეფციას შეგნებულად არიდებს თავს და არც იმას, რომ მან შეცდომა

23. მეტიც, გადამერის იგნი მიმართულია იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ ადამიანურ ბუნებას არ შეიძლება საკუთარი მეთოდი ჰქონდეს. იხ. მისი *Wahrheit und Methode: Grundzüge einer philosophischen Hermeneutik*, მეორე გამოცემა, (Tübingen: Mohr, 1965), 5. „არ არსებობს ადამიანურ ბუნების შესაბამისი მეთოდი.“

24. იქვე, 437-38 (ჩემი ხაზგასმა)

დაუშვა, როცა არც კი ახსენა ის. მე უბრალოდ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს: ზემოთ მოყვანილ ციტატას აკლია სიტყვა „წარმოსახვა“, თუმცა სხვა მხრივ ის მისი მნიშვნელობის ირგვლივ ტრიალებს და ჰანს გეორგ გადამერს, სხვა ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, არ აქვს მიზეზი ამ თემას თავი აარიდოს.

გადამერის სიფრთხილე სავარაუდოდ დაკავშირებულია იმასთან, რასაც სარტრი „სპონტანურობას“ უწოდებს. ამ სპეციფიკურ ასპექტს ვოლფგანგ ისერმა უფრო დეტალური ფილოსოფიური ანალიზი მიუძღვნა.<sup>25</sup> ისერი დისკუსიას იწყებს იმის ხაზგასმით, რომ წარმოსახვას არ გააჩნია „აქტივიზაციის პოტენციალი“ და მოქმედებისათვის გარეგან სტიმულს საჭიროებს. ეს ნიშნავს იმას, რომ აქტივიზაციისას წარმოსახვა სუბიექტს ემორჩილება, მაგრამ როცა შედეგი უკვე სახეზეა, იმავე სუბიექტის კონტროლს აღარ ექვემდებარება.

იმის გამო, რომ წარმოსახვას წინასწარგანზრახულობა არ ახასიათებს, ის გახსნილია ნებისმიერი განზრახვისთვის. ამგვარად, განზრახვა მიჯაჭვულია იმასთან, რაც მისი მეშვეობით გააქტიურდა და იმპულსები მუდმივ ზემოქმედებას განიცდიან. თუმცა წარმოსახვა კი არ ექვემდებარება განზრახვისეულ აქტივიზაციას, არამედ თავს ავლენს მხოლოდ იმპულსებთან ურთიერთქმედებაში და მისი შედეგი განზრახვასა და წარმოსახვაზე მეტიცაა. რასთანაც არ უნდა მივყავდეთ ამ ზემოქმედებას წარმოსახვის აქტივიზაციიდან, ის საბოლოოდ იქცევა ადგილად, სადაც წარმოსახვის სხვადასხვა იმპულსი იყრის თავს.<sup>26</sup>

ეს კავშირები „წარმოსახვასა და მისი მობილიზაციის სახეებს შორის“ (თუმცა ერთ-ერთი სახე სწორედ ინდივიდუალური განზრახვაა) შეიცავს კონტროლიდან გამოსვლის საფრთხეს და ისერის თქმით,<sup>27</sup> არა მხოლოდ შორდება ყოველდღიურობას როგორც „ოცნებები და ჰალუცინაციები“, არამედ იძენს ისეთი რაციონალური საქმიანობის კონტექსტს, როგორიცაა ეკონომიკური აზროვნება და ტექსტის რედაქტირება. მე, რა თქმა უნდა, არ ვცდილობ უარყო ერთგვარი ეთნოგენეზი რაციონალობასა და წარმოსახვის სპონტანურობას შორის. მიუხედავად ამისა, წარმოსახვის აქტიური გამოყენება და ის აკადემიური რაციონალობა, რასაც ფილოლოგის საქმიანობა ითხოვს,

25. იხ., განსაკუთრებით, „Das Zusammenspiel des Fiktiven und Imaginären“, ისერის *Das Fiktive und das Imaginäre*, 377-411.

26. იქვე, 377-78.

27. იქვე, 381.

აუცილებელია ტექსტების აღდგენის საქმეში. როცა საუბარია ე.წ. „ნაიარევ“ ფრაგმენტებზე, არ არსებობს სტანდარტული რაციონალური გზა ჰიპოთეზურად სრულ ტექსტამდე. მეორე მხრივ, ვერასოდეს ვიქნებით ბოლომდე დარწმუნებული, რომ ტექსტი არ შეიცავს ჩვენი წარმოსახვის ჰეტეროგენულ კვალს. როგორ შეიძლება მივხვდეთ, რომ აღდგენილი რითმა არ არის სასურველი რითმა? „ფრაგმენტის შეჭმა“ ამ შემთხვევაში ორმაგ მნიშვნელობას იძენს. ერთი მხრივ, გვაქეზებს გამოვიყენოთ ჩვენი წარმოსახვის არცთუ კონტროლირებადი ეფექტი, მეორე მხრივ, თუ ვეცდებით წინააღმდეგობა გავუწიოთ არააკადემიურ წარმოსახვას, ეს შეეხება ფილოლოგის მოვალეობას და გამოიწვევს ყოველგვარი სუბიექტურის აღმოფხვრას და აქედან გამომდინარე, წარმოსახვასთან მისი კავშირის ანარქონისტული ნარჩენების მოცილებას. გამოვიყენებთ წარმოსახვას თუ არა, ყველაზე უარესი იქნებოდა თავის მოტყუება, თითქოს წმინდა მეცნიერული გადაწყვეტა არსებობდეს.



ტიქსტების რედაქტირება

ცოტა მეცნიერი თუ დომინირებს აკადემიურ დისციპლინაში მთელი სიცოცხლე ისე, როგორც რამონ მენენდეს პიდალი დომინირებდა ესპანურ ფილოლოგიაში 70 წლის განმავლობაში. 1890-იან წლებში დაბეჭდილი ესპანური ეროვნული ეპიკის *El Cantar de mio Cid* მონუმენტური სამტომიანი გამოცემით მან სახელი დაიმკვიდრა, როგორც ესპანეთის ეროვნული ფილოლოგიური ტრადიციის დამაარსებელმა და გარდაცვალებამდე (1968წ) ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ წარმომადგენლად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად (არცთუ უმიზეზოდ) აკრიტიკებენ ესპანურის საკუთარ კასტილიურ კულტურასთან გაიგივებისთვის, ხოლო მისი ხედვა ცოტათი მონოლითურიც კი ჩანს, რამონ მენენდეს პიდალს უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ესპანურ ენაში, ლიტერატურასა და კულტურაში. ხოლო მისმა კონტრიბუციამ შუა საუკუნეების ფრანგულ ლიტერატურასა და იმავე პერიოდის ლათინურში მას გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტის სახელი მოუხვეჭა.<sup>1</sup>

მისი აკადემიური მიღწევების გაცნობის შემდეგ, ძნელია არ გაცდე მენენდეს პიდალის განსაკუთრებული დამოკიდებულებით იმ ტექსტებთან მიმართებაში, რომელთა რედაქტირება და ანალ-

---

1. მენენდეს პიდალის ბიოგრაფია იხილეთ კურტ შნელის „Nachwort“-ში, რამონ მენენდეს პიდალის *Dichtung und Geschichte in Spanien* (Leipzig, 1984), 258-82. მენენდეს პიდალის *Cid*-ის გამოცემა (საინტერესო შესავლით) ყველაზე ხელმისაწვდომია *Obras completas de Ramón Menéndes Pidal*-ის მეოთხე გამოცემაში, ტომი 3-5 (მადრიდი, ესპანსა-კალპე, 1964-69). მენენდეს პიდალის ფილოლოგიური საქმიანობის მიმოხილვა კულტურულ კონტექსტში იხილეთ ჩემს ესსეში *Lebende Vergangenheit: Zur Typologie der 'Arbeit am Text' in der spanischen Kultur*“, *Das fremde Wort: Studien zur Interdependenz von Texten: Festschrift für Karl Mauer zum 60. Geburtstag*, გამომცემელი ილს ნოლტინგ-ჰაუფი და იოაკიმ შულზი (Amsterdam: Gruner, 1988), 81-110; „Las versiones que agradan mi imaginación“ oder: von Menéndez Pidal zur postmodernen Editions-praxis?“ გამომცემელი *Textüberlieferung – Textedition – Textokommentar: Kolloquium zur Vorbereitung einer kritischen Ausgabe des „Sueno de la muerte“ von Quevedo* (Bochum, 1990), გამომცემელი ილს ნოლტინგ-ჰაუფი Tubbingen: Nrr, 1993), 57-72; „მოდერნიზმის ფილოლოგიური გამოგონება: მენენდეს პიდალი, გარსია ლორკა და ჰარლემ რენესანსი“ გამოცემაში *შუასაუკუნეების მომავალი: შუა საუკუნეების ფრანგული ლიტერატურა 1990-იან წლებში*, გამომცემელი უილიამ დ. პადენი (გაინსვილი: ფლორიდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1994), 32-49.

იზიც მას ეკუთვნის, რადგან ის უმეტესად ენთუზიასტის, მეტიც, პოეტის ენით საუბრობს: „ამგვარად, მე გავხდი ერთადერთი ესპანელი, რომელსაც უფრო მეტი რომანი აქვს წაკითხული, ვიდრე მის რომელიმე თანამემამულეს. ტექსტები, რომელთა კითხვაც მიყვარს, რომელთაც მე მკითხველს ვაწოდებ, ეროვნული ტრადიციის ნაწილია.“<sup>2</sup> მენენდეს პიდალს სწამდა, რომ *რომანების* (უფრო ზუსტად, ლექსის სახით გადმოცემული მცირე მოთხრობების) და ზეპირი პოეზიის ესპანური ტრადიციიდან ამოკრებილი სხვადასხვა ჟანრის ტექსტების გამოქვეყნებით ის ლიტერატურას იმ პოეტურობას დაუბრუნებდა, რაც, მისი აზრით, ასე აკლდა თანამედროვე მსოფლიოს: „დღეს ტრადიცია თითქოს დაკნინებულია, რადგან მხოლოდ გლეხებს შორის არსებობს, მაგრამ რატომ არ უნდა გაცოცხლდეს ის უფრო კულტურულ გარემოში? ყოველ შემთხვევაში, ჩემი გონებისთვის ამ ტრადიციის აღდგენა რთული არ ყოფილა. მე განვიხილე მრავალი ვარიანტი, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, არაფრით განსხვავდება შორეული წარსულის ავტორთა ვარიანტებისგან.“<sup>3</sup> ჩვენ ვხედავთ, რომ მენენდეს პიდალის როლი კულტურულ აღდგენაში ისეთივეა, როგორც როლი ფოლკლორის მომღერლისა: ის სწავლობს უამრავ ტექსტს, ხელახლა გამოსცემს მათ, ამდიდრებს თავისი საკუთარი ვარიანტებით და საბოლოოდ უბრუნებს მათ ერს, რომელმაც, მენენდეს პიდალის „ნეოტრადიციული“ გაგებით, ეს ტექსტები შექმნა. ამ კუთხით ანეკდოტურიც კია ის ფაქტი, რომ მენენდეს პიდალის საქმიანობამ კულმინაციას მიაღწია სწორედ მაშინ, როცა მან დროებით მხედველობა დაკარგა. ეს კი ყოველთვის ასოცირდებოდა პოეტური წარმოსახვის გაცხოველებასთან.

მაგრამ შესაძლებელია კი, ითამაშო ერთდროულად ფილოლოგისა და მომღერლის (ან პოეტის) როლი? იყო ფილოლოგი და მომღერალი ერთი და იგივე ტექსტთან მიმართებაში? განა ფილოლოგმა შორს არ უნდა დაიჭიროს თავი ახალი ვარიანტების წარმოდგენისგან? მისი საქმიანობა ხომ მხოლოდ მათი აღნუსხვაა და არა გამოგონება. რაც უნდა მართებულად უღერდეს ასეთი კითხვები, მენენდეს პიდალი გაცილებით ნაკლებ ექსცენტრულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა, რომ ყველა რედაქტორი ასრულებს

2. რამონ მენენდეს პიდალი, *Flor nueva de Romances viejos*, გამომცემელი რამონ მენენდეს პიდალი, მე-1 -6 გამოცემის წინასიტყვაობა.  
 3. მენენდეს პიდალი, „El romancero: Su transmisión a la época moderna“ (1910), გამოცემაში *Estudios sobre el romancero, Obras completas*-ის მე-11 ტომი (მადრიდი: ესპასა-კალპე, 1973),



მომღერლის, პოეტის ან ავტორის როლს (როგორც წესი, ნაკლები შეგნებით, ვიდრე მენენდეს პიდალი) და რომ ამ ნაბიჯის გარეშე რედაქტორი არ შედგება. თითოეული როლი (ორ განსხვავებულ დონეზე: ავტორისა და რედაქტორის) შეიძლება გულისხმობდეს სუბიექტურობის სხვადასხვა კონსტრუქციას, რაც მიგვითითებს იმ განსხვავებულ ფილოლოგიურ სტილზე, რომელთაც ჩვენი პროფესიული გარემო მოიცავს. მაგალითად, რადგან მენენდეს პიდალმა საკუთარი თავი შუა საუკუნეების და ფოლკლორის მომღერლებთან გააიგივა, მისი რედაქტირების სტილი გვერდს ვერ აუვლიდა იმ მრავალრიცხოვან ხელნაწერსა და ვარიანტს, რომლებიც ასე ტიპურია შუა საუკუნეებისთვის. სწორედ ამ გზით შეიტანა უზარმაზარი ნვლილი მენენდეს პიდალმა იმ საქმეში, რასაც თავად „ტრადიციის გაცოცხლებას“ უწოდებდა. ამ ესეში „რედაქტირების პრაგმატიკის“ სათაურით მე განვიხილავ დამოკიდებულებას იდენტიფიკაციის სუბიექტის სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად წარმოსახვით როლებს, რედაქტორების როლსა და ფილოლოგიური საქმიანობის სტილს შორის. მენენდეს პიდალის ექსცენტრულობა ავტორის როლის თამაშში კი არა, უფრო იმაში გამოიხატება, რომ ის ამას შეგნებულად აკეთებს და ბედნიერიც კი არის.

მიუხედავად ამისა, მენენდეს პიდალის სკოლაზე გაცილებით მკაცრი ფილოლოგიური სკოლები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ რედაქტირება რედაქტორის როლისა და განზრახვებისგან თავისუფალი უნდა იყოს (ზოგიერთ ფილოლოგს სურდა, ავტორის განზრახვები ცალკე ერთეულად გამოეყო, თუმცა მეორე მხრივ, სუბიექტური გადაწყვეტილებები და სუბიექტური გემოვნება უძველესი დროიდან ფილოლოგიური დისკუსიის თემას წარმოადგენდა). იმის მტკიცებით, რომ ფილოლოგიური გადაწყვეტილებები მხოლოდ მკაცრი ტექსტუალური ლოგიკის ჩარჩოებში უნდა მოექცეს, ისინი ახლოს დგანან იმ საქმიანობასთან, რასაც პოლ დე მანმა „თეორეტიკული კითხვა“<sup>4</sup> უწოდა, თუმცა ამგვარი სიახლოვე აღნიშნული ფილოლოგებისთვის ნამდვილ შოკად შეიძლება აღედგინოს უფრო მეტად, ვიდრე თავად დე მანისთვის.<sup>5</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, იოლი გასარ-

4. იხ. პოლ დე მანის *წინააღმდეგობა თეორიისადმი* (მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამოცემა, 1986), 3-20.

5. დე მანი რა თქმა უნდა საკუთარ თავს ფილოლოგად მიიჩნევდა. იხ. „დაბრუნება ფილოლოგიასთან“, *წინააღმდეგობა*, 21-26. იხ აგრეთვე დე მანის ინტერვიუ სტეფანო როსოსთან, იქვე, 118..

ჩვეია ფილოლოგიური ტრადიციის შიგნით ტექსტის რედაქტირების ორი განსხვავებული კონცეფცია, რომლებიც ადასტურებენ კავშირს „ტექსტუალურ პრაგმატიკასა“ და „თეორეტიკულ კითხვას“ შორის თანამედროვე ლიტერატურულ თეორიაში. თუ მე კამათს ტექსტუალური პრაგმატიკის ძიებით დავინწყებ და ვეცდები ვაჩვენო, რომ რედაქტორი იძულებულია აირჩიოს ესა თუ ის როლი, ეს ყველაფერი დე მანის „თეორიისადმი წინააღმდეგობას“ დაემსგავსება. საპირისპირო ვარიანტი კი – რედაქტირებისა და მისი პრობლემების ტექსტუალური სფეროთი შემოსაზღვრის მცდელობა ასეთივე გულუბრყვილობა იქნებოდა ტექსტუალური პრაგმატიკის გადმოსახედიდან. რამდენადაც, ვერ ვპოულობთ იოლ გადანწყვეტას, ამ კითხვას მოგვიანებით დავუბრუნდებით და გავარკვევთ, თუ ღირს ან თუ შესაძლებელია საერთოდ რედაქტირების უფრო პრაგმატულ და უფრო იმანენტურ ფორმებს შორის ანტაგონიზმის აღმოფხვრა.

☞ ☞ ☞ ყველამ იცის, რომ ტექსტის რედაქტირება არჩევის მრავალშრიანი პროცესია. რედაქტორები მრავალ ვარიანტს შორის ირჩევენ იმას, რომელიც სავარაუდო ტრადიციის ეკვივალენტურ შეტყობინებას შეიცავს. სხვა შემთხვევაში, ისინი ირჩევენ, დატოვონ ტექსტუალური სიცარიელე ან ამოავსონ ის ჰიპოთეზებით. ამ უკანასკნელის არჩევა გულისხმობს კიდევ ერთ არჩევანს მოცემული ენის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებელ სიტყვათა შორის. თუნდაც ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში „შეცდომების“ გასწორებაც კი დაკავშირებულია უამრავ ვარიანტს შორის იმ ვარიანტის არჩევასთან, რომელიც გრამატიკულად უფრო შესაბამისია. ყველა ამ შემთხვევაში რედაქტორი ხელმძღვანელობს ავტორის სავარაუდო განზრახვით. მისი ჰიპოთეზებისა და ავტორის განზრახვების საკითხს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდები. მე მხოლოდ იმის ჩვენება მსურდა, რომ რედაქტორი-სუბიექტი მრავალრიცხოვან არჩევანშიც ავლენს თავს, რასაც, იმის გამო, რომ ვარიანტები არ იკარგებიან და არ ნადგურდებიან, შეგვიძლია „მნიშვნელობის წარმოქმნა“ ვუნდოთ.<sup>6</sup> ამ კუთხით ტექსტის რედაქტირებისას მნიშვნელობის წარმოქმნა არის არა მარტო გვერდითი ეფექტი, არამედ ფილოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი არსებითი, არაარჩევითი ფუნქცია. როცა ვლინდება მნიშ-

6. ნიკლას ლუმანის სოციალური სისტემების მიხედვით (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამომცემა, 1995), 59-102.

ვნელობა, შეუძლებელია არ გამოაშკარავდეს სავარაუდო წყარო. ასე რომ, ტექსტის რედაქტირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რედაქტორის ვინაობასა და გამოყენებულ პრინციპებს, ფილოლოგიურად კომპეტენტური მკითხველის წარმოსახვაში კი რედაქტორის როლი მისაღები სოციალური რეალობა ხდება.

მაგრამ არაპრაგმატული კრიტიკოსი ალბათ იკითხავს, გამოიკვეთება კი სუბიექტის როლი იმ შემთხვევებში, როცა ცხადია ფილოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვიგულისხმებთ სიცხადეში. თუ გამოვრიცხავთ მეტ-ნაკლებად „ონტოლოგიურ“ მხარეს, ვფიქრობ, სიცხადე იმაში გამოიხატება, რომ ყველა სპეციალისტი საერთო არგუმენტზე და დასკვნაზე თანხმდება. ეს ის სიტუაციაა, როცა რედაქტორის ვინაობას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა რედაქტირების პრაგმატული განზომილება არც ახლა გამოირიცხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რედაქტორის როლის დაბალი სუბიექტურობა მისი როლის არარსებობას არ ნიშნავს. რა თქმა უნდა, მისი როლი უფრო აშკარა და შეიძლება ითქვას „გმირულიც“ კია, როცა ძნელია რაიმე ხელმოსაჭიდი გადაწყვეტილების დანახვა. ფილოლოგიურ საქმიანობაში ეს ის სიტუაციებია, რომლებიც სალი ჰამფრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გემოვნებასა და ტაქტს ითხოვენ“.<sup>7</sup> გემოვნების როლი იმაში გამოიხატება, რომ ფილოლოგიურ გადაწყვეტილებებს ახასიათებთ ესთეტიკური მსჯელობიდან გამომდინარე სტრუქტურა, ანუ მსჯელობა არ ეფუძნება აღიარებულ კონცეფციებსა და კრიტერიუმებს. ტაქტის ხსენებისას ჰამფრის სავარაუდოდ იმას გულისხმობდა, რომ რედაქტორმა (განსაკუთრებით არასაკმარისი სიცხადის პირობებში) ტექსტის საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვლისგან თავი უნდა შეიკავოს. მან არასოდეს უნდა გადაკვეთოს ზღვარი ფილოლოგიასა და *Nachdichtung*-ს (პოეტურ იმიტაციას) შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებელია სრული თავშეკავება სუბიექტური ეფექტისგან და ესთეტიკური მსჯელობისგან.

☞ ☞ ☞ უკვე ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ არ უნდა გამომდინარეობდეს ტექსტის რედაქტირებისას გაკეთებული არჩევანი პირადი გემოვნებიდან. საინტერესოა, რა ორიენტაციით უნდა იხ-

---

7. კოლოქვიუმი ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში, 1996.

ელმძღვანელოს ფილოლოგმა. ვფიქრობ, პირველ რიგში, თავი უნდა ავარიდოთ „ტექსტის განზრახულობის“ შესახებ როგორც პოტენციურ ორიენტაციაზე საუბარს, რადგან ეს 10-20 წლის წინ ყველაზე პოპულარული კონვენცია იყო ლიტერატურულ მეცნიერებებში. სემანტიკური თვალსაზრისით, სიტყვები *ტექსტი* და *განზრახულობა* შეუთავსებელია, თუ არ ვაღიარებთ იმას, რომ „ტექსტის განზრახულობა“ მხოლოდ ავტორის იმ განზრახვას ეხება, რომლის ექსტრაპოლაციაც ნებისმიერი ტექსტიდან შეიძლება.

ტექსტის თანამდევ ან მისი ჰიპოტეზური განზრახვების სიმრავლიდან გამომდინარე მინდა შემოგთავაზოთ (წმინდა პრაგმატული მოსაზრებით) ისტორიულად სპეციფიკურ ვარიანტებზე ფოკუსირება.<sup>8</sup> პირველი, უმეტეს შემთხვევაში უფრო ზუსტი კითხვისა და რედაქტირებისთვის ავტორის სურათის ჩამოყალიბებისას შედარებით იოლია ისტორიული ცოდნის გამოყენება. მეორე მხრივ, ტექსტების უმრავლესობაში გამოკვეთილია ავტორის სურათი (გამომდინარე თვითონ ტექსტიდან ან მასთან დაკავშირების სურვილიდან), რომელიც ჩვეულებრივ კითხვის მიმართულებას განსაზღვრავს. ჰომეროსი – ბრმა მომღერალი და ეზოზე – კუზიანი მონა მსგავსი პროექციის ალბათ საუკეთესო მაგალითებია. თუმცა ანონიმური წარმომავლობის ტექსტები ტოვებენ მეტ სივრცეს ამგვარი პროექციებისთვის, ისეთი სახელების გამოყენებისას, როგორცაა „შექსპირი“, „გოეთე“ ან „გარსია მარკესი“, იგივე არ იგულისხმება, რაც „ჰომეროსის“ ან „ეზოპეს“ ხსენებისას. ეს უკანასკნელები, მიუხედავად მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციისა, უფრო სურათის სახით არსებობენ წარმოდგენაში, ვიდრე დოკუმენტურად დასაბუთებულ ისტორიულ რეალობაში. ამ თვალსაზრისით, მკითხველისთვის არ არის უჩვეულო წარმოდგენის, თუ რას განიცდიდა, მაგალითად, გოეთე პოტენციური ადრესატების ფრაუ ვონ შტეინის, კრისტინა ვულპიუსის ან სხვათა მიმართ. საზოგადოდ, ამგვარი ტექსტები საკმარისი მიზეზია

8. უფრო დეტალური ვერსიისთვის იხ. ჩემი ესეე „Konsequenzen der Rezeptionsästhetik oder Literaturwissenschaft als Kommunikationssoziologie,“ *Poetica* 7(1975): 388-413; ინგლისურენოვანი ვერსია იხ. ჩემს წიგნში *სიცოცხლის აზრი და ლიტერატურა* (მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემა, 1992), 14-29. ყველაზე სოფისტიკური დისკუსია, რომელიც ეხება ლიტერატურული მეცნიერების ავტორის ევრისტიკულ სტატუსს, ჩემის აზრით, წარმოდგენილია მიგელ ტამენის წიგნში *ინტერპრეტაციის მანერები: ლიტერატურული სწავლების დისკუსიის დასასრული*, თავში სახელწოდებით „ავტორისადმი მიმართვა“ (ალბანი, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემა, 1993), 69-108.

იმისათვის, რომ ფილოლოგმა მეტი იმუშაოს ავტორის სურათის შექმნაზე, რადგან შემდეგ გაცილებით იოლდება ტექსტის დაკავშირება კითხვის უკვე ჩამოყალიბებულ ჩვევებთან.

მაგრამ არის კი ავტორის როლის ამგვარი ისტორიზაცია, როგორც ამას მიშელ ფუკო გვიხატავს,<sup>9</sup> საკმარისი ავტორზე ორიენტირებული კითხვისა და რედაქტირების საყოველთაო წესად დამკვიდრების წინააღმდეგ? ხომ არ იქნებოდა ეს ავტორის კონცეფციის პრობლემატური განზოგადება? პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია, რადგან ავტორის კონცეფცია, რომელსაც ფუკო გულისხმობს, განსხვავებულია იმ კონცეფციისგან, რომელზეც მე მინდა ვისაუბრო. ეს უკანასკნელი უფრო ახლოს დგას უნივერსალურთან, რადგან როცა ნებისმიერი სახის შემოქმედებას ვხედავთ (მათ შორის ტექსტსაც), ძნელია არ ვიფიქროთ აგენტზე, პროდიუსერსა თუ ავტორზე. ავტორის კონცეფციის ფუკოსეული ისტორიზაცია ხაზს უსვამს უფრო სპეციფიკურ თვისებებს, რომლებიც განეკუთვნება თანამედროვე კონცეფციას – უტყუარობა, ინტელექტუალური საკუთრება და პერსონალური პასუხისმგებლობა.

რის შესახებ საუბარი და რისი ხაზგასმაც მინდოდა, არის ის, რომ ფილოლოგიური სამუშაო აუცილებლად განაპირობებს რედაქტორის როლს, ხოლო აღნიშნული როლი კი გულისხმობს დანაწილობრივ აყალიბებს კიდევ ჰიპოთეზური ავტორის როლს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რედაქტორის როლი მუდამ მოიცავს ავტორის როლს. ამავე დროს იგი მოიცავს მკითხველის როლსაც, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს ისტორიულად და ინდივიდუალურად განსხვავებული მნიშვნელობით; მაგალითად, მკითხველი გონებაში ვერ აცალკევებდეს გოეთეს სასიყვარულო ლექსების ფრაზ ვონ შტეინის ავტორის წარმოდგენას ან კრისტიანა ვულპიუსის მის ადრესატებად წარმოდგენისგან. მაგრამ მკითხველმა შესაძლოა სხვა როლიც შეასრულოს და ინტერპრეტატორი და რედაქტორი დაარწმუნოს იმაში, რომ ესა თუ ის ტექსტი ზოგადად „კაცობრიობას ესაუბრება“.<sup>10</sup> მე აქ ისეთ სიტუაციებს ვგულისხმობ, როცა ინტერპრეტატორები ცდილობდნენ

9. მიშელ ფუკო „რა არის ავტორი?“, *ტექსტუალური სტრატეგიები: პოსტ-სტრუქტურისტული კრიტიკის პერსპექტივები*, გამომცემელი ჯოშუა ჰარარი (ითაკა, ნიუ იორკი: კორნელიუს უნივერსიტეტის გამომცემა, 1979), 141-60.

10. „კლასიკურ“ ტექსტებიდან გამოტანილ ამ და სხვა უნივერსალური დასკვნების შესახებ იხ. ჰანს გეორგ ვადამერი, *Wahrheit und Methode: Grundzüge einer philosophischen Hermeneutik*, მეორე გამოცემა (ტუბინგენი: მოჰრი, 1965), 269-75.

გაერკვიათ რისი თქმა სურდათ ჟაკ დერიდას, კარლ მარქსს ან იესო ქრისტეს, როცა წერისას სწორედ ჩვენ წარმოგვიდგენდნენ გონებაში. მინდა ვთქვა, რომ ასეთი უნივერსალური გაგება საკმაოდ პრობლემატურია, რადგან არა მარტო ინვევს უამრავ არცთუ სასურველ იმპლიკაციებს, არამედ წარმოადგენს საფუძველს ტექსტის „საღვთოობისთვის“, ჩნდება ღმერთის (ან ღმერთების) დისკურსიული უპირატესობა მიმართავდეს მთელ კაცობრიობას. მიუხედავად ზემოთქმულისა, რედაქტორის როლი აუცილებლად გულისხმობს პირველ რიგში ორიენტაციას ფილოლოგიურ სამუშაოზე, აგრეთვე, სავარაუდო ავტორისა და ერთი ანდა რამდენიმე მკითხველის როლს. ამ როლების განსაზღვრის შემდეგ მინდა დავუბრუნდე იმ ხაზს, რომელიც მიგვიყვანს საპირისპირო პოზიციამდე, არის თუ არა რედაქტირება მხოლოდ ტექსტზე დამყარებული საქმიანობა.

☞ ☞ ☞ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ ტექსტის რედაქტირება შეუძლებელია ავტორი-სუბიექტისა და მკითხველი-სუბიექტის გარეშე. უფრო ზოგად დონეზე ეს ეხება ყველა სახის კითხვას. კითხვის პროცესი გულისხმობს ორი სახის რთულ როლს – ავტორისას და მკითხველისას. მკითხველის ის როლი, რომელზეც მე ვსაუბრობ, ძალზე ახლოს დგას (შეიძლება ემთხვევა კიდეც) იმასთან, რასაც ვოლფგანგ ისერმა „ფარული მკითხველი“ უწოდა.<sup>11</sup> მაგრამ სანამ დავეთანხმებოდე ისერის ტენდენციას ფარული მკითხველი გამოყოს ემპირიული მკითხველებისგან, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი მკითხველი არ ჯდება ისერისეულ დახასიათებაში და არ წარმოადგენს „ტექსტში ჩანერილ მკითხველს“. პირიქით, მე დაინტერესებული ვარ იმით, თუ როგორ აქტიურდება მკითხველის როლი კითხვის პროცესში ტექსტის ფორმისა და შინაარსის ცვლასთან ერთად ისე, რომ თავად ტექსტი მოსალოდნელ შედეგებს არ „შეიცავს“.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა სახის კითხვის აუცილებელი თვისებაა ავტორისა და მკითხველის როლების წარმოქმნა, არის თუ არა რამე სპეციფიკური ფილოლოგის მიერ ტექსტის კითხვაში? ლიტერატურული დისკურსის პოლ დე მანისეულ ერთ-ერთ აღწერას საინტერესო მიმართულებამდე მივყავართ:

11. ვოლფგანგ ისერი, *Der implizie Leser: Kommunikationsformen des Romans von Bunyan bis Beckett* (münchen: Fink, 1972).

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ლიტერატურული ტექსტის შესწავლა კითხვის პროცესზეა დამოკიდებული ან როცა ვამტკიცებთ, რომ ამას სისტემატურად ვარიდებთ თავს? გამოორებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ტექსტის შესახებ რაიმე დასკვნის გასაკეთებლად აუცილებელია მისი თუნდაც მცირე ნაწილის (ან ტექსტის ამ ტექსტის შესახებ) წაკითხვა. კითხვის მნიშვნელობა ორი რამით აიხსნება: პირველი იმით, რომ ლიტერატურა არ არის გამჭვირვალე შეტყობინება, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი საკუთრივ შეტყობინება და კომუნიკაციის საშუალებები. მეორე და უფრო პრობლემატური: ტექსტის გამოფრვისას თავს იჩენს ერთგვარი გაურკვევლობის ნარჩენები, რომლებიც გრამატიკული საშუალებებით უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად ეს ვერ ხერხდება.<sup>12</sup>

უფრო ზუსტად, რას გულისხმობს დე მანი „გრამატიკულ კითხვაში“? სავარაუდოდ, შინაარსზე ორიენტირებულ კითხვის პროცესს, რომელიც შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს „ექსტრალინგვისტურ განზომილებაში“ და არა ენაზე ორიენტირებულს, რომელსაც დე მანი „რიტორიკულს“ უწოდებს. დე მანის აზრით, რადგან გრამატიკული (შინაარსზე ორიენტირებული) კითხვა სრულად ვერ ავლენს იმას, რასაც ტექსტი გვთავაზობს, ხოლო „გაურკვევლობის ნარჩენები“ ყოველთვის მნიშვნელობის მიღმა რჩება და არასოდეს უერთდება რაიმე კონკრეტულ კითხვის სახეს, მკითხველის ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ტექსტის ფორმალურ ხასიათზე. აშკარაა, რომ დე მანი იმ ფილოლოგთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ლიტერატურას თვითრეფლექსიური პოტენციალის საშუალებით განსაზღვრავენ.

იმ ტექსტური მასალის სემანტიკური გამოუსწორებლობიდან გამომდინარე, რომელიც ეხება ტექსტის ფორმალურ თავისებურებებს, ლიტერატურულ კითხვასა და ფილოლოგიურ კითხვას რაღაც უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ავტორისა და მკითხველის როლების გამოვლენაა. ორივე შემთხვევაში არსებობს გარკვეული დაბრკოლებები, მაგრამ განსხვავება სწორედ დაბრკოლებათა ხასიათშია და მათ გადალახვაში. ორივე სახის მკითხველი ეწინააღმდეგება სიცარიელესა და ვარიანტებს, იბრძვის გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ არა დამატებითი პერსპექტივებით ან მოჩვენებითი ტავტოლოგიური გზებით. ასეთი წინააღმდეგობების გადალახვისას კითხვის ეს ორი სახე უკავშირდება დე მანის თეორიის კონცეფციას: „ლიტერატურულ-

---

12. დე მანი, *წინააღმდეგობა*, 15.

ლი თეორია შემოდის მაშინ, როცა ლიტერატურული ტექსტებისადმი მიდგომა აღარ ემყარება არალინგვისტურ, ისტორიულ და ესთეტიკურ მსჯელობას ან რბილად რომ ვთქვათ, დისკუსიის საგანია არა ნაწარმოებისა და მისი ალქმის მნიშვნელობა ან ღირებულება, არამედ მისი მოდალობა.<sup>13</sup> ამგვარი განმარტება გვიჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებას ლიტერატურულ მეცნიერებაში: გამოძიება იმისა, თუ როგორ მიმართავს ენა მსოფლიოს, იცვლება იმის გამოძიებით, თუ როგორ იქმნება *შთაბეჭდილება, თითქოს ის მართლა მსოფლიოს მიმართავდეს*. ლოგიკურია, რომ დე მანი „თეორიისადმი წინააღმდეგობას“ აღწერს როგორც წინააღმდეგობას „თვითონ ენისადმი ან იმ ფაქტორებისადმი, რომლებიც ინტუიციამდე არ დაიყვანება“.<sup>14</sup> ანუ როგორც „ენის რიტორიკულ ან ტროპოლოგიურ განზომილებას, რომელიც ალბათ ლიტერატურაში წინა პლანზე დგას, ვიდრე სხვა სიტყვიერი გამოვლინება.“ კიდევ ერთი ნაბიჯით წავინიოთ წინ და ვნახავთ, რომ თეორიისადმი წინააღმდეგობა საბოლოოდ „ფენომენიზაციას“<sup>15</sup> წარმოშობს, რაც დაკავშირებულია ენის ეფექტებისა და რეალური მოვლენების აღრევის ჩვევასთან.

იბადება კითხვა, გარკვეული როლების მიღება და აღიარება ხომ არ განიხილება როგორც „თეორიისადმი წინააღმდეგობა“?<sup>16</sup> პასუხი, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ წინაპირობაზე, რომელიდანაც მომდინარეობს ამგვარი როლები. ტექსტის რედაქტირებისას ერთ-ერთი რეალური საფრთხეა ავტორისა და მკითხველის როლების იმგვარი იდენტიფიკაცია, რომელიც ექსტრაპოლირებულ კონსტრუქციებს როგორც ფიგურებს, პერსონაჟებს ან რეალური ადამიანის „ხმებს“, ისე აღიქვამს. მენენდეს პიდალის სარედაქტორო საქმიანობა ცხადყოფს რედაქტორებს შორის ამგვარი სურვილის არსებობას (ვფიქრობ, არცთუ იშვიათად). ის ალბათ ვერასოდეს ჩამოყალიბდებოდა დიდ ფილოლოგად, რომ არა ამგვარი სურვილის არსებობის შესახებ ცოდნა და თავის არიდება, რაც დაეხმარა მას შუა საუკუნეების ფოლკლორის მომღერლებთან გაიგივება თავისი გამოკვლევის ყველაზე სახალისო და პროდუქტიულ მხარედ ექცია. ის რომ ამ სურვილთან მიმართებაში გულუბრყვილო ყოფილიყო,

13. იქვე, 7.

14. იქვე, 12, 17. დე მანის დებულებაზე საუბარს არ ჩავუღრმავებდი, უბრალოდ მინდა გამოვყო პარადოქსი, თითქოს „თეორია“ აუცილებლად გულისხმობდეს „წინააღმდეგობას თეორიისადმი“.

15. იქვე, 19.

16. რა თქმა უნდა, მოხდეს იმ ვარაუდით, რომ გვსურს ცვლილებები მიმართული იყოს ეფექტებით დაინტერესებისაკენ.



აუცილებლად წამოაყენებდა გარკვეულ პრეტენზიებს (თითქოს ვინც ავტორს ამოიცნობს, ის სრულად შიფრავს ტექსტის მნიშვნელობას). ამგვარი დარწმუნებულობა მენენდეს პიდალს ალბათ უბიძგებდა საკუთარი გემოვნება ფილოლოგიური გადანყვეტილებების კრიტიკრიუმად ჩაეთვალა და როგორც რედაქტორს, ტაქტიანობის ყოველგვარი საზღვარი დაერღვია. სურვილისადმი მსგავსი მორჩილება კი თავის მოტყუების წინაპირობაა. ხშირად ივინყებენ, რომ „ნამდვილი“ ავტორი და მისი მემკვიდრეობა, უმეტეს შემთხვევაში, მიუწვდომელია (განსაკუთრებით როცა ავტორი ცოცხალი აღარ არის).

პრაგმატიკისა და მეტყველების თეორიის შეპირისპირებიდან გამომდინარე, საინტერესოა, რაზე დამყარებით გადაჭრიდა დე მანი ფილოლოგიურ პრობლემებს. ხომ არ გამოორიცხავდა ის ავტორისა და მკითხველის როლების ამ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას? ერთადერთი, რაც ვიცით, არის ის, რომ დე მანი საკუთარ თავს ფილოლოგის მთავარ როლს უკავშირებდა, თუმცა, ალბათ, გარკვეული ირონიით. ის თავის კითხვის მანერას არა მხოლოდ ფილოლოგიურს, რიტორიკულსა და ტექნიკურსაც უწოდებს. ცხადია, ის ეყრდობოდა ასლებსა და მომხიბლავი ფილოლოგიური, რიტორიკული და ტექნიკური კითხვის მაგალითებს, რომლებიც მრავლად იყო მის ესსეებსა და სხვა პერიოდულ განმარტებებში: „ამგვარი კითხვა შესაძლოა გრამატიკული სტრუქტურის მეთოდოლოგიურ დაშლად გვეჩვენებოდეს და სინამდვილეში ჯანსაღი და ეფექტური იყოს. ტექნიკურად გამართული კითხვა მოსაწყენი, მონოტონური, წინასწარ პროგნოზირებადი და არასასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს უცილობელია.“<sup>17</sup> უნდა გავიგოთ თუ არა „უცილობელი კითხვა“ როგორც ტექსტზე დამყარებული კითხვის იდეალი? მე არ გამოვრიცხავ, რომ დე მანი ისწრაფოდეს გარკვეული ტექსტუალური ანალიზის რაციონალურობისა და საბოლოობისკენ, რომელიც გაერთიანდებოდა და ჩამოყალიბდებოდა როგორც „ტექსტუალური ლოგიკა“ და ექნებოდა საკუთარი წესები და ტექნიკა. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ დე მანი გულისხმობდა კითხვის ისეთ მანერას, როცა გათვალისწინებულია მისი ყველა პირობა და შეზღუდვა, ხოლო დასკვნები გამოტანილია მხოლოდ სპეციფიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით. ეს სულაც არ გამოორიცხავს და შეიძლება მოიცავს კიდევ ავტორისა და მკითხველის როლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს როლები არ

---

17. დე მანი, *წინააღმდეგობა*, 19.

წარმოადგენს იდენტიფიკაციის ობიექტს და მხოლოდ იმისთვისაა შექმნილი, რომ ფილოლოგიური სამუშაო უფრო გამჭვირვალე, მისაღებად ან უარსაყოფად უფრო იოლი გახადოს. ინდივიდუალური კითხვა და ინდივიდუალური რედაქტირება შესაძლოა უცილობელიც იყოს და უარყოფილიც, გამომდინარე ავტორისა და მკითხველის სპეციფიკური როლებიდან. თეორიისადმი ფილოლოგიური წინააღმდეგობა არის უფრო სურვილი იმის ამოცნობისა, რაც არ მიეკუთვნება იდენტიფიკაციას და ტაქტის უკმარისობა, რაც რედაქტორის მიერ ტექსტის საკუთარ ტექსტად ქცევის საფრთხეს ქმნის.<sup>18</sup>

☞ ☞ ☞ მოდით, რამდენიმე ნუთით უკან მოვიხედოთ. ჩემი დისკუსია ფილოლოგიური საქმიანობის შესახებ პრაგმატული (იგულისხმება „ლინგვისტური პრაგმატიკა“) კუთხით ხაზს უსვამს იმას, რომ შეუძლებელია ტექსტის რედაქტორმა თავი აარიდოს როლების მრავალფეროვნებას მუშაობის პროცესში. ამ პრაგმატული მოსაზრების პოლდე მანისეულ კონცეფციასთან შეპირისპირება ინვესს აუცილებლობას დავაკონკრეტოთ, რომ ამ როლების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს როგორც ჰერმენევტიკული კონსტრუქციების და გამოირიცხოს იდენტიფიკაციის სურვილი, რათა შევინარჩუნოთ ნათელი განსხვავება ტექსტის რედაქტირებასა და *Nachdichten*-ს შორის. ამგვარად, ჩემი დისკუსია არის კრიტიკა ტექსტზე დამყარებული ფილოლოგიური პრინციპისა, რომელსაც ისეთივე გავლენა აქვს ფილოლოგიაზე, როგორც ჭეშმარიტების კონცეფციებს ჰქონდათ ფილოსოფიაზე. სანამ ჩვენ სიცხადისა და ჭეშმარიტების ლიმიტებით შემოვისაზღვრებით, მუდამ გვექნება იმის მოლოდინი, რომ ჩვენი მუშაობა საკითხებისა და პრობლემების „სწორ“ გადანყვეტამდე მიგვიყვანს. ლინგვისტურ-პრაგმატული მიდგომა კი სწორედ ისეთ შედეგებს გვთავაზობს, როგორსაც მონოლითური ჭეშმარიტების კონცეფციები ფილოსოფიურ პრაგმატიზმში. აქ ჭეშმარიტების პოვნის მოლოდინის ნაცვლად გვაქვს მოლოდინი პოზიციათა სიმრავლის წარმოშობისა.<sup>19</sup> შესაძლებელია მავანი შემოგვედავოს, რომ ფილოლოგიური საქმიანობა ხელს იღებს „სწორი“ რედაქტირების იდეაზე და იწყებს სიმრავლის, კამათისა და არგუმენტების სივრცის დაპყრობას.

18. დე მანის შესახებ ჩემი დისკუსია და მის მიერ შემოთავაზებული გადანყვეტებისადმი ექსპერიმენტული მიდგომა უკავშირდება მიგელ ტამენთან საუბარს.  
19. იხ. რიჩარდ როტრის უამრავ ესსეში, სადაც ხდება ჭეშმარიტების ფილოსოფიური კონცეფციების პრობლემატიზება. აგრეთვე „აქვს თუ არა აკადემიურ თავისუფლებას ფილოსოფიური პირობითობა?“, გამოცემაში *აკადემიური თავისუფლების მომავალი*, გამომცემელი ლუი მენანდი (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამოცემა, 1996), 2142.

სიმრავლის ფილოლოგიური კონცეფცია განსხვავდება ინდივიდუალურ მოსაზრებათა განუსაზღვრელობის ლიბერალური (თუ „ნეოლიბერალური“) იდეალისგან. მე, რა თქმა უნდა, შორს ვდგავარ იმ სიტუაციის დაცვისგან, როცა თითოეული რედაქტორი ცდილობს განავრცოს „პირადი“ ვერსია. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ავტორის როლები, როგორც ევრისტიკული მონყობილობა, წარმოშობს კითხვის სხვადასხვა სახესა და მკითხველთა სხვადასხვა ჯგუფს. ჯგუფებისა და ავტორის შესაბამისი როლების სიმრავლეში შესაძლებელი უნდა იყოს ადეკვატური გამოცემებისა და ინტერპრეტაციის გარჩევა. მაგალითად, გოეთეს *ფაუსტისადმი* რომანტიკული და იდეალისტური მიდგომა შესაძლოა არათანაზომიერად მიიჩნეოდეს მაშინ, როცა შესაძლებელია ამ ორი სკოლის შედარება რაციონალური კრიტერიუმების მიხედვით. აკადემიური სივრცის ალასდაირ მაკინტიარისეული სტრუქტურა, საიდანაც მე განვაგრცე ჯგუფთა და ვარიანტთა სიმრავლის იდეა, გვეხმარება გავიგოთ კიდევ ერთი განსხვავება ფილოლოგიურ სიმრავლესა და უსასრულო ინტელექტუალურ პლურალიზმს შორის.<sup>20</sup> მართალია ეს არ გულისხმობს რომელიმე სკოლის პოლიტიკური, სოციალური ან ესთეტიკური მოსაზრების დაცვას, მაგრამ მოითხოვს როგორც ზოგადი, ისე ამა თუ იმ სკოლისადმი დამახასიათებელი სპეციფიკური ტექნიკის ცოდნასა და ტაქტიანობას. ტაქტი აქ იმაში გამოიხატება, რომ რედაქტორების სტილი ფილოლოგიური სკოლების სტილს უნდა შეესაბამებოდეს და არა ინდივიდუალური რედაქტორებისას. სოციოლოგიური თვალსაზრისით, ფილოლოგია ზოგადად და მისი სკოლები იზიარებენ გარკვეულ უნარებსა და გილდიას და ინტერპრეტატორისთვისაც კი, ალბათ, საუკეთესო აზრი იქნებოდა ამ სტატუსის დაბრუნება და არა ინდივიდუალურ მოსაზრებათა არეულ სიმრავლეში ჩათრევა.

„ნეოფილოლოგიური“ მოძრაობა, რომელიც 1990-იან წლებში თითქმის ყველა შუასაუკუნებრივ სწავლებაში ცხარე დებატებს იწვევდა, ჩემი წინადადების საუკეთესო ილუსტრაციაა.<sup>21</sup> ახალი ფილოლოგია ფოკუსირდება ინდივიდუალური ტექსტების სხვადასხვა

20. ალასდაირ მაკინტიარი. *მორალური ძიების სამი საპირისპირო ვერსია: ენციკლოპედია, გენეალოგია და ტრადიცია* (Notre Dame, Ind.: University of Notre Dame Press, 1990), განსაკუთრებით 216-36.

21. ჟურნალ *Speculum*-ის 1990 წლის გამოცემა ახალი ფილოლოგიის “ფუქემდებლურ დოკუმენტად” იწოდება. ამ მოძრაობის ახალი საინტერესო დისკუსიისთვის იხ. *Zeitschrift für Deutsche Philologie* 116 (1997), სპეციალური გამოცემა სათაურით “*Philologie als textwissenschaft: Alte und Neue Horizonte.*”

ვერსიასა<sup>22</sup> და ამ ტექსტის ჩვეული ვარიანტების გავრცელებაზე. ვარიაციებსა და ვარიანტებზე ასეთმა ხაზგასმამ ახალი ფილოლოგიის მიმდევრებს შორის გამოიწვია ხელნაწერებითა და მათი მატერიალური სტატუსით დაინტერესება. ამგვარად, ახალი ფილოლოგია შეესატყვისება ვარაუდს სუსტი რედაქტორი-სუბიექტისა და სუსტი ავტორი-სუბიექტის არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა სიტყვა „სუსტის“ გამოყენება არ ემყარება ღირებულების შესახებ მსჯელობას. ეს უფრო ისეთი სიტუაციაა, როცა უპირველეს ყოვლისა, ავტორის როლის დონეზე ტრანსმისიის პროცესი მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე ინდივიდუალური ავტორი, ხოლო რედაქტორის დონეზე ტექსტის ზუსტი წარმოდგენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მეშვეობით მანიპულაცია ან მისი შეცვლა. მეორე, სუსტი სუბიექტის კონცეფცია ცდილობს გვიჩვენოს გარკვეული კავშირი (რაც არ უნდა მინიმალური იყოს) დღევანდელ ფილოსოფოსებსა (რედაქტირების პრობლემებით ყოველგვარი დაინტერესების გარეშე)<sup>23</sup> და რედაქტირების ნეოფილოლოგიურ სტილს შორის. ამასთან, მეცნიერს უნდა ჰქონდეს სპეციფიკური თვისებები, რათა რედაქტირების საქმეში განეკუთვნებოდეს ნეოფილოლოგთა ჯგუფს. ის უნდა ერკვეოდეს პალეოგრაფიაში, შეეძლოს ხელნაწერის მატერიალური სტატუსის აღდგენა და უნდა იყოს კომპეტენტური ტექსტის მსვლელობასა და მის გაშუქებას შორის კავშირის ანალიზში. ამ თვალსაზრისით, ახალი ფილოლოგია არის ხელოვნების ერთგვარი გილდია. ეს მაგალითი გვცხმარება გავიგოთ, რომ ნეოფილოლოგიურ და ლახმანისეულ კრიტიკულ რედაქტირებას შორის კავშირი არათანაბარზომიერების გამოვლინებაა. ყოვლად დაუშვებელია მათი ურთიერთშედარება და ურთიერთშეპირისპირება, რადგან ორივე მათგანი მომდინარეობს ევრისტიკული წინაპირობიდან, ერთს ახასიათებს სუსტი სუბიექტი, ხოლო მეორეს — ძლიერი ავტორი და რედაქტორი.

- 
22. თუკი შესაძლებელია „ინდივიდუალური ტექსტის“ თვითმყოფადობა ისეთ ინტელექტუალურ სიტუაციაში, რომელიც ხაზს უსვამს ტექსტის ვარიაციებსა და ვარიანტებს.
23. „სუსტი ობიექტის“ კონცეფცია მომდინარეობს ჯანი ვატიმოს „სუსტი აზროვნების“ კონცეფციისგან (*pensiero debole*). ვატიმო თავის ერთ-ერთი ბოლო ნიგში – **ინტერპრეტაციის მიღმა: ფილოსოფიური ჰერმენევტიკის მნიშვნელობა** (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1997) ნათლად გვიხატავს, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს „სუსტი სუბიექტურობა“ ინტერპრეტაციის პროცესზე. „სუსტი სუბიექტურობის“ შესახებ ჩემი საკუთარი ექსპერიმენტი იხ. გამოცემაში *V Coloquio UERJ: Erich Auerbach (Rio de Janeiro: Imago, 1994)*, 117-25.

ასეთი განსხვავებული ფილოლოგიური სტილები შეიძლება სხვადასხვა ეროვნული და დისციპლინარული კულტურის ნაწილი გახდეს. მაგალითად, მენენდეს პიდალის ზეგავლენამ ესპანურ სწავლებაზე, განაპირობა კონცენტრაცია ტექსტის ვარიანტებზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ესპანური ლიტერატურის კანონიკური ტექსტებისადმი მიძღვნილ გამოცემათა ნაკლებობა. შეიძლება ითქვას, რომ მენენდეს პიდალმა გააცოცხლა ზეპირი ტრადიცია, რომელიც, მართალია, ევროპის სხვა ქვეყნებში არ გავრცელებულა, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ესპანეთში. თუკი არსებობს კავშირი ეროვნულ კულტურასა და რედაქტირების სტილს შორის, მაშინ ამდაგვარი კავშირი შესაძლებელია ვეძიოთ რედაქტირების სტილსა და ისტორიულ პერიოდს შორისაც. ნეოფილოლოგიური მიდგომა სრულიად შეეფერება შუა საუკუნეების ადგილობრივ ტექსტებს, მაშინ, როცა კრიტიკული გამოცემები ისტორიულ კონტექსტსა და იმ ლიტერატურულ ჟანრებში ჯდება, რომლებიც ფოკუსირდებიან ავტორის გენიალობაზე. სქესი ფილოლოგიურ აზრთა სხვადასხვაობის კიდევ ერთი მიზეზია. ბუნებრივია, რომ ავტორის სქესი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ფილოლოგიურ გადაწყვეტილებებზე, თუმცა ეს ფაქტი არ შეესაბამება ფილოლოგიურ კრიტერიუმებს. ამგვარად, აღმოჩენამ თანამედროვე ესპანელი პოეტის, ფედერიკო გარსია ლორკას სექსუალურ ორიენტაციაზე, შეცვალა როგორც მისი ტექსტების აღქმის, ისე რედაქტირების სტილიც.<sup>24</sup> ეს ინოვაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გამოცემები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ლორკას პიროვნების ამ თავისებურებას, არასწორია. უბრალოდ ისინი არ შეესაბამება აღმოჩენის შემდეგ გამოსულ გამოცემებს.

მაგრამ არსებობს ან უნდა არსებობდეს რედაქტორის სპეციფიკური როლი მისი სქესიდან გამომდინარე? ვფიქრობ, სურვილი ამგვარი სქესობრივი (ან ეროვნული, ასაკობრივი) სპეციფიკის მოძიებისა საკმაოდ პრობლემატურ სიტუაციებს შექმნის, თუნდაც ფილოლოგიური თვალსაზრისით. ლორკას ლექსების გამოცემა, რომელიც ადაპტირებული სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ მკითხველთათვის (თუკი ეს რა თქმა უნდა შესაძლებელია), უფრო *Nachdichtung*-ის მხარეს უნდა იყოს, ვიდრე ფილოლოგიის, როგორც

---

24. მე ვიტყვდი, გარსია ლორკას ჰომოსექსუალობის შესახებ საუბრისა და წერის ერთადერთი დისციპლინარული უფლება.

უნარის. ამის მიუხედავად, რედაქტირებისა და რედაქტორის როლის ასაკობრივმა სპეციფიკამ შესაძლოა წინ წამოინიოს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, კიდევ ერთი ათწლეული იქნება საჭირო მათი ახალ ფილოლოგიურ სტილად და სკოლად ჩამოყალიბებისთვის. მაშინ ტექსტის რედაქტირების ამგვარი სპეციფიკა უნდა განიხილებოდეს როგორც ავტორისა და რედაქტორის განსხვავებული როლები და მოიპოვის ევრისტიკული კონსტრუქციის ის სპეციფიკური სტატუსი, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი, ხოლო გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ავტორისა და რედაქტორის იმ როლს, რომელიც არ იქნება სქესობრივ თავისებურებაზე დამოკიდებული. რამდენადაც ტექსტის რედაქტირება გულისხმობს როლებსა და არა პიროვნებებს, ეს ფილოლოგიური ტაქტის გამოვლინება იქნებოდა.



## კომენტარების ღართვა

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, კომენტატორის როლი დავუქვემდებაროთ ინტერპრეტატორისას. პრაქტიკული ვარიანტების სიმრავლისა და ფუნქციური ცვლილებების პირობებში ინტერპრეტაცია ყოველთვის ნანარმოების მნიშვნელობას განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად ინტერპრეტატორის მიერ გამოგონილ მნიშვნელობას ჰგავს (და ხშირად ძალიან ძნელია მნიშვნელობის იდენტიფიკაციის გამოყოფა მნიშვნელობის პროექციისაგან), ჩვენ ინტერპრეტაციის კონცეფციას მაინც ვუკავშირებთ არა მნიშვნელობათა პროექციის თავისუფლებას, არამედ ტექსტის ჭეშმარიტი მნიშვნელობის გარკვევას, დამოუკიდებლად ინტერპრეტატორის პირადი განზრახვებისგან. თუკი ინტერპრეტატორი თავის ამოცანას სწორედ ასე აღიქვამს, მის წინაშე დგება ახალი პრობლემა – ასიმეტრია ტექსტის მიერ შემოთავაზებულ ზოგად და სპეციალიზებულ ცოდნასა (მნიშვნელობის იდენტიფიკაციის პირობები – „განზრახული“, „ორიგინალი“, „ისტორიული“, „ადეკვატური“, „ჭეშმარიტი“) და მის ხელთ არსებულ ცოდნას შორის. სწორედ კომენტატორის მოვალეობაში შედის კომენტარის საშუალებით გადალახოს ეს ასიმეტრია და ერთმანეთს დაუკავშიროს განსხვავებული კულტურული კონტექსტები (ტექსტის ავტორის მიერ პირველი მკითხველისათვის შეთავაზებული და თანამედროვე ისტორიული ეპოქის მკითხველის). ამ კუთხით, კომენტარი ყოველთვის უზრუნველყოფს ტექსტს დამატებითი ინფორმაციით და ინტერპრეტაციასთან მიმართებაში ერთგვარ დამხმარე ფუნქციასაც ასრულებს.

ზემოთქმული არ სცდება ფილოლოგიური საქმიანობის ორ ყველაზე ცენტრალურ და საპატიო კონცეფციას, ხოლო ის პერსპექტივა, რომელზეც ახლა მსურს ვისაუბრო, მისთვის მუდამ დამახასიათებელი იყო. თუმცა ჩემი პერსპექტივა განსხვავდება კომენტარის კლასიკური სურათისგან, ის მთლიანადაა დამოკიდებული ინტერპრეტატორზე, რადგან ახდენს ორგვარ პროექციას, კომენტარისა

და ინტერპრეტაციის ორ ურთიერთშეპირისპირებულ მიმართულებას შორის პოტენციური კავშირის თემატიზებას. 1960 წლიდან დღემდე მკითხველის თავისუფლების, მნიშვნელობათა სიმრავლის, როგორც ტექსტის პოტენციალის, ინტერპრეტაციის დაუსრულებელი პროცესის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრების შემდეგ მაინც ვფიქრობ, რომ ყოველდღიურ პრაქტიკაში ინტერპრეტაცია არის პროცესი, რომელსაც გარკვეულ დასკვნამდე მივყავართ. რასაც ამ პროცესისგან ველით, არის სიტუაცია, როცა ჩვენ მივხვდებით, რომ გავიგეთ ტექსტი (ნაწარმოები), გაგება კი გულისხმობს შთაბეჭდილებას, თითქოს ვიცით რისი თქმა სურდა ავტორს ან როგორი სურდა ტექსტი ყოფილიყო. ინტერპრეტაციის განსაზღვრული ხასიათის ეს თავისებურება არის სწორედ მიზეზი საშუალო განათლებაში მისი, როგორც საშინაო დავალების ძირითადი სახის და საკონტროლო წერის დავალების წარმატებისა. კომენტარი კი წარმოადგენს დისკურსს, რომელიც არასოდეს სრულდება. ინტერპრეტატორისგან განსხვავებით, რომელიც თავს ვერ არიდებს ავტორი-სუბიექტის როლს (და ხშირად აყალიბებს კიდევ მას), კომენტატორმა ზუსტად არასოდეს იცის (თუნდაც არასაკმარისი კომპეტენციის გამო) იმ პიროვნების მოთხოვნები, რომლისთვისაც კომენტარს წერს. შეიძლება გულდასმით განისაზღვროს მოცემული ტექსტის თანამედროვე მკითხველის მოთხოვნები, მაგრამ წინასწარ ვერასოდეს განჭვრეტ, რისი ახსნა შეიძლება დაგჭირდეს მკითხველთა მომავალი თაობისთვის. სწორედ აღნიშნული თავისებურება აქცევს კომენტირებას დაუსრულებელ საქმიანობად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სიტყვა *კომენტარის* ისტორია უამრავ მეტისმეტად ურთიერგანსხვავებულ და ბუნდოვან მნიშვნელობას გვიჩვენებს იმისათვის, რომ ზუსტი დეფინიცია ჩამოვყალიბოთ.<sup>1</sup> განა ეს გაურკვევლობა არ შეესაბამება შთაბეჭდილებას, თითქოს კომენტარები გვანვდიან ძალზე საინტერესო ინფორმაციასა და ცოდნას, მაგრამ არა იმას, რაც ჩვენ გვჭირდება და რისთვისაც კომენტარს ვკითხულობთ?

---

1. იხ. ანფრედ ფურმანი, „Kommentierte Klassiker? Über die Erklärungsbedürftigkeit der klassischen deutschen Literatur“, გამოცემაში *Warum Klassiker? Ein Almanach zur Eröffnungsedition der Bibliothek deutscher Klassiker*, გამომცემელი გოტფრიდ ჰონერფელდერი (Frankfurt am Main: Deutscher Klassiker Verlag, 1985), 37-57; „ამ სიტყვის შესახებ ხელმოსაჭიდი არაფერია, რადგან მას კლასიკურ ანტიკურობაში თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობის მნიშვნელობა ჰქონდა“ (49).



ეს კონტრასტი ინტერპრეტაციის განსაზღვრულ და კომენტარის უსასრულო ამოცანებს შორის, რომელიც გამონეუ-ლია, ალბათ, უფრო შესრულების გავრცელებული გზებით, ვიდრე მათ შორის არსებული „ლოგიკური“ განსხვავებით, განაპირობებს ინტერპრეტაციისა და კომენტარების მრავალრიცხოვან ტოპოლო-გიას. ინტერპრეტაციის ეტაპების ტოპოლოგია გულისხმობს იდენ-ტიფიკაციას, როგორც ვერტიკალურ პროცესს. ინტერპრეტატორი აღწევს „ზედაპირს“ შიგნით, რათა ჩანვდეს ტექსტის მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ სულიერ „სიღრმეშია“ წარმოდგენილი.<sup>2</sup> ალტერნა-ტიული ტოპოლოგიის მიხედვით ინტერპრეტაცია არის ტექსტის ამა თუ იმ სახის „უკან“ ავტორის რეალური განზრახვის ამოცნობა. ამ ჰერმენევტიკულ ტოპოლოგიებს აკავშირებთ კატეგორიული, მეტ-იც, დრამატული განსხვავება პირველად აღქმად დონესა და მნიშვნ-ელობის „დამალულ“ დონეს შორის, რომელიც ინტერპრეტატორის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

კომენტარება არ არის მიმართული ტექსტის ზედაპირს მიღმა ან მის „უკან“, „ქვემოთ“ დამალული დონისკენ, მაგრამ არც „ზემო-დან“ დაჰყურებს შესასწავლ ტექსტებს და არც ცნობილი „დისტან-ციიდან“, რასაც ჩვენ ობიექტურობასთან ვაიგივებთ. ჩვენ სულაც არ ვითხოვთ, რომ კომენტარმა ბოლომდე გაშიფროს ტექსტის მნიშ-ვნელობა, არამედ პირიქით, იყოს მისი დამატებითი, არაძირითადი ერთეული, ხოლო კომენტატორი დაკავშირებული იყოს არა იმდენად ავტორთან, რამდენადაც თვითონ ტექსტთან. სწორედ ამ კავშირით აიხსნება ის თუ რატომ არის კომენტარის მატერიალური ფორმა დამოკიდებული ტექსტის ფორმაზე და ადაპტაციასაც კი ახდენს მასთან. სტრიქონს დართული განმარტებები კომენტარის ერთ-გვარი სახეა და ამასთან, სიტყვა *კომენტარის* არცერთ ლექსიკონურ განმარტებაში არაა ნათქვამი, რომ ამგვარი რამ ნორმას არ შეესაბა-მება.<sup>3</sup> რადგან მეტისმეტად გაიზარდა ამ სიტყვის აბსტრაქცია, მი-ვუთითოთ, რომ კომენტარის ადგილი, ხელნაწერის თუ დაბეჭდილი

2. იხ. ჩემი ესეე „Das Nicht-Hermeneutische: Skizze einer Genealogie“ გამოცემაში *Die Wiederkehr des Anderen: Interventionen*5, გამომცემელი იორგ ჰუბერი და ალიოს მარტინ მიულერი (Basel: Stroemfeld/Roter Stern, 1996), 17-36.
3. იხ. შემთხვევითი მაგალითი, Claus Trager, ed., *Wörterbuch der Literaturwissenschaft* (Leipzig: Bibliographisches Institut, 1986), 270: *Kommentar* {lat. commentarius: Notiz, Tagebuch, Denkschrift}: fortlaufende sprachl. (grammat., stilist., aich metr.) sachl. asthet., history. Erläuterung eines Literaturwerkes unter dem Text oder auch separate; als Scholion (PL. -ien) zu HOMER usw. bereits in der Antike – auch als Interlinear-K. – existent.

ნიგნის გვერდებზე, არის თვითონ ტექსტის ველი. ეს აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ტექსტის მატერიალური ფორმა და დისკურსიული წყობა განსაზღვრავს კომენტარის მატერიალურ ფორმასა და დისკურსიულ წყობას. მე პირადად, ჩემდაუნებურად, კომენტარის კონცეფციას ვუკავშირებ მე-17 საუკუნის ბეჭდურ გამოცემის *Las Siete Partidas* ვიზუალურ მოგონებას, რომელიც მე-13 საუკუნეში კასტილიის მეფის მიერ გამოცემულ კანონთა კრებულს წარმოადგენს და უძველესია ჩვენამდე მოღწეულთა შორის. კანონის ტექსტი იკავებს გვერდის ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ გარშემორტყმულია მცირე შრიფტით დაბეჭდილი და ტექსტთან საკმაოდ კომპლექსურად დაკავშირებული კომენტარებით. ამრიგად, *Siete Partidas* ქმნის სისავსის ძლიერ შთაბეჭდილებას და შეიძლება დაინტერესდეს კიდეც, რატომ არ არის მის მატერიალიზებულ სტრუქტურაში სტრუქტურული პრინციპი (ან სტრუქტურული პარადოქსი), რომელიც კომენტარის ჟანრის შემადგენელი იქნებოდა. ერთი მხრივ, კომენტარის „აუცილებელი“ დასასრული განსაზღვრული არ არის, მეორე მხრივ კი მისთვის დათმობილი ადგილი (და მკითხველის დრო) ყოველთვის შეზღუდულია, რადგან დეფინიციის მიხედვით ეს არის ადგილი (დრო) „ველებზე“.

✂ ✂ ✂ აღნიშნული სტრუქტურული პრინციპი ან სისავსის შთაბეჭდილებას განაპირობებს (*Siete Partidas* მსგავსად კარგად დაბალანსებული ტექსტისა და კომენტარის პირობებში) ან, თუ ველები არ შეივსება, სიცარიელის, ან ამოსავსებელი სივრცისა და განსაზღვრები კომენტარის შეგრძნებას. ჩნდება კითხვა: კარგი კომენტარი ყოველთვის სისავსეს და ჟანრის სიუხვეს ხომ არ გულისხმობს? რალა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს რაოდენობას, მაგრამ მდიდარი კომენტარი შეიძლება იყოს ცუდი, რადგან მაგალითად მის მიერ მონოდებულმა ინფორმაციამ არ დააინტერესოს მკითხველი (თუკი ასეთი რამ მის სიაკვარგეზე საერთოდ გავლენას ახდენს) ან კიდე უარესი, არასაიმედო აღმოჩნდეს. არსებობს ისეთი შემთხვევაც, როცა კომენტარის რაოდენობა მის გამოყენებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. მიუხედავად ამისა, მაინც გავრცელებულია აზრი, თითქოს კარგი კომენტარი აუცილებლად მდიდარი უნდა იყოს (სისავსისა და ველებზე შეზღუდული ადგილის სემანტიკური გადაკვეთისას ძალაუნებურად გვაგონდება გერმანული სიტყვა *Prall* [გასკდომა]).

კომენტარის რაოდენობისკენ თითქმის უცილობელ და აზარტულ სწრაფვასა და კომენტატორის მოვალეობებს შორის (რომლებიც ცდილობენ ფილოლოგიური პრობლემები გადაჭრან და უზრუნველგვყონ ისტორიული კონტექსტით საკუთრივ ტექსტთან დაცილების გარეშე), სიუხვის ესთეტიკურობას და მკითხველის ფუნქციურობას შორის, კომენტატორი ცდილობს ჩამოაყალიბოს გარკვეული „მსვლელობა-შეჩერების“ რიტმი. ერთი მხრივ, მათ სურთ მკითხველმა დააფასოს ის უზარმაზარი ცოდნა, რომელსაც ისინი ფლობენ და მეორე მხრივ, არც კომენტარის ფუნქციური სიმკაცრე ავინწყდებათ, თითქოს ითვალისწინებდნენ ჩახლართულ კომენტარში დაბნეული მკითხველის პროტესტს. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული რიტმის მაგალითი:

#### 1. მიმოხილვითი კომენტარი

ამგვარი კომენტარი იწერება შედარებით დიდი კონტექსტისთვის (სუპრასტრუქტურა). ის არ იზღუდება მხოლოდ გამოკვლევის პრეზენტაციით და არც „შესავლის“ ან „ეპილოგის“ ინტერპრეტაციული ჟანრის ეკვივალენტით, არამედ რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოადგენს ტექსტის გაგების ასპექტებს. „სუპრასტრუქტურები“ ეხება ყველა იმ ტექსტუალურ დეტალს, რომელიც მნიშვნელოვანია ამა თუ იმ კუთხით.<sup>4</sup>

ყველა შესაძლებელი ტექსტუალური დეტალის წარმოდგენა და ამავე დროს გარკვეული თვალსაზრისით პოტენციური სისავსის შეზღუდვა არის სწორედ მსვლელობა-შეჩერების ტიპური რიტმი (ან ნაკლებ პარადოქსული დისკურსიული პრინციპი). კომენტარის დიდი თავისუფლება და დიდი პრობლემა ისაა, რომ შეუძლებელია განჭვრიტო, რისი ცოდნა სურს ამჟამინდელ და მომავალ მკითხველს და ამდენად ის შეიძლება დაუკავშირდეს მოცემული ტექსტის ნებისმიერ დეტალს ან დონეს. სწორედ აქ არის საფრთხე (იქნებ ხიბლი?) იმისა, რომ კომენტარი ტექსტის „ატომიზაციად“ იქცევა და დაკარგავს მასთან კავშირს. მაგალითად, მე-16 საუკუნის *Siete Partidas*-ში შეიძლებოდა ყოფილიყო (მაგრამ არ არის) ინფორმაცია, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან მე-13 საუკუნის არქაულ ენად უნდა მიგვეჩინა: წარმოედგინათ მეფე ალფონსო X-ის ბიოგრაფია, რო-

---

4. პონერფელდერი, გამოცემა *Warum Klassiker?* 315 (ჩემი ხაზგასმა).

მელიც *Partidas*-ის კომპილაციის ინიციატორი იყო, ან კომენტარი გაეკეთებინათ ცალკეული კანონების „დოგმატურ შინაარსზე“ და ა.შ. სამუშაოს სტრუქტურული პრინციპი არის ინფორმაციის სემანტიკურად შეუზღუდავი აკუმულაცია შეზღუდული სივრცის პირობებში.

რამდენადაც კომენტარს ყოველთვის შეიძლება დაემატოს ახალი დონე და ახალი ინფორმაცია თითოეულ დონეზე, ის ხდება ცოდნის ნამდვილი საუნჯე, ემინენტურ ისტორიულ შემთხვევებში. კომენტარებისას შეიძლება გამოვლინდეს გარკვეული ჩამორჩენა, რაც დისკურსის უამრავი კავშირის კომპენსაციას ახდენს. მე ვგულისხმობ შემთხვევებს, როცა კომენტარი იქცევა განსაზღვრულ ადგილად — და ამ მეტაფორის სივრცული განზომილება აქ მნიშვნელოვანია — რომელსაც მაშინ მივმართავთ, როცა ტექსტის საზღვრებს მიღმა დარჩენილი ინფორმაციის მიღება გვინდა. გაიხსენეთ ის უამრავი ტექსტუალური შრე, რომელიც გარს აკრავს მსოფლიოს დიდი რელიგიების საღვთო წიგნებს, დანტეს *Commedia* და მისი *Volgarizzamenti*, ან კომენტარები რომელიმე პოპულარული ძველ ბერძნულ-რომაული სამეცნიერო ტექსტის ირგვლივ. საუკუნეების განმავლობაში არსებობდა გარკვეული ტრადიცია (*Lectura Dantis*), რომელიც უფრო კოსმოლოგიის შესაბამისი კონცეფციის შესავლის როლს ასრულებდა, ვიდრე დანტეს პოემის ინტერპრეტაციისას. რაც უნდა სპეციფიკური ამოცანა ჰქონდეს ამა თუ იმ ტექსტსა და მის კომენტარს, ის საბოლოოდ მაინც სტანდარტულ მიდგომად ჩამოყალიბდება, რომელიც თავს მოუყრის და შეინახავს ყველა ახალსა და ძველ ინფორმაციას. ეს უკანასკნელი ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ ინფორმაციის შენახვა შეიძლება მისი შემდგომი გამოყენების მიზნით და ის ყოველთვის გარკვეულ ადგილას იქნება თავმოყრილი. კომენტარები დანტეზე საჭირო ინფორმაციას შეიცავს ისტორიკოს მეცნიერისათვის, რომელიც არ მოელის არანაირ ესთეტიურობას.

☞ ☞ ☞ უსაფუძვლო არაა მოსაზრება, თითქოს კომენტარის რაოდენობა ტექსტის მნიშვნელობის მაჩვენებელია. ჩნდება საპირისპირო კითხვა: აღნიშნული მნიშვნელობა არის თუ არა ტექსტის ღირებულების ფუნქცია და კომენტარის მატერიალურ აუზრას ხომ არ შეაქვს მნიშვნელოვანი (შეიძლება ითქვას დამოუკიდებელი) წვლილი ტექსტის რეპუტაციაში? არც დანტე, არც შექსპირი, სერვანტესი ან

გოეთე იქნებოდნენ დასავლური კულტურის ასეთი აღიარებული ავტორები, რომ არა მათი ტექსტების ფართოდ გავრცელებული კომენტირება. კომენტარის საშუალებით აღიარება ნიშნავს იმას, რომ „სკოლები“ – ამ სიტყვის როგორც ყველაზე მკაცრი, ისე ყველაზე არაფორმალური გაგებით, სწორედ კომენტარის ინსტიტუტიდან მომდინარეობენ. აქ პირველადი ტექსტების აღიარებული სელექცია, კომენტარის სპეციფიკური დისკურსი და ინტელექტუალური სკოლების არსებობა ხასიათდება საერთო მნიშვნელობით, საერთო მხარდაჭერითა და საერთო ტრანსფორმაციით. *Explication de texte*-ს ცოდნას შეუძლია დიდ ფრანგად გაქციოს, *geistesgeschichtliche Einordnung*-ის ცოდნას კი – დიდ გერმანელად. ის ფაქტი, რომ კომენტარების განსხვავებული სტილი დაკავშირებულია სხვადასხვა ინტელექტუალურ და აკადემიურ სკოლასთან, ნაწილობრივ მაინც ხსნის იმას, თუ რატომ იხრება კომენტარის დისკურსი ანონიმურობისაკენ. კომენტირებისას ილახება ძირითადი სირთულე: მომავალი მკითხველის საჭიროებები განისაზღვრება კარგი კითხვის პროცესზე ზოგადი წარმოდგენის მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომენტატორი უფრო ადრე არსებულ ტრადიციას ეჭიდება, ვიდრე კომენტირების ახალ და სპეციფიკურ კრიტერიუმებს იგონებს.


კომენტარის ანონიმურობისკენ მიდრეკილება კიდევ იმით აიხსნება, რომ ის ყოველთვის ღიაა დამატებებისთვის, შესწორებისთვის, ახალი შრეებისთვის. აქედან გამომდინარე, კომენტარები ყოველთვის პოტენციურად მრავალავტორიანია, რადგან მათი კომპლექსურობა და გახსნილობა არ ითხოვს ერთ ძლიერ (ავტორის ან რედაქტორის) სუბიექტს. ჩვენ ვიცით, რომ ნებისმიერ დროს შეგვიძლია გავიგოთ იმ მეცნიერთა სახელები, ვინც გოეთეს *Bibliothek deutscher Klassiker*-ისთვის კომენტარი დაწერა, მაგრამ (გამომდინარე ინფორმაციის სტრუქტურირების ფორმიდან) კომენტარის სხვადასხვა თავისებურებას ვუკავშირებთ პუბლიკაციას და არა რომელიმე ავტორს. კომენტარი არ იქნებოდა ასეთი მოქნილი და ღია, ვერ გახდებოდა სხვადასხვა სკოლის ჩამოყალიბების საფუძველი, ცალკეულ ავტორს მისთვის ცალსახა ხასიათი რომ მიეცა. რას განიხილავდნენ სკოლის წევრები, კანონიზებული ტექსტები რომ აბსოლუტურად ნათელი ყოფილიყო? მეორე მხრივ, ისინი კამათობენ ტექსტისა და კომენტირების წესის ირგვლივ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ტრადიციები უფრო მეტს გამორიცხავენ, ვიდრე დაუშვებენ.

☞ ☞ ☞ კომენტარის ფუნქციონირების გზები და მისი ავტორის სიცხადე დიდად არის დამოკიდებული კომენტირებული ტექსტის სტატუსზე. კანონმდებლობის კომენტირების ტრადიცია ამის ნათელი მაგალითია.<sup>5</sup> როცა ტექსტი შედგება მკაფიოდ განსაზღვრული, სტრუქტურირებული და ჰომოგენური კანონებისგან, კომენტარი ემსგავსება ინტერპრეტაციას, რადგან მას მხოლოდ ისლა დარჩენია, კანონების „მნიშვნელობის“ განმარტება დაამატოს (საინტერესოა, რომ ამგვარი ტექსტები „კანონმდებელს“ აღიქვამენ როგორც მეთოდოლოგიურად აუცილებელ, მაგრამ „ფიქტიურ“ ფიგურას, რომლის მთავარი მოვალეობაა მოცემულ ინტერპრეტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა). შემთხვევითი არაა, რომ *Brockhaus*-ის ბოლო გამოცემაში იურიდიული კომენტარი განმარტებულია როგორც *ინტერპრეტაციის ერთ-ერთი სახე („Tatbestandmerkmale und Rechtsfolgen Zergliedernd behandelnde Interpretation“)*. ამგვარ კომენტარებს მუდამ ახლავს ავტორის სახელი, რომ შესაძლებელი გახდეს ნაგულისხმევი მნიშვნელობის იდენტიფიკაცია და რაც არ უნდა არარეალურად ჟღერდეს, უზრუნველყოს გარკვეული განსაზღვრულობა. ნებისმიერ მოვლენაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად განსაზღვრულია კომენტარი, *Kommentar*-ის ავტორს მუდამ ახასიათებს ერთგვარი პრესტიჟი, რომელიც სავარაუდოდ გამოწვეულია კანონის ინტერპრეტაციისას გარკვეული ფიქციის წარმოშობით.

ნაცვლად კანონსა და ინტერპრეტაციას შორის გამყოფი ხაზის გავლებისა, ტრადიცია გულისხმობს გარკვეული პრინციპების ინტერპრეტაციის უწყვეტ პროცესს (ინტერპრეტაციის ინტერპრეტაცია და ა.შ.). გერმანული *Kommentar*-ის ეკვივალენტი (თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს) არის შესაბამისი დოკუმენტების შეგროვება, სტრუქტურირება და სისტემატიზაცია. აშშ-ში ამ დავალებას 75 წლის განმავლობაში ამერიკის სამართლის ინსტიტუტი ასრულებდა. ამ დაუსრულებელი ამოცანის შესრულება არ შეიძლება განხორციელდეს რომელიმე ინდივიდუალური მეცნიერის მიერ, მის შესასრულებლად სპეციალური ინსტიტუტი იქმნება.<sup>6</sup>

5. ჩემი არგუმენტის ამ კონტექსტისთვის მაღლობას ვუხდი გერჰარდ კასპერს.

6. ინსტიტუტის ამ პროექტთან დაკავშირებული საინტერესო მიმოხილვა მოცემულია *ამერიკის სამართლის ინსტიტუტის 75-ე ყოველწლიური კრების შენიშვნები მიმართვებში*, მაისი 11-14, 1998 (ვაშინგტონი, 1998)

 კომენტარი ყველა დეკონსტრუქტორის ოცნებაა – და დეკონსტრუქტურული ტრადიციისა და კომენტარის დისკურსის (ლარიბი ფილოლოგიური საქმიანობის იმიჯით) სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დეკონსტრუქციამ კომენტარის დისკურსის ზოგიერთი პრინციპი მაქსიმალურად გამოიყენა. დასავლური „ლოგოცენტრიზმის“ ჟაკ დერიდასეული კრიტიკა ემყარება იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია ყოველ წუთს სრული ტექსტი იქონიო გონებაში.<sup>7</sup> ნაცვლად მოცემული ტექსტის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების შეჯამებისა, დეკონსტრუქცია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მიმდინარე კომენტარის განახლების ტრადიციას ემსახურება. დეკონსტრუქციული კითხვა პირველადი ტექსტიდან გამომდინარე ხორციელდება და მისი ტექსტუალური გამოვლინება ყოველთვის დაკავშირებულია ტექსტისადმი დამოკიდებულებასთან. ეს არის კითხვა, რომელიც მიმდინარეობს საკუთარი „დამატებითობისა“ და პირველადი ტექსტის სრული შეგნებით, რაც გულისხმობს ახალი სიტყვების დამატების შესაძლებლობას. დეკონსტრუქცია კითხვის წესს (და ეგზისტენციულურ პოზიციას) განიხილავს იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ არც ერთი ტექსტი ბოლომდე დასრულებული არაა, ხოლო თვითონ დასასრული უსასრულოდ ვარირებს. დამატებითობისა და *différance*-ის კონცეფციები (აღნიშნული ტერმინი ეკუთვნის დერიდას და გამოხატავს ხშირად განმეორებულ განსხვავებას და ამ განსხვავების პრინციპის ლინგვისტურ სიმტკიცეს) დეკონსტრუქციული მოძრაობის დაწყების მომენტიდან მუდამ ფიგურირებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსხვავება მეტისმეტადნათელია „მართლმორწმუნე“ დეკონსტრუქტორისთვის, ალბათ, პირველადი ტექსტისა და მისი დეკონსტრუქციული კომენტარის სიახლოვემ განაპირობა შემდეგი ორი მეტაფორის შემოტანა: დეკონსტრუქცია, როგორც ტექსტში „ჩასახლებული“ კომენტარი და როგორც მის შიგნით არსებული „პარაზიტი“. მასპინძელ ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ დეკონსტრუქციულ საქმიანობას შორის სიახლოვე პიკს აღწევს, როცა მათი განცალკევება შეუძლებელი ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დეკონსტრუქციული დისკურსი პირველად ტექსტსა და მის დეკონსტრუქციაში თანაბრად ავლენს თავს. ალბათ სწორედ ეს თანხვედომა იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დეკონსტრუქციული დისკურსი პირველივე გამოჩენისთანავე აღქმულ იქნა როგორც შეუძლებელი წასაკითხი: ის არის

7. ეს არის ჰუსერლის კრიტიკის არსებითი დებულება დერიდას პირველ ნიგნში *La Voix et le phonome* (Paris: Presses Universitaires de France, 19967).

ერთდროულად პირველადი ტექსტიც და მისი დეკონსტრუქციაც; ის გამორიცხავს ნებისმიერი სახის ფართო, შემაჯამებელ დებულებებს და შეიძლება ნებისმიერ მომენტში უამრავ დეტალიზებულ კომენტარად თუ გადახვევად ამოიფრქვეს. საბოლოოდ, მე მიმაჩნია, რომ დეკონსტრუქცია გულისხმობს, სულ მცირე, პოტენციურ მოძრაობას იმ ტექსტუალური სისავსისა და სიმრავლისკენ, რომელიც ასე დამახასიათებელია კომენტირებისთვის. დეკონსტრუქციის „ნორმატიული იდეა“, სიმრავლე წარმოაჩინოს საკუთარი დისკურსით (მიუხედავად ტექსტის გარდაუვალი თანმიმდევრულობისა) შეიძლება ნააწყდეს ისეთ სირთულეს, როგორცაა მკითხველის მიერ ამ დისკურსის დერიდასა და მისი მიმდევრების ტექსტების მეშვეობით გაგება. იქნებ გაცილებით უკეთესი იქნებოდა დეკონსტრუქციისა და მასთან დაკავშირებული (ასეთი რამ კი მუდამ არსებობს) ტექსტის შეპირისპირება სხვა ნებისმიერი კომენტარის წაკითხვის გზით.

✚ ✚ ✚ ისტორიული თვალსაზრისით, თითქოს გარდაუვალია კომენტარის დისკურსის ხანგრძლივი ტრადიციის დასასრული; პირველი დასასრული, მინდა აღვნიშნო, როცა ბექდვითი წიგნის ინსტიტუციონალიზაციასთან ერთად ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმრავლე უკვე აღარ იყო იდეალური კითხვის სურვილი, არამედ ბუნებრივი (და შეიძლება ზოგჯერ სახიფათო) რეალობა. კულტურული კრიტიკისთვის დამახასიათებელი ტონით დავამატებდი, რომ ჰუმანისტური ფორმის *Bildung*-ის დამსხვრევის შემდეგ (ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც ჯერ კიდევ დაინტერესებულია დასავლეთის კულტურული ტრადიციით) აინია კომენტარის ტრადიციის მნიშვნელობამ. ეს ფაქტი უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მე-19 საუკუნის ევროპულ უნივერსიტეტებში ხელახლა ჩამოყალიბდა ფილოლოგიური დისციპლინები.<sup>8</sup>

მაგრამ არ უნდა ვაღიაროთ, რომ კომენტარის დისკურსსა და თანამედროვეობას შორის კავშირი უფრო ინტენსიურია, ვიდრე ფუნქციური დამოკიდებულება დამყარებული დამატებითი *Bildung*-ის მოთხოვნაზე, რომელიც უკვე დაახლოებით 200 წელიწადია არსებობს? განა დეკონსტრუქცია, როგორც კომენტარის ტექსტუალური პრინციპის ფილოლოგიური განსახიერება, არ არის კომენტარის ტრადიციასა და ამჟამინდელ კულტურულ მომენტს შორის კავშირის

---

8. მე გამოვდივარ იმ ისტორიული დებულებიდან, რომელიც წარმოდგენილია ფურმანის მიერ „Kommentierte Klassiker“-ში.



სიმპტომი? სუსტი ავტორის პოზიციის გამომხატველი კომენტარი არ უკავშირდება „სუსტ აზროვნებას“, რომელსაც ჯანი ვატიმო ჩვენი ინტელექტუალური სიტუაციის ემბლემას უწოდებს?<sup>9</sup> ნუთუ არის ვინმე, ვინც არ აღიარებს, რომ ამაში უდიდესი როლი ელექტრონულმა მედიამ ითამაშა? განა ეს ახალი ინსტრუმენტები და ფორმატები (ჰიპო, ჰიპერ, მეგატექსტი და ა.შ.) ისტორიულად მომნიშვეული დაბრუნებაა კომენტართან ან ფილოლოგიასთან და გზაა მაღალტექნოლოგიური ფილოლოგიისკენ? არ შეიძლება იმის თქმა (გადაჭარბებული არ იქნება მეტაფორის მოყვანა), რომ ინტერნეტი, მთელი თავისი ურიცხვი ვებ-საიტებით არის სწორედ დაუსრულებელი ელექტრონული კომენტარი? ან ყველა ის საუბარი და ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელიც ნთქავს უამრავ დროს, არ არის ჩვენი პროფესიული ცხოვრების კომენტარი? როგორც ინტერნეტისთვის, ისე ელექტრონული ფოსტისთვის არსებობს სხვადასხვა დისკურსის მატერიალური შეპირისპირება, რომელიც გულისხმობს მათ თანაარსებობას კომპიუტერის მყარ მეხსიერებაში. ორივე შემთხვევაში ის სტრუქტურები, რომლებზეც უნდა გაკეთდეს კომენტარი, გავლენას ახდენენ ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის კომენტარულ დისკურსებზე.

მაგრამ არის კომენტარების ტრადიციის ერთი ტექნოლოგიური პირობა, რომელიც აბსოლუტურად შეიცვალა და კიდევ უფრო დრამატულად შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩიპს, დისკს თუ მყარ მეხსიერებას არ შეუძლია უზრუნველგვყოს უსასრულო მოცულობით, მალე ისინი იმდენ „სივრცეს“ შემოგვთავაზებენ, რომ ჩვენს ცოდნას მისი ამოვსება გაუჭირდება კიდევ. ეს იქნებოდა სიტუაციის დასასრული და ჩვენ იმ ლიმიტს, ალბათ, უკვე მივალნიეთ, როცა კომენტარი ისევ მთელი სიუხვით წარმოგვიდგება, ანუ წარსულში დარჩება ტექსტის ირგვლივ მინდვრებზე სივრცის ნაკლებობა. ცარიელი ჩიპის წარმოდგენა შეიცავს საშინელი სიცარიელის ერთგვარ საფრთხეს არა მხოლოდ ელექტრონული მედიისთვის, არამედ აგრეთვე ინტელექტუალური და კულტურული თვითშეფასებისთვის. ეს გამოიწვევს სიმრავლის პრინციპის გადახედვასა და გადაფასებას. შეიქმნება სიტუაცია, როცა აღარ შეგვრცხვება იმის თქმის, რომ კომენტარის ძირითადი ამოცანაა მინდვრების შევსება და ის ამას საუკეთესოდ აკეთებს.

9. ეს დისკრიპციული ფორმულა გამომდინარეობს დეკონსტრუქციის მიერ თვითაღწერად აღიარებული განზრახვიდან.



## ისტორიზაცია

წარმოიდგინეთ მე-19 საუკუნის პოსტურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკურ-ინტელექტუალური სამყარო, რევოლუციები და რეფორმები, როგორც *Neuphilologien*-ის განვითარების არენა, როცა ისინი ჯერ კიდევ არსებობენ ისეთ უნივერსიტეტებში, როგორცაა ჰეიდელბერგი, ტუბინგენი, მიუნხენი, კოლონი, ლიგე ან კიელი.<sup>1</sup> მე-19 საუკუნის გარემო იყო პირველი კულტურული ნიადაგი, ყოველ შემთხვევაში, ძველი დროის შემდეგ, რომლის საფუძველზეც საზოგადოების ნორმატიული იმიჯი (რომელიც უმჯობესდებოდა და ფართოდ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მხრიდან) შეენიანაღმდეგა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას. მოქალაქეთა ახლადჩამოყალიბებული კონცეფციის მთავარი კომპონენტი იყო უფლება მოეთხოვათ საზოგადოების ნორმატიული იმიჯის მიერ დაპირისპირებული სიტუაციებისა და პრივილეგიების რეალიზება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს ოფიციალური დაპირებები საკმაოდ დაშორებული იყო ყოველდღიურობას. ამავე დროს, პირველად წამოიწია წინ გართობის სფერომ (გართობა უკვე აღარ იყო სპეციფიკური სოციალური ჯგუფების პრივილეგია). ის შეესატყვისებოდა რამდენიმე ინსტიტუტს, რომლებიც ხელს უწყობდნენ შეუსაბამობის აღმოფხვრას ყოველდღიურ საქმიანობასა და საზოგადოების იმიჯს შორის. გასართობ ღონისძიებებში (მათ შორის მოიხსენიებოდა ლიტერატურული კითხვაც) მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევდნენ ის როლი მოერგოთ, რომელთაც საზოგადოების იმიჯი სთავაზობდათ, ისე, რომ ოდნავაც არ მიახლოებოდნენ მის იდეალებს.

1. გერმანულ უნივერსიტეტებს შორის ლიგე ვახსენე იმიტომ, რომ *Neuphilologien*-ის ერთ-ერთი ინსტიტუციონალური ფორმა „რომანული ფილოლოგია“ საკმაოდ ფართოდ შემორჩენილია ბელგიასა და გერმანიის მოლაპარაკე ქვეყნებში. *Neuphilologien*-ის უფრო დეტალური ისტორიისთვის იხ. ჩემი სტატია „Un soufflé d'Allemagne ayant passé: Friedrich Diez, Gaston Paris and the the Genesis of National Philologies“, *Romance Philology* 40 (1986): 1-37. აღნიშნული ესსეს ისტორიული კონცეფცია საფუძვლად დაედო კოლოკვიუმს, რომლის გაგრძელებაც დაიბეჭდა ენნარდ სერკვილინისა და ჰანს ულრის გუმბრეხტის გამოცემაში *Der Diskurs der Literatur – und Sprachhistorie: Wissenschaftsgeschichte als Innovationsvorgabe* (Frankfurt: Suhrkamp, 1983).

იმ მდგომარეობამ, რომლისთვისაც გართობის სფერო და ფუნქცია გადამწყვეტად იქცა, დიდი როლი ითამაშა გარკვეულ აკადემიურ დისციპლინებთან საშუამავლო ინსტიტუტების არსებობაში. (არ არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ *Neuphilologien* მათ რიცხვში იყო, თუმცა აქ გასარკვევია სხვა სფეროები.) ეს ახალი აკადემიური დისციპლინები საქმიანობდნენ ორმაგ დონეზე. უპირველეს ყოვლისა, ისინი აყალიბებდნენ სტრატეგიებს, რომელთაც დღეს, ალბათ, „კითხვის პედაგოგიკას“ ვუნოდებთ. ახალმა ორიენტაციებმა და ინსტრუქციებმა ერთგვარი კომპენსაცია მოახდინეს იმ ლიტერატურული კითხვისა, რომელიც მოთავსებული იყო იმიჯსა და ყოველდღიურობას შორის. კითხვის კომპენსატორული სტილი მკითხველს აფიქრებინებს, რომ ის თამაშობს იმ როლებს, რომელთაც საზოგადოების იმიჯი სთავაზობდა, მონესრიგებული კითხვის რეჟიმი კი მას დაარწმუნებს, რომ სოციალურ რეალობასა და სოციალურ იდეალებს შორის არცთუ ისე დრამატული განსხვავებაა. თავდაპირველად, ახალი ფილოლოგიური დისციპლინები ასრულებდნენ მეორე ფუნქციასაც – შეჰქონდათ თავიანთი წვლილი საზოგადოების ნორმატიული იმიჯის ჩამოყალიბებაში. ისინი ლიტერატურული ტექსტებიდან გამოყოფდნენ ცალკეულ სურათებს, თემებსა და ფასეულობებს და ასახავდნენ მათ არსებულ ნორმატიულ იმიჯზე სხვადასხვა დონისა და ფორმის გამოყენებით. ამგვარად, ისინი იღებდნენ ყველა იმ ტექსტს, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა ამ კონტექსტში.

სადაც ბურჟუაზიული რეფორმები გარკვეულ სიტუაციებსა და ეროვნული მარცხის განცდაზე რეაქცია იყო (მაგალითად, პრუსიაში), საზოგადოების იმიჯი წარმოდგენილი იყო, როგორც ერის წარსული დიდება, რომელსაც შეეძლო ჩამოეყალიბებინა სტანდარტები სასურველი მომავლისთვის. ამის შედეგად, ეროვნული ფილოლოგია საკუთარ თავს „ისტორიულ დისციპლინას“ უწოდებდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფილოლოგია იყო ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც ითხოვდა სპეციფიკურ უნარს (მაგალითად, კომპეტენციას ენის, პალეოგრაფიისა და რედაქტირების ადრეულ ეტაპებზე) და განაპირობებდა გარკვეულ აკადემიურ პროფესიონალიზაციას. სხვა შემთხვევებში, როცა ბურჟუაზიული რეფორმები გამოწვეული იყო უახლესი წარსულის წარმატებული რევოლუციებით (მაგალითად, საფრანგეთში, ინგლისსა და აშშ-ში), ლიტერატურული კრიტიკა არ ჩამოყალიბებულა როგორც ისტორიული დისციპლინა, ხოლო საზოგადოების იმიჯი ემყარებოდა არა დიდებული წარსულის მო-

გონებებს, არამედ ზოგად ადამიანურ ღირებულებებს, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ისტორიზაციასთან. ჯერ კიდევ არსებული ფრანგული ტენდენცია *la grande Nation*-ის კაცობრიობასთან არევისა და მეთიუ არნოლდის დაჟინება ინგლისელ სტუდენტებს შეესწავლათ ყველა ენის ლიტერატურა – ეს არაისტორიული მოდელის ორი იმანენტური და არანაციონალური მაგალითია. არსებობს აღნიშნული განსხვავების მეორე, „რომანტიკული“ მხარე – მე-19 საუკუნის განმავლობაში ეროვნულ მარცხთან დაკავშირებული გრძნობები და სიტუაციები თანდათანობით რეგულარულად განაპირობებენ ფილოლოგიურ ისტორიზაციასა და ნაციონალიზაციას. ეს ვრცელდება იტალიურ *risorgimento*-სა და ფრანჩესკო დე სანკტიზე, 1870-71 წლების ფრანგულ-პრუსიული ომის შემდგომ საფრანგეთზე (გასტონ პარისი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა ნაციონალურ ისტორიოგრაფიას, როგორც საქმიანობის ძირითად სახეს), ესპანეთზე – 1898 წელს ტრანსატლანტიკური კოლონიების დაკარგვის შემდეგ (რამონ მენენდეს პიდალი განეკუთვნება ე.წ. 1898 წლის „ავტორთა თაობას“, რომლებიც ქვეყნის კულტურული ისტორიის აღდგენას ცდილობდნენ, ხოლო *El Cantar de Mio Cid*-ის მისეულ გამოცემას აღნიშნული მოძრაობის უდიდეს მიღწევას უწოდებენ).<sup>2</sup>

☛ ☛ ☛ ჩემი, როგორც რომანისტი და არა კლასიციისტი თვალსაზრისით დისციპლინარული ისტორიის ეს კონტური გვთავაზობს კლასიკურ ისტორიზაციასთან დაკავშირებულ უამრავ საინტერესო კითხვას. აქედან გამომდინარე შესაძლებელია მე-19 საუკუნე მივიჩინოთ კლასიკურ ისტორიაში პროდუქტიული შეფერხების მომენტად („ისტორიული აღმავლობის“ კუთხით)? ამგვარი ხედვა *Neuphilologien*-ის ისტორიისათვის საყოველთაოდ იქცა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დღეს ცოტას თუ სჯერა დისციპლინარული პრეისტორიის არსებობა 1800 წლამდე (თუმცა შეიძლება ბევრი რამე ამტკიცებდეს *Neuphilologien*-ის სწორედ 1800 წლის<sup>3</sup> შემდეგ ჩამოყალიბებას). კლასიკასთან

2. მენენდეს პიდალის შესახებ იხ. ამ წიგნის II თავი და ჩემი ესსეები „Lebende Vergangenheit: Zur Typologie der ‘Arbeit am Text’ in der spanischen Kultur,“ გამოცემაში *Das fremde Wort: Studien zur Interdependenz von Texten: Festschrift für Karl Maurer zum 60. Geburtstag*, გამომცემელი ილს ნოლტინგ-ჰაუდი და იოაკიმ შულცი (Amsterdam: Gruner, 1988), 81-110. „მოდერნიზმის ფილოლოგიური გამოგონება: მენენდეს პიდალი, გარსია ლორკა და ჰარლემის რენესანსი,“ გამოცემაში *შუა საუკუნეების მომავალი: შუა საუკუნეების ფრანგული ლიტერატურა 1990-იან წლებში*, გამომცემელი უილიამ დ. პადენი (გეინსვილი: ფლორიდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1994), 32-49.

3. ამგვარი ალტერნატიული ვერსია, რომელიც 1800-იანებიდან იწყება, მოცემულია ბილ რიდინგის ცნობილ წიგნში *უნივერსიტეტი ნანგრევებში* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1996).

დაკავშირებული კიდევ ერთი კითხვა მდგომარეობს შემდეგში – როდის და რა ინტენსიურობით გახდა ანტიკური კულტურა საზოგადოების ეროვნულ-სპეციფიკური იმიჯის ნაწილი (აქ რასაკვირველია იგულისხმება გერმანია/პრუსიის შემთხვევა,<sup>4</sup> თუმცა არანაკლებ საინტერესო და ნაკლებად შესწავლილია საფრანგეთის პირველი იმპერია).<sup>5</sup> თუკი ანტიკურობის კულტურულმა გავლენამ მე-18 საუკუნის დასაწყისში მართლა განიცადა ისტორიზაცია (ყოველ შემთხვევაში, ასე ესმით *Querelle des Anciens et des Modernes* ფრანგული ლიტერატურის ისტორიკოსებს), შესაძლებელია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის კულტურას ისტორიზაციის იგივე ძალის ტალღამ გადაუარა? თუ ეს ასეა, ისტორიზაციის ამ ორ ტალღას შეტაკების ეფექტი ხომ არ გამოუნწევია? და ბოლოს, რა გავლენა იქონია თითოეულმა ეროვნულ-სპეციფიკურმა დისციპლინარულმა გარემომ სხვადასხვა ქვეყანაში კლასიკის განვითარებაზე (მაგალითად, გერმანიაში ფილოლოგია, როგორც ისტორიული დისციპლინა ლიტერატურული კრიტიკის მეთიუ არნოლდისეული იდეალის წინააღმდეგ)?

☞ ☞ ☞ დაუბრუნდეთ *Neuphilologien*-ს. მინდა მოკლედ მიმოვიხილო ისტორიზაციის აკადემიური ისტორიის ორი უკიდურესი (და მსგავსი) შემთხვევა: ბრიტანეთისა და აშშ-ის. რაც შეეხება ამ ორ დისციპლინარულ ფორმას, მინდა აღვნიშნო, რომ ისინი განეკუთვნება არარომანტიკულ (არაპრუსიულ) მოდელს და თითოეული მათგანი უკიდურესი შემთხვევაა რადგან, ინსტიტუციონალურ დონეზე, ისტორიზაცია არ იყო მათი ფილოლოგიური საქმიანობის ნაწილი 1960-იან წლებამდე. მაშინ, როცა კონტინენტური ეროვნული ფილოლოგია და ისტორიზაცია მძიმე კრიზისს განიცდიდა დაწყებული მე-19 საუკუნის უკანასკნელი დეკადით, კრიზისს, რომლის გამო წარმოიშვნენ ისეთი ქვედისციპლინები, როგორიცაა „ლიტერატურული თეორია“ და „შედარებითი ლიტერატურა“,<sup>6</sup> ლიტერატურული კრიტიკის ალტერნატიული მოდელის კულტურულმა გარემომ ინგლისსა და აშშ-ში გაცილებით ნაკლები ცვლილება განიცადა.

4. იხ. ამ წიგნის მეხუთე თავი.

5. იხ. „Ce divan étoilé d’or“ – Empire als Stilepoche/Epochenstil/Stil? Epoche, in *Zum Problem der Geschichtlichkeit ästhetischer Normen: Die Antike im Wandel des Urteils des 19. Jahrhunderts: Vorträge des III. Werner Krauss-Kolloquiums*, Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften der DDR/Gesellschaftswissenschaften, no. 1/G (Berlin: Akademie-Verlag, 1986), 269-94.

6. იხ. ჩემი სტატია „ლიტერატურული სწავლების მომავალი“ *ახალი ლიტერატურული ისტორია* 26 (ზაფხული 1995): 499-519.

ახალ კრიტიკასა და დებატებს კოლეჯის სტუდენტებში ლიტერატურულ კითხვაში სხვადასხვა ნესის შესახებ მე-20 საუკუნის მეორე და მესამე დეკადის განმავლობაში, არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია დისციპლინარულ საქმიანობაში. უმეტესად ეს იყო ამაღლებული თვითრეფლექსიურობის სიმპტომები – პირველი ნაბიჯი კულტურული სტილის აკადემიურ მეთოდად გადაქცევისაკენ. რაც უნდა განსწავლულები ყოფილიყვნენ ახალი კრიტიკოსები კულტურის ისტორიისა და ლიტერატურის სფეროში, დიდი ლიტერატურული ტექსტების ისტორიზაცია მათ ინტელექტუალურ და კულტურულ საზრუნავს სცილდებოდა.

აღნიშნული სიტუაციის პირველ ცვლილებად, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის კონტექსტში, მიიჩნევა 1960-იან წლებში დაარსებული აკადემიური ჟურნალი „ახალი ლიტერატურული ისტორია“, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით იძიებდა მეცნიერებს. ჟურნალმა სწრაფად მოიპოვა წარმატება შიდაეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ის დრო იყო, როცა „ფრანგულმა თეორიამ“ აშშ-ში ლიტერატურული განყოფილებების დაპყრობა დაიწყო და ერთი სახელის ქვეშ გააერთიანა ორი სრულიად განსხვავებული ინტელექტუალური სტილი და აკადემიური საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი, დეკონსტრუქცია, როგორც შესწავლითი კითხვის სახე, წარმოადგენს ფილოლოგიის ხელმეორე გამოგონებას და გვთავაზობს რბილ გადასვლას ახალი კრიტიციზმის კითხვის სოფისტიკური სტილიდან. კითხვის სხვადასხვა სტილისგან განსხვავებით დეკონსტრუქცია ცდილობს დასწიოს სემანტიკური სტაბილურობა და ზოგჯერ ტექსტის ინსტიტუციონალური ძალაც კი.<sup>7</sup> „ფრანგული თეორიის“ მეორე ნახევარი იყო კულტურული და ინტელექტუალური ისტორიის მიშელ ფუკოსეული ვერსია. გარდა ფრანგული წარმოშობისა, დეკონსტრუქციულ ფილოსოფიასა და ფუკოსეულ ისტორიოგრაფიას ჰქონდათ კიდევ ერთი საერთო – ორივე მათგანმა, მართალია მხოლოდ ვიწრო ეპისტემოლოგიურ საფუძველზე, მაგრამ მაინც გარკვეული გავლენა იქონია აშშ-ის ლიტერატურულ დისციპლინებზე. დერიდასა და ფუკოს ნაშრომები გამოიყენებოდა ლიტერატურულ დისციპლინაში პროგრამული ცვლილებების შესახებ კამათისას. ლიტერატურ-

7. აშშ-ის დეკონსტრუქციული ფილოსოფიის მიმოხილვისთვის იხ. ჩემი სტატია „Deconstruction deconstructed: Transformationen französischer Logozentrismuskritik in der amerikanischen Literaturwissenschaft,“ *Philosophischer Rundschau* 33 (1986): 1-35.

რის სწავლების ტრადიციული ამოცანიდან, რომელიც სრულდებოდა ინგლისსა და აშშ-ში (კარგად ჩამოყალიბებული სოციალური სიტუაციების ხელშეწყობა და შენარჩუნება), ისინი დაუბრუნდნენ „პრობლემემატიზაციასა“ და „დესტაბილიზაციას“, როგორც თავიანთ ახალ „პოლიტიკურ“ ღირებულებებსა და მისიას. ამით აიხსნება ის, თუ რატომ ბადებდნენ ფუკოს ამერიკანიზებული ისტორიული სტილის მხურვალე თაყვანისმცემლები ორგვარ გრძნობას: პირველი, თითქოს ისტორიის ასახვა და „ფაქტების“ ხედვა ისტორიოგრაფიულ ტექსტში, საკმაოდ არბიტრული იყო (საქმე უკვე აღარ ეხებოდა სინამდვილის პოვნას, არამედ „კარგი ამბის“ შეთხზვას). ამას ემატებოდა ფსევდო-ლიტერატურული თავისუფლების შეგრძნება, რომლითაც ისტორიკოსი ტკბებოდა და რომელსაც აქტიურად იყენებდა.

„კრიტიკულობის“ ახალი მიზანი ხსნის აგრეთვე იმას, თუ რატომ მოხდა ისე, რომ ფრანგული თეორიის პარალელურად და უპირველეს ყოვლისა გაერთიანებულ სამეფოში, ფრანკფურტის სკოლის ტრადიციამ, მარქსისტული თეორიის შერბილებულმა ვერსიამ უამრავი ენთუზიასტი მკითხველი ჰპოვა და 1980-იანებში წინ წამოსწია კულტურული სწავლების კვლევის პარადიგმა. სამი პარადიგმიდან მხოლოდ დეკონსტრუქციას არ გამოუწვევია ისტორიზაციის მოძრაობა ინგლისსა და აშშ-ში. მიუხედავად ამისა, ეს სამი კრიტიკული და პოტენციურად დამანგრეველი (იმ პერიოდის საყვარელი კონცეფცია) პარადიგმა ერთდროულად იყო მიღებული ანგლო-ამერიკული აკადემიური ტრადიციის მიერ. მათ აგრეთვე პროპაგანდას უწევდა აკადემიკოსების ის თაობა, რომელიც მოწმობდა და მონაწილეობდა კიდევ ევროპელი სტუდენტების რევოლუციასა და ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მსვლელობებში აშშ-ში. ისევე, როგორც ეს მოხდა ევროპულ უნივერსიტეტებში, აკადემიური დისციპლინების ხელახალმა ფორმირებამ და ისტორიზაციისადმი ინტერესმა ადგილი დაიმკვიდრა იმ თაობაში, რომელიც პოლიტიკურ ანმეოს აკრიტიკებდა. ისლა დაგვრჩენია, ვნახოთ, თუ გაუძლებს ისტორიზაციის ეს ტალღა (განსაკუთრებით აშშ-ში) ამ თაობასა და მისი პოლიტიკური პროტესტის სურვილს..

☛ ☛ ☛ თუკი ისტორიზაციის აუცილებლობა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისში, იქცა პროფესიონალიზაციის საფუძვლად, რა კომპეტენტურობას ითხოვდა ის? რას გულისხმობდა მას-

თან დაკავშირებული სოფისტიკაციის ხარისხები? პირველ რიგში, მკაცრი ფენომენოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ისტორიზაციას არავითარი კავშირი არა აქვს გარკვეულ ობიექტთან მიმართებაში დროის სტრუქტურების დადგენასთან. „დროითი ობიექტები შესაბამისი გაგებით“ („Zeitobjekte im eigentlichen Sinn“), ჰუსერლის მიხედვით, ეს არის ობიექტები, რომლებიც დროებითობის განზომილების მიღმა ვერ იარსებებენ. მაშინ, როცა ზემოთ აღნიშნული ვრცელდება მუსიკასა და სიტყვიერი კომუნიკაციის თითქმის ყველა ფორმაზე, ისიც ხომ ნათელია, რომ დროითი ობიექტის გაგება არ ხდის მოცარტის ოპერას ან პლატონის დიალოგს „ისტორიულს“. ის, რაც ობიექტის ისტორიულობას განსაზღვრავს (და მე ვერ ვხედავ ისტორიზაციის სხვა გაგებას), ეს არის მკითხველის მზადყოფნა გადალახოს ის ილუზია, თითქოს მას საკმაო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეს მოცემული ობიექტის გაგებისა ან მისი ადეკვატური გამოყენებისთვის. როგორც ობიექტის ატრიბუტი, ეს შეიძლება იგივე იყოს, რაც „გულუბრყვილო“ მტკიცება იმისა, თითქოს ყველა ობიექტი შეიძლება იყოს ჩვენი შესაბამისი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამგვარი რეაქციის გამონევა ობიექტების ექსკლუზიური პრეროგატივა სულაც არ არის. მიუხედავად ამისა, ეს მაინც უნდა დავიმახსოვროთ, როგორც შუალედური დონე იმის იდენტიფიკაციამდე, რაც ასე მნიშვნელოვანია ისტორიზაციის საქმიანობისა და მიდგომისთვის.

ამრიგად, ისტორიზაციის წინაპირობა ეს არის უკან დახევა იმ პრამატული ორიენტაციიდან, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ხოლო ამგვარი უკან დახევა გარდაქმნის (ჰაიდეგერის განმარტების მიხედვით) „მისაწოდებლად გამზადებული“ ობიექტს „მისაწოდებლად არსებულ“.<sup>8</sup> აქედან გამომდინარე, ისტორიული გათვითცნობიერება კოსმოპოლიტანობას ნიშნავს, რადგან კოსმოპოლიტიკები თავს „შინ“ არასოდეს გრძნობენ. რა თქმა უნდა, ამ პერსპექტივის წინ წამოწევის მიზეზი ორგვარია – დროითი დაშორება ისტორიული თვალსაზრისით და სივრცული (გნებავთ კულტურული) დაშორება კოსმოპოლიტანობის შემთხვევაში. მაგრამ ეს განსხვავება მკრთალდება, ან სულაც მთლიანად ქრება გარკვეულ კულტურულ

8. იხ. მარტინ ჰაიდეგერის *Sein und Zeit*, მე-15 გამოცემა, (Tübingen: Niemeyer, 1984), პარაგრაფი 15



კონტექსტში (შუა საუკუნეების „ისტორიოგრაფია“ უფრო სივრცული სხვადასხვაობის ფენომენს მოიცავს).<sup>9</sup> ისტორიზაციის ძირითადი სვლა სულაც არ არის დროითი და სივრცული სხვადასხვაობის გამიჯნვა, არამედ ეს უფრო რეაქციაა („გადანყვეტილება“, ალბათ, მეტისმეტად მკაცრი კონცეფცია იქნებოდა), არ გადაადგოს, თავიდან მოიშოროს ან აღმოფხვრას ის ობიექტები, რომლებიც დაუყოვნებლივ გამოყენებას ვერ ჰპოულობენ. ვინაიდან „მომზადებული ობიექტის“ დაყოვნება არ არის ექსკლუზიური ისტორიზაციისთვის, ამიტომ უნდა ვეძიოთ რამე უფრო უნიკალური და სპეციფიკური.

აქვე მინდა დავძინო, რომ რამეს *klassisch*-ად აღიარება „mit überzeitlicher Sagkraft“ ობიექტებისადმი მიკუთვნების გადამერისეული გაგებით, გულისხმობს ორმაგ დაყოვნებას.<sup>10</sup> პირველი, ეს არის ილუზია, თითქოს მე ვიყო კომპეტენტური ნებისმიერ ობიექტთან მიმართებაში; მეორე, გულისხმობს რეზერვირებას, ანუ უკან დახვევის უარყოფას. რაიმეს *klassisch*-ად აღიარება ნიშნავს სიტუაციას, როცა პირველადი, „უცხო“ ობიექტი უეცრად ძალზე დიდი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამისთვის არანაირი ძალისხმევა არ დაგვჭირვებია. ამასთან, ტექსტს *klassisch*-ის სტატუსს ვერ მივანიჭებთ, სანამ მის ისტორიულად დაშორებას ვაღიარებთ. შექსპირის კითხვის ჰეროდ ბლუმისეული სტილი, მისი ფალსტაფის პერსონაჟის განსხეულება, გამორიცხავს ყოველგვარ ისტორიულ გულუბრყვილობას, რადგან მას ახასიათებს ერთგვარი სპეციფიკური პროვოკაცია (ან სპეციფიკური სოფისტიკაცია) არ მოვახდინოთ შექსპირისა და მისი პერსონაჟების ისტორიზაცია“<sup>11</sup> – აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, პროფესიონალ მკითხველებს გვაქვს იმის, რომ გარკვეული ტექსტი ან წარსულის ნაწარმოები ხიბლავს იმ მკითხველსაც, რომელიც ვერ ახერხებს მათ რეინტეგრირებას ისტორიულ კონტექსტში. როგორ გავიგოთ, რამდენად კლასიკურია უძველესი ტექსტებისა და კულტურის ის სურათები, რომელთაც ეს დისციპლინა წარმოშობდა და დღემდე წარმოშობს?

- 
9. იხ. „Vorwort der Bandherausgeber,“ გამოცემაში *La Littérature historiographique des origines à 1500*, გამომცემლები ჰანს ულრიხ გუმბრეხტი, რსულა ლინკ-ჰეერი, პეტერ-მიხაელ სპანგენბერგი, *Grundriss der romanischen Literaturen des Mittelalters*, ტომი I, ნაწილი 1 93ეიდელბერი, ზამთარი, 1986), 17-25.
  10. ჰანს გეორგ გადამერი, „Das Beispiel des Klassischen,“ *Wahrheit und Methode: Grundzüge einer philosophischen Hermeneutik*, მეორე გამოცემა, (Tübingen: Mohr, 1965), 269-75.
  11. იხ. აროლდ ბლუმის *შექსპირი: კაცობრიობის გამოგონება*, (New York: Riverhead Books, 1998).

✠ ✠ ✠ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჰუმანისტის საქმიანობა არის არა იმდენად გარკვეული ობიექტებით გამოწვეული მიდგომები და პროცედურები, არამედ კომპლექსურობის სურვილი, ჰუმანისტის სურვილი ყველაფერი სახალისოდ და სერიოზულად გაართულოს.<sup>12</sup> როგორც ზემოთ ვცდილობდი დამემტკიცებინა, გადამწყვეტი სვლა არ არის იმ ობიექტების განზე გადადება, მიტოვება ან ამოგდება, რომელთათვის ვერ მოიძებნა დაუყოვნებელი ან ნათელი გამოყენება. ბურდოს კუთხით შეგვიძლია გამოვავლინოთ შემდეგი წესი: რაც უფრო ნაკლებ ამკარაა ისტორიზაციის აუცილებლობა კონკრეტულ ობიექტთან მიმართებაში, მით უფრო მეტია ისტორიზაციის, როგორც ინტელექტუალური სოფისტიკის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვიგებთ და ვერ ვმოიფრავთ უძველეს ეგვიპტურ იეროგლიფებს, მაინც ვპოულობთ მათში გარკვეულ მომხიბვლელობას. ამავე დროს დარცხვენით ვალიარე ჩემი ნაკლი სოფისტიკაში/ისტორიზაციაში, როცა ცნობილმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ არ მოსწონდა ერთ-ერთი ავტორის ტექსტები, რადგან ისინი ჯერ კიდევ „90-იანი წლების გავლენას“ განიცდიდნენ. ჩემმა 10 წლის ვაჟმაც თითქმის ანალოგიური შთაბეჭდილება მოახდინა, როცა თავის საშობაო ნატვრას – სკეიტბორდს 1990-იანი წლების მოდის დაბრუნება უწოდა (მაშინ, როცა მე სკეიტბორდი მოდური მეგონა).

მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ ისტორიზაციის ფენომენოლოგიურობას – ის წარმოქმნილია ჩვენს გონებაში გარკვეული ინერტულობის საწინააღმდეგოდ და არა კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით. თუკი დავუშვებთ, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, როგორ მოვეპყროთ ამა თუ იმ ობიექტს, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ამ ობიექტებს გამოვყოფთ, ვაქცევთ აურაში და ვაცნობიერებთ რა მათ დაშორებას, გარდავექმნით სასურველ ობიექტებად.<sup>13</sup> როცა მათ „აურით გარშემორტყმული“ და „სასურველი ობიექტების“ სტატუსს ვანიჭებთ, ჩვენ ახლოს ვდგავართ ლათინური სიტყვის *sacer*-ის თავდაპირველ მნიშვნელობასთან და მათ „წმინდა ობიექტებად“ წო-

12. კითხვის, როგორც სირთულის სახალისო და მტკივნეულ გამოვლინებებს შორის მერყეობს აღწერა იხ. წინამდებარე წიგნის მეხუთე თავში.

13. ვფიქრობ, უკვე მიღებულია სიტყვა „აურის“ გამოყენება ბენჯამინის ფილოლოგებთან კავშირის გარეშე. ამ ცნების „არქეოლოგია“ იხ. ურსულა ლინკ-პეერის ესეე გამოცემაში *ბენჯამინის ძიება: ხელოვნების ნიმუშები ციფრულ საუკუნეში*, გამოცემული ჰანს ულრის გუმბრეხტი და მაიკლ მარინანი (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003).

დებასთან. საუბარი საკმაოდ საკამათო მიმართულებით წავიყვანე, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ისტორიზაციის საშუალებით ჩვენ ვქმნით წმინდა ობიექტებს, თუმცა ვცდილობ თავი ავარიდო ამ სიტყვის მეტაფორულ ქვეტექსტს (ისევე, როგორც გონებაბამხვილობასა და აკადემიურ წარმოსახვას). მე უფრო იმას ვგულისხმობ, რომ კულტურული ისტორიკოსების მიერ შექმნილი ობიექტები ისეთივე წმინდა შეიძლება იყოს, როგორც რელიგიის მიერ შექმნილი. რამდენადაც არ არსებობს წმინდა ობიექტი წარმოდგენისა და თვითდატვირთვის (მაგალითად *historisches Bewußtsein*) ჩარჩოების, მღვდლების, თეოლოგების, ისტორიკოსების ან სხვა სფეროს სპეციალისტების გარეშე, რომელთაც შეუძლიათ განმარტონ თუ რატომ ითხოვენ (ან უფრო სოფისტიკურად რომ ვთქვათ, რატომ იმსახურებენ) ეს ობიექტები განსაკუთრებულ მოპყრობას. ეს ვრცელდება როგორც სარკინიგზო მანქანაზე, პარიზის ჩრდილოეთით, კომპენში (გერმანელი არმიის დანებება 1918 წელს და ფრანგული არმიის დანებება 1940 წელს, სწორედ ამ მანქანაში იყო ხელმოწერილი), ასევე წმინდა ჯვრის ნაწილებზე, რომელთაც დედაჩემი კარადაში ინახავს; როგორც პურზე, რომელიც ქრისტიანთა ღრმა რწმენით ქრისტეს ხორცია, ასევე *cachaça*-ს ბოთლებზე, რომელთაც ყოველ პარასკევ ღამეს აფრო-ქრისტიანულ ღმერთებს სთავაზობენ ბრაზილიის ქალაქებში. მესმის, რომ მიზეზები, რომელთა გამოც ეს ობიექტები წმინდაა, განსხვავებულია თითოეულ შემთხვევაში, მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ ყველა ეს ობიექტი წმინდაა, რადგან სპეციალისტებმა ასე ჩათვალეს საჭიროდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს „ბუნებრივად“ წმინდა ობიექტები.

✠ ✠ ✠ მინდა შევეწინააღმდეგო იმ მოვალეობას, რომელსაც გვაკისრებს განათლების მემკვიდრეობა (რომლის პატივისცემაც უფრო სავალდებულოა, ვიდრე სასურველი) და უარვყო თითქოს ჩვენ მიერ შექმნილი წმინდა ობიექტები სულაც არ არის წმინდა ან საერთოდ მათი შექმნა არარაციონალურია. პირიქით, მინდა ვაჩვენო (და ჩემი სინანული გამოვხატო), რომ მტკიცება, თითქოს ჩვენ ვერ ვასრულებდეთ ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ და რელიგიურ-სოციალურ ფუნქციას – ღირებული პროგნოზების გაკეთებას, უკვე მოძველდა, ყველაზე გვიან, მარქსიზმის დასასრულს. (მარქსიზმამდე იგივე დებულება რბილად ისტორიზებული და რელატივიზებული იყო

დიდი ხნით ადრე. გაიხსენეთ რეინჰარტ კოსელეკის ნაშრომი). პროგნოზირების ახლა უკვე მივიწყებული საქმიანობის მიერ დატოვებულ ვაკუუმს რომ დავუპირისპირდეთ, შესაძლებელია უფრო შთამბეჭდავ ეფექტამდე მივიდეთ, ვიდრე იმის აღმოჩენაა, რომ ისტორიზაციის საშუალებით ჩვენ უკვე ვქმნით წმინდა ობიექტებს და ვიღებთ ამ სფეროს სპეციალისტის სტატუსს. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ სავსებით ვეთანხმები თანამედროვე მუზეუმების წარდგენას, როგორც „პოსტმოდერნისტული ტაძრებისა“, მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად არ ვეთანხმები აქ გაჟღერებულ მეტაფორულ სტატუსს. მინდა პასუხი გაიცეს შემდეგ შეკითხვაზე: რა სპეციფიკურ რელიგიურ ფუნქციებს ასრულებენ ისტორიულად წმინდა ობიექტები?

პასუხი კი ის არის, რომ ისტორიული/ისტორიზებული ობიექტები სიკვდილის მიჯნას ლახავენ და ეს ჩემთვის იმდენად აშკარაა, რომ საჭიროდ არ ვთვლი ჩემი პასუხი ექსპერიმენტულად მივიჩნიო. როცა ვამბობთ (ისევე, როგორც ბევრ სხვა კონტექსტში), რომ რელიგია და მისი წმინდა ობიექტები სიკვდილის მიჯნას ლახავენ, ჩვენ ჩვეულებრივ ვგულისხმობთ მომავალ მიჯნას ანუ ჩვენი სიცოცხლის დასასრულს. ორივე – მარტინ ჰაიდეგერი და, რაც უნდა გასაოცრად ჟღერდეს, ნიკლას ლუმანი ადამიანის „სიკვდილისშემდგომ“ ცნობიერებას შეუძლებელსა და ამავდროულიად მომხიბვლელს უწოდებენ.<sup>14</sup> მაგრამ მხოლოდ ჰაიდეგერმა აჩვენა (და სხვათა შორის, გასაოცარი სითამამით), თუ რაოდენ უსარგებლოა აჰყვე ილუზიას, თითქოს სიკვდილის შემდეგ რამე არსებობდეს. ამ კუთხით „მომავალი ცხოვრების“ იდეოლოგიური პირობა და ისტორიაზე დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჰეგელის სტილის პროგნოზები, დღეს საკმაოდ არადამაჯერებელი რელიგიური იდეაა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაუძლო ჰაიდეგერის შეუზრალბელ დიაგნოზს. პროგნოზირება, რომელიც მე-18 საუკუნეში წარმოიშვა და პოპულარული გახდა მე-19 საუკუნეში, ეყრდნობა ისტორიაზე დაკვირვებას და შესაძლებელია იყოს შედეგი იმისა, რომ ხალხმა, ყოველ შემთხვევაში ინტელექტუალებმა, დაკარგეს სიკვდილის შემდგომი ცხოვრების რწმენა.<sup>15</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი“ ისტორი-

14. ჰაიდეგერი, *Sein und Zeit*, პარაგრაფები 46-53; ნიკლას ლუმანი, *სოციალური სისტემები* (სტენფორდი, კალიფორნია: სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1995), 262-67.

15. Karl Löwith, *Weltgeschichte als Heilsgeschehen*, მეხუთე გამოცემა (Stuttgart: Kohlhammer, 1953). იხ. აგრეთვე ჩემი სტატია „Die kaum artikulierte Prämisse: volkssprachliche Universalgeschichte unter heilsgeschichtlicher Perspektive,“ გამოცემაში *La Littérature historiographique*, გამომცემელი გუმბრეხტი, ლინკ-პერი და სპანგბერგი, 799-817.

ული კულტურა და ისტორიული ცნობიერება შესაძლებელია მოდიოდეს იმ დროიდან, როცა ინტელექტუალებმა პირველად დაკარგეს უსაზღვროების რელიგიური ჰორიზონტის რწმენა. სწორედ ისტორიულმა ცნობიერებამ შეავსო ის სიცარიელე, რომელიც ღვთისა და მარადიული ცხოვრების რწმენის გაქრობამ დატოვა.

21-ე საუკუნის დასაწყისში „ჩვენ, მეცნიერებმა“ (როგორც ნიცჰე იტყოდა) საბოლოოდ ავიღეთ ხელი მომავლის მოლოდინის საშუალებით სიკვდილის საზღვრის გადალახვის მცდელობაზე.<sup>16</sup> ამის ნაცვლად ჩვენ გატაცებული ვართ ახალი ისტორიციზმის – სტივენ გრინბლატის თქმით „გარდაცვლილებთან საუბრით.“<sup>17</sup> წერისა და ისტორიის წარდგენის დღევანდელი სტილის მთავარი (თუ არა ერთადერთი) ამბიციია არის დაგვაინფოს, რომ წარსული ანმყო არაა.<sup>18</sup> წარსულის მატერიალური ობიექტების ანმყოში გადმოტანა და ხელშესახებობა (ან ხელშესახებობის ილუზია) ინვესს ჯადოსნურ ეფექტს, თითქოს ჩვენ გადავლახეთ ის მანძილი, რომელიც სასურველი წარსულისგან გვაშორებს; უფრო სწორედ, ქმნის ისეთ ილუზიას, თითქოს გარდაცვლილები გვესაუბრებიან, რაც თავისთავად სიკვდილის მიჯნის გადალახვას ნიშნავს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდნენ, ჩვენგან შორს სულაც არ არიან. ეს ყოველივე კი საბოლოოდ ნიშნავს იმ ზღვრის გადალახვას, რომელიც ჩვენი დაბადებით გაივლო. ორივე ასპექტი – მიჯნის გადალახვა და გარდაცვლილებთან საუბარი განუსაზღვრელია ფენომენოლოგიური და თეოლოგიური გაგებით.<sup>19</sup> ის, რომ ალქმის შესაძლებლობები და გაცოცხლებული გამოცდილება ორ დროით ჩარჩოშია მოქცეული, არის სწორედ ადამიანური სამყაროს სტრუქტურა. ამ ჩარჩოების გავრცობა მომავლის პროგნოზირებით ან გარ-

16. ეს რა თქმა უნდა, არ ვრცელდება მხოლოდ მეცნიერებზე. იხ. ნიკლას ლუმანი, 'Die Beschreibung der Zukunft,' *Beobachtungen Moderne* (opladen: Westdeutscher Verlag, 1992), 129-48.

17. სტეფან გრინბლეტი "Towards a Poetics of Culture," in *The New Historicism*, ed. H. Aram Veeser (New York: Routledge, 1989), 1-14

18. ჩემი 1926 წლის ნიგნი: *ცხოვრება დროის მიჯნაზე* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1997) სწორედ ამ შეგრძნებას ინვესს მკითხველში. იხ. განსაკუთრებით თავი „ისტორიისგან სწავლის შემდეგ“.

19. ისტორიოგრაფიის, როგორც უანრის ანალიზის ჰუსერლისეული კონცეფციისთვის იხ. ჩემი ესხე „Das in vergangen Zeiten Gewesene so erzählen, als ob es in der eigenen Welt ware“: Versuch zur Anthropologie der Geschichtsschreibung,“ გამოცემაში *Formen der Geschichtsschreibung*, გამომცემელი რ. კოსელეკი, პ. ლუციდა ა. ჯ. რუსენი, *Theorie der Geschichte*, ტომი 4, (Munich: Deutscher Taschenbuch Verlag, 1982), 480-513 (ინგლისური თარგმანი იხ ჩემს გამოცემაში *სიცოცხლისა და ლიტერატურის აზრი* [მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამოცემა, 1992]).

დაცვლილებთან საუბრით, ნიშნავს ადამიანური სამყაროს ზღვრის გადალახვას. ამ ტერიტორიას ჩვენ ვუნოდებთ „ადამიანურად შეუძლებელს“ ან მივაკუთვნებთ „ზეზუნებრიობას“. მომავლის პროგნოზირება და გარდაცვლილთან საუბარი დაკავშირებულია უკვდავობის ილუზიასთან.

თუ ეს სპეციფიკური ხიზლია, რომელიც ანმყოს წარსულს უკავშირებს, მაშინ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარ ენთუზიაზმს გარდაცვლილებთან საუბრის მიმართ ჰაიდეგერი „სამყაროს ხიზლის“ სიმპტომს უწოდებდა. წარსულში დაბრუნება გარდაცვლილებთან გასასაუბრებლად რასაკვირველია გულისხმობს იმ მომავლისთვის ზურგის შექცევას, რომელიც სიკვდილს გვიმზადებს. წარსულით მოხიბვლა (*“ihnen verfallen sein”*) გვეხმარება დავივიწყოთ ის არარაობა, რაც სიკვდილის შემდეგ გველის და რომლისთვისაც თვალის გასწორებაც სურდა ჰაიდეგერს. რა თქმა უნდა, არსებობს ისტორიული საქმიანობის გზა არცთუ დაშორებულ წარსულში, რომელიც უძლებს ჰეიდეგერის ეგზისტენციალურ გამონგევას. ერთ-ერთი ასეთი გზა შეიძლება იყოს კოჟევის მცდელობა ჰეგელისეულად იფიქროს ისტორიის დასასრულზე. არ არსებობს გარდაუვალი კავშირი სამყაროს ისტორიზაციასა და არარაობასთან კონფრონტაციის თავის არიდებას შორის. გარდაცვლილებთან საუბრის ილუზიის წარმოქმნა ჰაიდეგერის მიხედვით ერთგვარი სიმხდალეა. მაგრამ რატომ ვართ ვალდებული ვიმსჯელოთ ჰაიდეგერის სამყაროდან გამომდინარე? ნუთუ არა გვაქვს უფლება თვალი მოვარიდოთ საკუთარ სიკვდილს და იმის შეგრძნებას, რომ ყველაფრის მიუხედავად ის მაინც დადგება?

 სწავლება

როცა დღეს უნივერსიტეტში სწავლებაზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ნათელია, რას უნდა ავარიდოთ თავი. უკვე აღარავის სჭირდება კვირა დღის რიტორიკა იმაზე, თუ რა მშვენიერი, უსაზღვრო და შორსმჭვრეტელია ჰუმანიტარული მეცნიერებები. ჩვენს პროფესიაზე საუბრისას თავი უნდა ავარიდოთ იმ სიტყვების გამოყენებას, რომელთაც მეცნიერები ხშირად იყენებენ და ყველა იოლად იღებს და იტაცებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი მაინც აღარ სჯერათ. აღარავის აინტერესებს დებატები იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს ჩვენი დისციპლინის მთავარი ამოცანა – „კომპენსაცია“ (მაგალითად, ტექნოლოგიის საშინელებისთვის) თუ „ორიენტაცია“ (როცა უცნობია, ვინ დარჩება ამგვარი მფარველობით მოგებული). აღარავინ უსმენს ისეთ ფუჭ მტკიცებას, რომელსაც კიდევ უფრო ფუჭ მტკიცებასთან მივყავართ, თითქოს ჩვენი დისციპლინები არსობრივად „ინტერდისციპლინარული“, „ინტეგრაციული“ და „დიאלოგურია“. არ მინდა შორს წავიდე და ვამტკიცო, რომ ისინი განმანათლებლურია, რადგან მათი პირდაპირი მოვალეობაა შეენინაალმდეგონ და გაანეიტრალონ თანამედროვე საზოგადოების „რემითოლოგიზაციის ეფექტი“. არც ის მინდა, ერთმანეთს შევეუპირისპირო ორი ცნება: „კულტურა“ (=კარგი) და „ცივილიზაცია“ (=ცუდი).<sup>1</sup> ზოგჯერ, როგორც ვიცით (რადგან ამის ემპირიული დასტურს ფოსტისა და ელ. ფოსტის საშუალებით განუწყვეტლივ ვიღებთ), ჰუმანიტარული მეცნიერებების მიერ საკუთარი სტატუსის ასახვა და მათი მომავალი ეჩეხება სხვაგვარი ადმინისტრაციული დოკუმენტების შესავალს. საოცარია, რომ ჰუმანიტარული მეცნიერების დებატებს, რომლებიც დიდი სირთულითა და ინტელექტუალური კეთილშობილებით ხასიათდება, მაინც გააჩნია ტრივიალურობის ეფექტი. ნუთუ ვსაჭიროე-

1. საყურადღებო საერთო ციტატები ვიპოვე ვოლფგანგ ფრუვალდის, ჰანს ლობერტ ჯაუსის, რეინჰარტ კოსელეკის, ჯურგენ მიტელსტრასისა და ბურკჰარტ შტეინვახის გამოცემებში *Geisteswissenschaften heute: Eine Denkschrift (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1991)*, 7-14.

ბთ იმის შესხენებას, რომ „ისტორიით ექსტრააკადემიური გატაცება“ ესთეტიკური საქმიანობა და ლინგვისტური გონიერება ჩვენი სამუშაოს სასურველი ჩარჩოებია?<sup>2</sup> ან გავისხენოთ *Bildung*-ის ღირებულებები – მოლოდინი იმისა, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები ახალგაზრდას ინტელექტუალურ და პირად „დამოუკიდებლობასთან“ მიიყვანს.<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ეს პრობლემა არ ახასიათებს მხოლოდ გერმანული ან სხვა რომელიმე ქვეყნის აკადემიურ კონტექსტს. უმნეობის იგივე კედელს ვეჩეხებით ამერიკულ აკადემიურ დებატებშიც. ჯერაც ვერ გადამინყვეტია, მათი გულუბრყვილობა უფრო მომხიბვლელია, თუ დამანგრეველი, ვიდრე გერმანული დისკურსის სერიული და სტანდარტული არგუმენტები. მაგრამ რაში მდგომარეობს საერთაშორისო აკადემიური პრობლემა? რატომ ვლებულობთ ყოველთვის ისეთ დისკურსს, რომელიც ზრდასთან ერთად უარესდება? პრობლემა ისაა, რომ პრობლემა საერთოდ არ არსებობს. ჩვენ გამუდმებით ვიცავთ თავს სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი სფეროსგან, *სინამდვილეში* კი ისინი არც არიან ჩვენი მტრები, რადგან არ ცდილობენ არც ჩვენი სიდიდის, არც მნიშვნელობის დაკნინებას. მეტიც, ისინი ეთანხმებიან ჩვენს სასარგებლოდ წარდგენილ ნებისმიერ არგუმენტს. *Romanisches Seminar*-ის გააფთრებული დაცვა მხოლოდ ჩვენი პარანოიაა თუ მათი ფარული ბოროტი განზრახვებისადმი წინააღმდეგობა? მიუხედავად ჩვენი ისტერიისა, პრობლემა ისაა, რომ მართლაც საშიში მტრები გვყავს. მეტიც, ვფიქრობ, რომ მეტისმეტად ბევრს მოველით (სჭირდება კი ყველა ახლად აღმოჩენილ ფრაგმენტს კრიტიკული რედაქტირება?). რატომ იყენებენ გერმანელი ჰუმანისტები ასე ხშირად „*petit bourgeois trend*“-ს და გარკვეული სოციალური სექტორების სურვილს თითოეული ჰუმანიტარული დისციპლინის ძირითადი ფუნქციების შემუშავებისთვის, იმის ნაცვლად, რომ დაუკავშირდნენ პოლიტიკოსებს, რომლებიც ყველა საჭირო მხარდაჭერას მაინც უზრუნველყოფენ?<sup>4</sup> რატომ გვიბრუნდება ჩვენი

- 
2. დიეტერ ჰენრიხი, „Die humane Bedeutung der Geisteswissenschaften,“ *Zwischenrufe: Aus den bewegten Jahren* (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1993), 121-38 (ციტატა გვ. 138)
  3. Dieter Henrich, „Die Krise der Universität im vereinigten Deutschland,“ *Nach dem Ende der Teilung: Über Identitäten und Intellektualität in Deutschland* (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1993), 125-56 (141).
  4. მივეყვები მანფრედ ფურმანს, „Klassische Philologie seit 1945: Erstarrung, Geltungsverlust, neue Perspektiven,“ გამოცემა *Die sog. Geisteswissenschaften: Innenansichten*, გამომცემლები ვოლფგანგ პრინცი და პეტერ ვეინგარტი (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1990), 313-28 (ციტატა გვ. 327).



საკუთარი სოციალ-დემოკრატიული ინსტიტუტები ჩვენზე სანინააღმდეგოდ? ჩემი საბოლოო პასუხი არის ის, რომ ჩვენ ჰუმანისტები მეტისმეტად ვიტანჯებით პესიმიზმითა და ჩვენ საქმესთან დაკავშირებული ენთუზიაზმის ნაკლებობით, ვიდრე ის ჯგუფები, ვისთანაც ვსაქმიანობთ (ამ პასუხს საბოლოოს ვუნოდებ იმიტომ, რომ დამაჯერებელია, მაგრამ ვხვდები, რომ მისი „სავარაუდოდ“ მოხსენიება კოლეგიალური ზენოლის შედეგი იქნებოდა). ჩემი სიტყვების გრძელი ციტატებითა და მოზრდილი სტატისტიკით დამტკიცების ნაცვლად ვაჩვენოთ,<sup>5</sup> როგორ ვრეაგირებთ ქრონიკული კოლექტიური დეპრესიის ამ მდგომარეობაზე.

თუკი ჩვენ გვინდა, ისევ დავიბრუნოთ თავდაჯერებულობა და გადავახალისოთ ჩვენი თვითმიჯი, არც ჩვენი დებულებებისა და დებატების უარესი სცენარით განვითარების შესაძლებლობა უნდა გამოგვჩხეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა გამოვირიცხოთ ის, რომ ჰუმანიტარული დისციპლინები შესაძლებელია ისტორიულ დასასრულს უახლოვდებოდეს.<sup>6</sup> მათი, როგორც ინსტიტუტების დასაწყისი მე-19 საუკუნეში საკმაოდ მკაფიო იყო და 1900-იან წლებში მკვეთრი პროგრამაც ჰქონდათ (როგორც ამას ვილჰელმ დილთაი აღნიშნავს). უფრო მეტიც, უამრავი საზოგადოება თუ კულტურა ჩვენი მსგავსი აკადემიური დისციპლინის გარეშეც საკმაოდ ბედნიერია. ამასთან, კარგი იქნება, თუ ვაღიარებთ, რომ ჰუმანიტარული დისციპლინები ის განსაკუთრებული ინსტიტუტებია, რომელთაც მხოლოდ ზოგიერთი კულტურა თუ შენვდება და თავს არ მოვიტყუებთ, თითქოს მათი დასასრული კაცობრიობის დასასრული იყოს. მნიშვნელოვანია, ჩვენი პროფესიული სიტუაციების ასახვის გზები რაც შეიძლება სპეციფიკური იყოს. წინამდებარე ესეში ვეცდები ვისაუბრო უფრო კლასიკის სიტუაციებზე, ვიდრე ზოგადად ჰუმანიტარულ დისციპლინებზე. განვიხილავ კლასიკას, როგორც პროფესიას და არა როგორც ცოდნის სფეროს. ამას ვეცდები იმ განსხვავების ჩვენებით, რომელიც არსებობს ამ პროფესიის ახლანდელ მდგომარეობასა და ევროპაში მე-20 საუკუნის I-II დეკადაში არსებულ სიტუაციას შორის.

- 
5. იხ. „Dysphoria“, ჰანს ულრიხ გუმბრეხტისა და ვოლტერ მოსერის შესავალი გამოცემებში *შედარებითი ლიტერატურის კანადური ჟურნალი* 9, (2001), სპეციალური გამოცემა „ლიტერატურულ სწავლებათა მომავალი/L'avenir des études littéraires“, სადაც მოცემულია 30 ახალგაზრდა სწავლულის შეხედულება ლიტერატურული კრიტიკის მომავალზე.
  6. იხ. ჩემი ესე „ლიტერატურულ მეცნიერებათა სათავეები და დასასრული?“ სტენფორდის *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმოხილვა* 6, 1 (1998): 1-10.

რადგან ჩემი დიაგნოზის მიხედვით ყველაზე მეტად თვითგადახალისება გვჭირდება (ყოველ შემთხვევაში მეტად, ვიდრე არარსებული ბრალდებებისგან საჭირო დაცვა), არსებობს განსაკუთრებული საფრთხე ჩემ მიერ არჩეული ისტორიული მიდგომის სპეციფიკურობასთან დაკავშირებით. როგორ უნდა ავარიდოთ თავი წარსულის „უჩინარ საშინელ ტვირთად“ ქცევას (როგორც ამას ნიცშე ამბობს)?<sup>7</sup> ნაცვლად „დამაბრმავებელ ელვად“ ქცევისა?<sup>8</sup> როგორ დავალწიოთ თავი „ირონიულ თვითასახვას“,“<sup>9</sup> რომელსაც ის თავისი დროის საკუთრებად მიიჩნევს და რომელიც ჩვენთვის ასე ახლობელია? პასუხიც, რასაკვირველია, ნიცშესეულია, ისევე, როგორც კითხვა: ვინრო ისტორიულ ფოკუსირებას მოვახდენ წარსულის ერთ ტექსტზე (მაქს ვებერის „Wissenschaft als beruf“) და პოზიციათა თანამედროვე კონფიგურაციაზე, რომელიც დალდასმულია ისეთი სახელებით, როგორიცაა ულრიხ ვონ ვილამოვიჩ-მოლენდორფი, ფრიდრიხ ნიცშე, ვილჰელმ დილთაი, შტეფან გეორგე და ვერნერ ჯეიგერი.<sup>10</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ 1920-იანი წლების კლასიკური ფილოლოგიის, როგორც პროფესიის ზოგიერთი პირობის განზე გადადება (ნიცშეს თქმით, „დავიწყება“) ისევე იქნებოდა ჩემი ყურადღების ცენტრში, როგორც სხვების ნაქეზება.<sup>11</sup> ვიმედოვნებ, ეს დროებით მაინც დაგვაყენებს „ანმყოს ზღურბლზე“. <sup>12</sup> თუმცა, ამჟამად მე შევეცდები ახლებურად, თანამედროვე გზით აღვიქვა ის, რაც ნიცშემ თავისი დროის კლასი-

- 
7. იხ. ფრიდრიხ ნიცშე *Vom Nutzen und Nachtheil der Historie für das Leben* გამოცემაში *Samtliche Werke, Kritische Studienausgabe*, ტომი 1, (Munich: Deutscher Taschenbuch Verlag, 1980), 249: „die grobe und immer grobere Last des Vergangenen: diese drückt [den Menschen] nieder oder beugt ihn seitwärts, diese beschwert seinen Gang al seine unsichtbare und dunkle Burde.“
  8. იქვე, 253: „daß innerhalb jener umschließenden Dunstwolke ein heller, blitzende Lichtschein entsteht.“
  9. იქვე, 302: „Es darf zwar befremdend, aber nicht widerspruchsvoll erscheinen, wenn ich dem Zeitalter, da so horbar und aufdringlich in das unbekummerste Frohlocken über seine historische Bildung auszubrechen pflegt, trotzdem eine Art von *ironischem Selbstbewußtsein* zuschreibe, ein darüberschwebendes ahnen, daß hier nicht zu frohlocken sei, eine Furcht, daß es vielleicht bald mit taller Lustbarkeit der historischen Erkenntnis vorüber sein werde.“
  10. მე აქ არ შევეხები იმ ისტორიულად და ნაციონალურად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რომელიც აღნიშნულმა დისციპლინამ სხვადასხვა დროს აითვისა. რაც უნდა რთული ტერმინი ვიხმარო, მკაცრი გამონათქვამი მაინც იგულისხმება.
  11. ნიცშე, *Vom Nutzen*, 330: «Mit dem Worte ‘das Unhistorische’ bezeichne ich dies Kunst und Kraft vergessen zu nutzen und sich in einer begrenzten Historizent eizuschließen.»
  12. იქვე, 250: „Wer sich nicht auf der Schwelle des Augenblicks, alle Vergangenheiten vergessend, niederlassen kann, wer nicht auf einem Punkte wie eine Siegesgottin ohne Schwindel und Furcht zu stehen vermag, der wird nie wissen, was Glück ist und noch schlimmer: er wird nie etwas thun, was Andere glücklich macht.“

კურ ფილოლოგიას შესთავაზა: საკუთარ ანმყოში უდროო არსებობის პროგრამა..<sup>13</sup>

მაქს ვებერის ცნობილი ესეე „Wissenschaft als Beruf“, რომლის თავდაპირველი პუბლიკაცია დათარიღებულია 1919 წლის გაზაფხულით, დასაწყისში არსებობდა როგორც ლექცია, ორგანიზებული Freistudentische Bund-ის მიერ მიუნხენში 1917 წლის 7 ნოემბერს, მსოფლიო ომის დასასრულამდე 1 წლით ადრე.<sup>14</sup> ვებერი აკადემიურ პოზიციას სისტემატურად გამოხატავდა, როცა მრავალწლიანი ავადმყოფობის, სამხედრო ადმინისტრაციაში მოხალისეობისა (რომელიც მან შეწყვიტა 1915 წლის სექტემბერში) და ეროვნულ პოლიტიკაში გავლენის მოპოვების ნარუმატებელი მცდელობების შემდეგ ბოლოს და ბოლოს უნივერსიტეტს დაუბრუნდა: პირველად ესტუმრა პროფესურას ვენაში და შემდეგ 1919 წლის მარტში დათანხმდა პროფესორობას მიუნხენის უნივერსიტეტში. **Freistudentische Bund** იყო უნივერსიტეტის სტუდენტების ეროვნული ასოციაცია, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს დაარსდა როგორც მეტრძოლ სტუდენტთა კორპორაციებისა და მათი ნაციონალური პათოსის ალტერნატივა<sup>15</sup> და ომის წლებში სწრაფად მზარდი აღიარებაც კი მოიპოვა. მისი პროგრამის უმთავრესი თვისება იყო იმ თანამედროვე გერმანული უნივერსიტეტების კრიტიკა, რომლებიც კონცენტრირებულნი იყვნენ მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე (ჰუმანიზმის კონცეფციის *Bildung*-ის საზიანოდ). ალექსანდრე შვაბის, Freistudentische Bund-ის ლიდერის, კრიტიკული ესესადმი არაერთგვაროვანმა რეაქციამ სავარაუდოდ განაპირობა ლექციების სერიის შექმნა სახელწოდებით „ინტელექტუალური მუშაობა, როგორც პროფესია“ („Geistige Arbeit als Beruf“). მაქს ვებერი პირველი გამომსვლელი იყო.<sup>16</sup>

13. იქვე, 247: „So viel muß ich mir aber selbst von Berufs wegen als classischer Philologe zugestehen dürfen: denn ich wußte nicht, was die classische Philologie in unserer Zeit für reinen Sinn hatte, wenn nicht den, in ihr unzeitgemäß – das heißt gegen die Zeit und dadurch auf die Zeit und hoffentlich zu Gunsten einer kommenden Zeit – zu wirken.“

14. ბიოგრაფიული (და ზოგადად ისტორიული) ინფორმაცია მაქს ვებერის შესახებ მოძიებულია ცნობილი *Einleitung*-იდან და *Editorischer Bericht*-დან, ტომი 1, ნაწილი 17, მაქს ვებერი, *Gesamtausgabe*, გამომცემელი ჰორსტ ბაიერი, მ. რაინერ ლეპსიუსი, ვოლფგანგ ჯ. მომსენი, ვოლფგანგ სხლუხტერი და იოანეს ვინკელმანი (Tübingen: Mohr, 1992), 1-46, 49-69. ვებერის ტექსტი წარმოდგენილია 71-111, სხვა ციტირებები მოცემულია ტექსტში თანმიმდევრულად.

15. თავად ვებერმა თავისი სტუდენტობის დროინდელი კორპორაცია (*Allemania Heidelberg*) 1918 წლის ნოემბერში დატოვა.

16. 1919 წლის 28 იანვარს ვებერმა ჩაატარა მეორე ლექცია იგივე სერიიდან სახელწოდებით „Politik als Beruf“ (*Gesamtausgabe*, ტომი 1, ნაწილი 17, 157-252).

პირველი, რასაც ვებერის *Wissenschaft als Beruf*-ის გადაშლისას მკითხველი შენიშნავს, არის აკადემიურ პროფესიაში წარმატების შემთხვევეითობა, გნებავთ „ობიექტური“ შეუძლებლობა (ამ კონტექსტში ვებერი თვითონ იმეორებს და ხაზს უსვამს არცთუ ხშირად გამოყენებულ სიტყვას – *შესაძლებლობა*). სახელმწიფო ადმინისტრაციისა და აკადემიურ ინსტიტუტს შორის კავშირურთიერთობა, მისი თქმით, პროფესორების რიგების შევსებას ნაკლებად სავარაუდოს ხდის (77); ის ვერ ხედავს კავშირს ქარიზმატული მასწავლებლისა და პროდუქტიული მეცნიერის ტალანტს შორის (79); და ბოლოს, თუ იგულისხმება, რომ მძიმე შრომა ნებისმიერი სამეცნიერო ინსტიტუტისა თუ აღმოჩენისათვის აუცილებელია, ვებერი ამტკიცებს, რომ განსხვავება ასეთ წარმატებას და მთელი ცხოვრების წარუმატებლობას შორის მხოლოდ შემთხვევეითია. იმ პროვოკაციული შესავლის შემდეგ, რომელიც გამიზნულია გერმანელი პროფესორის რომანტიკული და ნეორომანტიკული იდეოლოგიების პრობლემატიზაციისთვის, ძნელი გასარკვევია ვის პოზიციას იცავს ვებერი, ხოლო ვის წინააღმდეგ ილაშქრებს იგი აშკარაა. ის თვალშისაცემი ირონიით აკრიტიკებს მაგალითად, იმ სხვადასხვაგვარ მოლოდინს, თითქოს კვლევა და სწავლება ყოველდღიური ცხოვრების ორიენტირები იყოს. ვებერის აზრით, აკადემიური ინსტიტუტის ამოცანა არ შეიძლება იყოს „მსოფლიოსათვის მნიშვნელობის შექმნა“, „კოლექტიური ბედნიერებისთვის“ საფუძვლის ჩაყრა (92), „დაუყოვნებელი პრაქტიკული პასუხების“ (93) პოვნა ან „ადამიანური ცხოვრების პირობების უკეთესი ცოდნა და გაგება“ (87). მაგრამ თუ არა მკაფიოდ გამოკვეთილ ამოცანებს, სხვას რას შეუძლია განსაზღვროს აკადემიური საქმიანობა როგორც *პროფესია* (105)? პასუხს ვებერი ამაყობს ინტელექტუალური სტილის მაღალ აბსტრაქტულ კონცეფციებსა და ექსპერიმენტირებაზე (90), ასევე ლოგიკურ აზროვნებაზე, მეთოდურ პროცედურებზე, იმ საშუალებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ცვლილებებთან (არაა აუცილებელი, ცვლილება იყოს პრაქტიკული) (93).<sup>17</sup> მოხსენების მეორე ნაწილში ვებერი შემფოთებულია იმ ღირებულებათა კრიტიკით, რომელთა პროპაგანდასაც ეწევა *Freistudentische Bund*-ის ლექციათა დასაწყისში. ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკური მიზნები შეუთავსებელია აკადემიურ სწავლებას-

17. „daß das, was bei wissenschaftlicher Arbeit herauskommt, *wichtig* im sinn von 'wissenswert' sei.“

თან (95-96;100). ვებერი კატეგორიულად გმობს აკადემიკოს მასწავლებელსა და მის სტუდენტებს შორის ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც შემდეგ კონცეფციებთანაა დაკავშირებული: „მასწავლებელი ლიდერი“ („Führer,“ 101), „სტუდენტის გონების ფორმირება“ (97) ან რწმენა აკადემიურ როლებსა და შინაარსში (108). კვლავაც, ვებერის საკუთარი კონცეფციები ნაკლებ აშკარაა, ვიდრე მისი კრიტიკული შეტევები. ის აკადემიურ ინსტიტუტს „მსოფლიოსთვის ჯადოს მოხსნად“ აღიქვამს (87,93) და მას არსით არარელიგიურს უწოდებს. ხოლო იმ დისციპლინებისათვის, რომლებიც კულტურის გამოვლინებასთან არიან დაკავშირებული (*historische Kulturwissenschaften*), ის გამსაზღვრავს ამგვარი ობიექტების „წინ ნამონევისა და წარმოშობისათვის პირობათა გაგების“ ამოცანას. (95)<sup>18</sup>

არც ერთი ზემოთხსენებული მოტივი არ აღემატება მაქს ვებერის ლექციის სტანდარტულ ინტერპრეტაციებს. მათი უმეტესობა დაკავშირებულია „wertfreie Wissenschaft“-თან, რომელსაც 1980-იან წლებამდე სასტიკად არ ვეთანხმებოდით, ახლა კი მხარს ვუჭერთ. ჩემი აზრით, ვებერის ტექსტი უამრავ ისეთ პასაჟს შეიცავს, რომლებიც, იქნებ ავტორის უნებლიეთ, მაგრამ მაინც ვერ თავსდება „ღირებულებისგან თავისუფალ“ ნეგატიურ კონდიციასთან და ახლოს დგას გარკვეულ პედაგოგიურ იდეებთან, რომელთა აღიარებაც, ალბათ, ვებერს სურდა. გაითვალისწინეთ ამ კონტექსტით მეტაფორა, რომელიც აკადემიურ კონცეფციებს იმ „სახნისს უწოდებს, რომელიც კონკურენტული აზროვნების ნიადაგს აბრუნებს“ და მისი კონტრასტი მასთან, რასაც ვებერი „მტრის საწინააღმდეგო ხმლად“ მიიჩნევს (96).<sup>19</sup> იგივე ტენდენცია აშკარაა ვებერის, როცა ვებერი მხარს უჭერს იმას, რაც უნივერსიტეტის „ინტელექტუალურ არისტოკრატიზმად“ მიაჩნია: „გაუნვრთნელი, მაგრამ მორჩილი გონების“ შეჩვევა „დამოუკიდებელ აზროვნებასთან“ (79).<sup>20</sup> მისი თქმით, „დამოუკიდებელი

18. "Oder nehmen Sie die historischen Kulturwissenschaften. Sie lehren politische, kunstleische, literarische und soziale Kulturerscheinungen in den Bedingungen ihres Entstehens verstehen."

19. "Die Worte, die man braucht, sind dann nicht Mittel wissenschaftlicher Analyse, sondern politischen Werbens um die Stellungnahme des anderen. Sie sind nicht Pflugscharen zur Lockerung des Erdreiches des kontemplativen Denkens, sondern Schwerter gegen die Gegner: Kampfmittel."

20. "Wissenschaftliche Schulung aber, wie wir sie nach der Tradition der Tradition der deutschen Universitäten an diesen betreiben sollen, ist eine geistesaristokratische Angelegenheit, das sollten wir uns nicht verhehlen. Nun ist es freilich andererseits wahr: die Darlegung wissenschaftlicher Probleme so, daß ein ungeschulter, aber aufnahmefähiger Kopf sie versteht, und daß er - vielleicht die pädagogisch schwierigste Aufgabe von allen."

აზროვნება“ ხელს უწყობს „არასასიამოვნო ფაქტების“ [98] – ანუ იმ დაკვირვებებისა და შედეგების აღიარებას, რომლებიც განუწყვეტილად სრულდებიან და ერწყმიან მზა მოსაზრებებსა და პოზიციებს. მაგრამ განა უცნაური არაა, ინტელექტუალური კომპლექსიკაციის დაკავშირება აკადემიური კვლევისა და სწავლების პროფესიონალიზმთან?

მსგავსად, პიროვნული დამოუკიდებლობის, ინტელექტუალური მოქნილობისა და მათი კომპლექსური ეფექტების ხაზგასმა სრულად არ ემთხვევა იმას, რაც „wertfreie Wissenschaft“-ის ქვეშ გვეხმის. ეს პროგრამული კონცეფცია, რომელიც ვებერის ინტერპრეტაციებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე თვითონ მას, ხაზს უსვამს აკადემიური კვლევის დამოუკიდებლობას სისტემის გარეშე ეფექტებისგან, მაგალითად, ვებერის თანახმად, ხელოვნების ისტორიკოსებმა უნდა აჩვენონ მე-20 საუკუნეში აბსტრაქტული ხელოვნების წარმოშობა დამოუკიდებლად იმ შედეგებისგან, რასაც ეს ხელოვნების ბაზარზე გამოიწვევს. კვლევის შედეგებზე ფოკუსირების გარდა, საინტერესოა ისიც, რომ მაქს ვებერი ხაზს უსვამს კვლევის გავლენას მკვლევარისა და სტუდენტების აზროვნებაზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, აბსტრაქტული ხელოვნების წარმოშობის მიზეზების დადგენა გიბიძგებს იყო უფრო გონიერი და ინტელექტუალურად მრავალფეროვანი, თუნდაც არ გქონდეს მასთან უშუალო შეხება. მაგრამ როგორ ხდება ეს? ან ხდება კი საერთოდ? როგორ შეისხა ხორცი *Geistesaristokratie*-ის ვებერისეულმა იდეალმა? როგორ და რატომ აძლიერებს მონაწილეთა გონებას კვლევა? რამდენადაც მე ვიცი, „Wissenschaft als Beruf“ ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა. დაჟინებით ვამტკიცებ, რომ პასუხები სწორედ იმ ნეორომანტიკულ მოტივებსა და არგუმენტებშია, რომელთა უარყოფასაც ვებერი ასე ცდილობს.

☞ ☞ ☞ რა იყო ის აკადემიური სიტუაცია, რომელსაც მაქს ვებერის ლექცია ეხებოდა? რა იყო ის პრობლემები, დებატები და ცვლილებები გერმანულ ჰუმანიტარულ დისციპლინებსა და ზოგადად კლასიკურ ფილოლოგიაში? ჩემი დისკუსიის კონტექსტისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვებერის ლექციამდე რამდენიმე წლით ადრე იყო ისტორიული ზღვრული, რომლის შემდეგაც ვილჰელმ დილთაის პროგრამული ნაწერებით დადასტურდა *Geisteswissenschaften*-ის გამოყოფა დანარჩენი აკადემიური დისციპლინებისგან.

მის წიგნში *Der Aufbau der geschichtlichen Welt in den Geisteswissenschaften* მხოლოდ 1910 წელს მოხდა ინტერპრეტაციის, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ძირითადი საქმიანობის სათანადო სიმაღლეზე აწევა (ანუ როგორც დილთაიმ ამას უწოდა – მოვლენის მატერიალური და ფილოლოგიური შრეებიდან სულიერ სიღრმეებში გადანაცვლება): „ჩვენი დისციპლინების კლასტერში არის ძლიერი მზარდი ტენდენცია, რომელსაც პროცედურათა ფიზიკური ასპექტები წმინდა პირობებამდე, გაგების წმინდა ინსტრუმენტამდე დაჰყავს. ეს არის კონცენტრირება თვითრეფლექსიისთვის, გარედან შიგნით არის მიმართული. აღნიშნული ტენდენცია იყენებს ცხოვრების ობიექტურობას როგორც შინაგანის გაგების ათვლის წერტილს“.<sup>21</sup> დილთაი ეხება ინტერპრეტაციის ორ ოდნავ განსხვავებულ, თუმცა განუცალკევებელ მიზანს. პირველი, ადამიანური გონებისათვის მისაწვდომი ინტელექტუალური (ან სულიერი) სტრუქტურები მათ ობიექტივაციაში უნდა ვეძებოთ.<sup>22</sup> მეორე, უფრო რთული (და პრობლემატური) საკითხისადმი მთელი პატივისცემით, დილთაი მიგვითითებს *Erlebnis*-ის კონცეფიაზე (გაცოცხლებული გამოცდილება), რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის მიერ გარემომცველი სამყაროს აღქმა არის ყველა „სულიერი“ შინაარსისა თუ ფორმის დასაბამი.<sup>23</sup>

დილთაის პროგრამა, რომელიც ერთამანეთს უკავშირებს კულტურული ობიექტების მატერიალურ ზედაპირსა და *Erlebnis*-ის სფეროს, გვპირდება სიახლოვეს ცხოვრებასთან, რომელიც მას მუდამ შეუძლებლად მიაჩნდა, მაგრამ არასოდეს აღწერდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ *Erlebnis*-ის პირობითი ისტორიული თარგმანი – „გაცოცხლებული გამოცდილება“ საკმაოდ არაადეკვატური გამოთქმაა, თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ „გაცოცხლება“ (გაუშუალების

21. „Der Aufbau der geschichtlichen Welt in den Geisteswissenschaften“ (1910), ვილჰელმ დილთაი *Texte zur Kritik der historischen Vernunft*, გამომცემელი ჰანს-ულრიხ ლესინგი (Göttingen: Vandenhoeck and Ruprecht, 1983), 248-256 (ციტატა გვ. 251): „Aber in der Natur der Wissenschaftsgruppe, über die wir handeln, liegt eine Tendenz, und sie entwickelt sich in deren Fortgang immer stärker, durch welche die physische Seite der Vorgänge in die bloße Rolle von Bedingungen, von Verstandsmitteln herabgedrückt wird. Es ist die Richtung auf die Selbstbesinnung, es ist der Gang des Verstehens von außen nach innen. Diese Tendenz verwertet jede Lebensübung für die Erfassung des Innern, aus der hervorgeht.“

22. იქვე, 254: „der Rückgang auf geistiges Gebilde,“ „ein geistiger Zusammenhang... , der in die Sinnenwelt tritt und wir durch den Rückgang aus dieser verstehen.“

23. იქვე, 254: „Das Nächstgegebene sind die Erlebnisse. Diese stehen nun aber...in einem Zusammenhang, der im ganzen Lebensverlauf inmitten aller Veränderungen permanent beharrt; auf seiner Grundklage entsteht das, was ich als den erworbenen Zusammenhang des Seelenlebens früher beschrieben habe; er umfaßt unsere Vorstellungen, Werbestimmungen und Zwecke, und er besteht in seiner Verbindung dieser Glieder.“

ასპექტი) თავისთავად გამოცდილებაა და ინტერპრეტირებული და წარმოდგენილია სხვადასხვა კონცეფციებით. გერმანული ლექსიკონი კი (და ფილოსოფიური ტერმინოლოგია მას ეთანხმება) *Erlebnis*-ს ათავსებს ერთი მხრივ ფიზიკურ აღქმას, მეორე მხრივ კი გამოცდილებას, როგორც ინტერპრეტაციის შედეგს შორის. შეიძლება ითქვას, *Erlebnis* არის აღქმა, რომელზეც ცნობიერება გაუაზრებლად ფოკუსირდება. ვფიქრობ, ვილჰელმ დილთაის უნდა ეგრძნო *Erlebnis*-ის ცნების დაუმორჩილებლობის პოტენციალი (იგივე პოტენციალი, რომელიც თანამდეროვე *Lbensphilosophie*-ის ვარიაციებს იწვევს), მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენების ნაცვლად მან არჩია *Erleben* კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კონტროლის ქვეშ მოექცია. თავდაპირველი ავტორის ან პოეტის *Erlebnis* იყო ის წერტილი, რომელსაც ინტერპრეტაცია უნდა დაბრუნებოდა. ამრიგად, ბუნებრივია, ავტობიოგრაფია დილთაისა და მისი სკოლის საყვარელი ჟანრი გახდა, მაშინ როცა საკუთარი კვლევის შედეგებს ბიოგრაფიულ სტილში წარადგენდნენ. დილთაის ყველაზე ცნობილი წიგნი *Das Erlebnis und die Dichtung* (1906) იყო ლესინგის, გოეთეს, ნოვალისისა და ჰოლდერლინის შესახებ ბიოგრაფიული ესსეების კრებული.

ცნობილი ფაქტია, რომ ახლად ჩამოყალიბებული *Geisteswissenschaften*-ზე გავლენა მოახდინა აგრეთვე პოეტმა, შტეფან გეორგმა და მისმა წრემ.<sup>24</sup> საჯარო თვითპრეზენტაციის დრამატულად განსხვავებული სტილის გამო, რომელმაც სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალები მოიზიდა, დილთაის ჰერმენევტიკის სიახლოვე გეორგ-კრეისის პოზიციებთან ხშირად შეუძლებელია. პირადად მე, გავკადნიერდებოდი და ვიტყოდი, რომ გეორგ-კრეისის მიერ გამოგონილი პოეტური თუ ზოგადად კულტურული რიტუალები *Erlebnis*-ის დილთაისეული კულტის გაცილებით რადიკალური ვარიანტია (და ალბათ უფრო თანმიმდევრულიც).<sup>25</sup> გეორგს გაცოხლებული გამოცდილებისა და სხეულის ფიზიკური გამოცდილების „ერთიანობით“ სურდა „ღვთის განსხეულება“ და „სხეულის განღმრთობა“. მისი წრის შინაგან

24. Georgkreis-ის უხვი ლიტერატურა იხილეთ ერნსტ ოსტერკამპის `Friedrich Gundolf zwischen Kunst und Wissenschaft: Zur Problematik eines Germanisten aus dem Georg-Kreis,- გამოცემაში *Literaturwissenschaft und Geistesgeschichte 1910 bis 1925, გამომცემლები კრისტოფ კონიგი და ებერ-ჰარდ ლამერტი* (Frankfurt am Main: Suhrkamp, 1993), 177-98. იხ. აგრეთვე ლობერტ ენოტონი, *საიდუმლო ერმანია: შტეფან გეორგი და მისი წრე* (თაკა, ნიუ იორკი, კონელის უნივერსიტეტის გამოცემა, 2002).

25. იქვე, 178.



სტრუქტურებს ახასიათებთ მკაცრად იერარქიული ურთიერთობები და „მსახურებისადმი“ ფსევდო-რელიგიური დამოკიდებულება.<sup>26</sup> ფრიდრიხ გუნდოლფი, 1920-იანი წლების ყველაზე პოპულარული გერმანისტი, გეორგის მიმდევარი იყო და მისდა (და გეორგის!) სამწუხაროდ, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში პროფესორობისას აღმოაჩინა, რომ ნაკლები ტალანტი ჰქონდა როგორც პოეტს „ცხოვრებისეული ფორმის ხელოვნების ფორმად გადაქცევაში“, ვიდრე როგორც კრიტიკოსს. მისივე თქმით, ის მიხვდა თავის ჭეშმარიტ სიძლიერეს და ეს იყო იმის „გამოვლენა, რასაც უკვე ჰქონდა ფორმა“. ის თანდათანობით შეეგუა ამ აზრს და ასევე თანდათანობით ჩამოშორდა გეორგს.<sup>27</sup> ყოველივე ეს კი გახდა მისი ცნობილი ფორმულის საფუძველი – „Erlebnis als Methode“<sup>28</sup> რომელიც სწრაფად გავრცელდა იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკოსებს შორის.<sup>29</sup> დღეს „გაცოცხლებული გამოცდილება, როგორც მეთოდი“ ბოლომდე არ შეესაბამება ვილჰელმ დილთაის კანონიზაციას, თითქოს Erlebnis იყოს ყოველნაირი ინტერპრეტაციის საბოლოო დანიშნულების ადგილი. ის უფრო იმ იდეას ემხრობა, რომ კულტურული ობიექტები ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს. ეს ნორმატიული იდეა კი შორს არ დგას იმ მეცნიერული ანალიზის (და ნაკლებად შედეგების) დაჟინებისაგან, რომელიც აღწერილია მაქს ვებერის „Wissenschaft als Beruf“-ში.

და რა პოზიცია ჰქონდა კლასიკურ ფილოლოგიას, როცა გერმანიის უნივერსიტეტებში ეს დებატები იმართებოდა? როგორც მომიჯნავე დისციპლინების უმეტესობა, ის ეყრდნობდა იმ ორ ფუნდამენტურად განსხვავებულ კონცეფციას, რომლებიც მე-19 საუკუნის უკანასკნელი დეკადებიდან ჯერ თანაარსებობდნენ, ხოლო შემდეგ კონკურენტები გახდნენ. ის, რომ 1900-იან წლებამდე ადრე წარმოშობილი ვილჰელმ დილთაის, შტეფან გეორგის, ფრიდრიხ განდოლფისეული ახალი აზროვნება ახლა წინ წამოიწია, ალბათ, იმ თვითეჭვებს და ზოგადად ინ-

26. იქვე, 184.

27. იქვე, 181, `[Gundolfs] Briefe an Curtius bezeugen einen schweren Rollenkonflikt in den Heidelberger Anfangsjahren 1912 und 1913, der auf de rim wissenschaftlichen Alltag mehr und mehr bestätigenden Einsicht grundete, nicht die kunstlereische Gestalteten bilde sein eigentliches Talent: 'Hab gegen Bucher (die doch nun einmel mein Medium sein musseen und deren Vivifizierung mein bedeutendstes, mir angewachsener Denkbrille qualt mich.'`

28. იქვე, 184.

29. გუნდოლფის ერთ-ერთი თავყვანისმცემელი და კოლეგა, რომლის ინტელექტუალური განვითარებისთვის ეს ფრაზა გადამწყვეტი აღმოჩნდა, იყო ლეო სპიტცერი. იხ. ჩემი ბიოგრაფიული ესსე *Leo Spitzers Stil, Veröffentlichungen des Petrarca-Institutis Koln* (Tubingen: Narr, 2001).

სტიტუციონალურ დაუცველობას უნდა დავაბრალოთ, რომელიც ომის-შემდგომ მსოფლიოს ახასიათებდა.<sup>30</sup> ამ კუთხით მაქს ვებერის 1919 წელს დაწერილი „Wissenschaft als Beruf“ იმ პერიოდის ემბლემური დოკუმენტი იყო. კლასიკის საზოგადო აღქმისათვის, ულრიხ ვონ ვილამოვიჩ-მოლენდორფი კვლავაც აშკარა პროტაგონისტი იყო ბერლინის უნივერსიტეტის დატოვების შემდეგაც და სიცოცხლის უკანასკნელი დეკადის განმავლობაშიც (გარდაიცვალა 1931 წელს). 1925 წელს, სედანის ბრძოლის დღეს (პრუსიის გამარჯვება ფრანგულ-პრუსიულ ომში 1870-71წწ) *Reden und Vorträge*-ის მეოთხე გამოცემაში ჩანს, რომ ვილამოვიჩი ხედავს მხოლოდ პოლიტიკურ-კულტურული სამყაროს დაცემას და არა თავისი დისციპლინისას. მან ჯიუტად გაიმეორა 1890 წლის ნიგნის თავდაპირველი მიძღვნა თავისი მასწავლებლებისადმი შულფვორტას გიმნაზიიდან (რომელთა კიდევ ერთი ცნობილი მოსწავლე იყო ფრიდრიხ ნიცშე). მან დაადასტურა პირველი გერმანელი იმპერატორის – ვილჰელმ I-ისათვის მიცემული ერთგულების ფიცი. არც თავდაპირველ და არც 1920-იანი წლების შემდგომ პუბლიკაციებში ვერ ხედავდა ინოვაციური კონცეფციების აღიარების საჭიროებას, რომელთაც ნიცშეს კულტურის ფილოსოფია ეთანხმებოდა.<sup>31</sup> ვილამოვიჩის სურვილი, გერმანელი ახალგაზრდობა გამოეცოცხლებინა ძველბერძნული ლიტერატურით, არ იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ის უმცროს კოლეგებს გამოეყო; ეს სურვილი კლასიკოსი ფილოლოგების ახალ თაობაშიც დომინირებდა. რამაც ვილამოვიჩი ისტორიული წარსულის მონუმენტად აქცია საგანმანათლებლო ფუნქციის მიღწევადობისა და საიმედოობისადმი ყოველგვარი ეჭვებისა და კითხვების არარსებობა იყო. ბერძნული ტრაგედიების შესახებ ესეე (*Trauerspille*) გიმნაზიის დამთავრებასთან დაკავშირებით (1867),<sup>32</sup> საქვეყნოდ ცნობილი საახალწლო და იმპერა-

- 
30. იხ. ანფრედ ლანდფესტერი, „Die Naumburger Tagung ‘Das Problem des Klassischen und die Antike’ (1930). Der Klassikbegriff Werner Jaegers: seine Voraussetzung und seine Wirkung.“ გამოცემაში *Alertums-wissenschaft in den 20er Jahren: neue Fragen und Impulse*, გამომცემელი ჰელმუტ ფლაჰარი და საბინ ვოგტი (შტუტგარტი: ფ. შტაინერი, 1995), 11-40 (ციტატა გვ. 11): „Dieser Bruch war zwar geistig vorbereitet seit der Jahrhundertwende, er wurde jedoch erst unter dem Eindruck der militärischen Niederlage Deutschlands im Ersten Weltkrieg und ihrer politischen und gesellschaftlichen Folgen in der ‘Weimarer Republik’ wirksam.“
31. იხ. ვილამოვიჩის რეაქცია ნიცშეზე, ულრიხ კ. გოლდსმიტი, „ვილამოვიჩი და გეორგკრეისი“, გამოცემაში *Wilamowitz nach 50 Jahren*, გამომცემელი უილიამ მ. კალდერი, ჰელმუტ ფლაჰარი და ტეოდორ ლინკენი (Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1985), 583-612, განსაკუთრებით 595-99.
32. იხ. მაგალითად, იოაკიმ ვოლგენი, „Der Abiturient als Kritiker“, გამოცემაში *wilamowitz nach 50 Jahren*, 3-30.

ტორის დაბადების დღის აღსანიშნავი მოხსენებები საუკუნის მიჯნაზე,<sup>33</sup> სამეცნიერო ნაშრომები – 1920-იან წლებში – არცერთ ამ შემთხვევაში პროფესიის სასარგებლოობასთან დაკავშირებული რწმენა არ შეცვლილა: ვილამოვიჩს სწამდა, რომ ადამიანის მორალური ვალდებულებები (*Pflicht*) უმნიშვნელოვანესი ეთიკური ორიენტაცია იყო, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევდა თვითგანკარგვისა და კმაყოფილების სიტუაციას<sup>34</sup> და რომ ყოველივე ამის გაგების საუკეთესო გზა ბერძნული კულტურა და ლიტერატურა იყო.

ამ პრინციპებისგან განსხვავებით, რომლებმაც ვილამოვიჩის პროფესიული ცხოვრება განსაზღვრეს (ძნელია არ გავიხსენოთ ორი მეტალი – რკინა და სპილენძი, პრუსიის სახელმწიფოს თვითრეპრეზენტაციის მახასიათებლები), მის მიერ ბერძნული კულტურის გაგება დეკადიდან დეკადამდე იცვლებოდა. კეთილშობილი ღირებულებებითა და გერმანული კლასიციზმის ჯანსაღი ფორმით ვილამოვიჩი (გარკვეულწილად ჰერდერის ნაწერების გავლენით) ბერძნული კულტურის უფრო ჰომოგენურ სურათს გვიხატავს.<sup>35</sup> საბერძნეთის რომანტიკულმა იმიჯმა 1920-იან წლებში ვილამოვიჩის სტუდენტების აკადემიური თაობა (განსაკუთრებით ჯეიგერი) ისევ კლასიციზტებად აქცია, ანუ ნაკლებ დივერსიულებად, უფრო ნორმატიულებად და აპლიკაციაზე ორიენტირებულებად. სიმბოლურია, რომ ჯეიგერი არ იყო მარტო ვილამოვიჩის უშუალო მემკვიდრე ბერლინში. ადრეულ წლებში მას ფრიდრიხ ნიცშეს ყოფილი სავარძელი ეკავა ბაზელის უნივერსიტეტში. თუმცა ის ბევრს ეცადა (და საკმაოდ წარმატებითაც), თავიდან აეცილებინა საჯარო დაპირისპირება ბერლინერ წინამორბედთან. ჯეიგერმა მნიშვნელოვანი პოტენციალი დაინახა ნიცშეს ნაწერებში, დილთაის ფილოსოფიასა და გეორგეს წრის კულტურულ სტილში.<sup>36</sup> ეს პოტენციალი, რომელსაც მან „ბერძნული კულტურის მიერ გაცოცხლებული ფსევდო-ეგზის-

---

33. იხ. მაგალითად, *Reden Und Vorträge* მეოთხე გამოცემა, ტომი 2 (დუბლინი და ციურხი: ვიდე-მანი, 1967 [1926]), 1-55.

34. იქვე, viii.

35. Ernst Vogt, „Wilamowitz und die Auseinandersetzung seiner Schüler mit ihm,“ გამოცემაში *Wilamowitz nach 50 Jahren*, 613-31 (ციტატა გვ. 627).

36. კლასიკურ ფილოლოგიაში ჯეიგერსა და ახალ ინტელექტუალური მოძრაობაზე ინფორმაცია მოწვდილია. იხ. ლანდფესტერის ზემოთხსენებულ ესსეში „Die Naumburger Tagung“, აგრეთვე უვი ჰოლმერის „Strömungen der deutschen Gräzistik in den Zwanziger Jahren,“ ორივე მათგანი მოცემულია გამოცემაში *Altertumswissenschaft*, გამომცემლები ფლამერი და ვოგტი, 11-40, 65-86; და ერნსტ ვოგტი, „ვილამოვიჩი“.

ტენციალური მუხტი უნდა“,<sup>37</sup> მან დაუკავშირა 1918 წლის შემდგომი გერმანიის კულტურულ კრიზისს (ამ კრიზისის გაცოცხლებას თავს არ არიდებდნენ ის და მისი კოლეგები). ამან ჯეიგერს შესაძლებლობა მისცა *Paideia*-ს პროგრამული ცნების ფარგლებში წარმოდგინა კლასიკის, როგორც ეროვნული პედაგოგიის ზედნაშენი. ეხებოდა რა გერმანული ეროვნული ლიტერატურის აღიარებულ ავტორებს, ჯეიგერი კვლავაც ხაზს უსვამდა კავშირს გერმანულ და ძველბერძნულ კულტურებს შორის; მან ძველბერძნული (და გერმანული) კულტურა დაუკავშირა ადამიანის ცხოვრების მეტაისტორიულად ნორმატიულ კონცეფციას და განაცხადა, რომ ამგვარი ჰუმანიზმის პროპაგანდა და ექსპანსია კაცობრიობის დიდებული ბედისწერა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ვერნერ ჯეიგერმა გერმანია 1936 წელს დატოვა, რათა ჩიკაგოს უნივერსიტეტში (1939 წელს კი ჰარვარდში) პროფესორი გამხდარიყო, კლასიკის მისეული კონცეფცია ერთგვარ აკადემიურ იდეოლოგიად იქცა და საოცრად მიესადაგა 1933 წლის შემდგომ გერმანიას.<sup>38</sup> ეს, რა თქმა უნდა, უმეტესწილად გამომწვეული იყო კლასიკური ფილოლოგიის ეროვნულ პედაგოგიკად გადაქცევის მცდელობით. ნებისმიერ შემთხვევაში ჯეიგერის ინიციატივამ გამოიწვია უდიდესი დაინტერესება კლასიკის ფუნქციის შესახებ კითხვებით. კითხვებით, რომელზე პასუხებიც ვილამოვიჩის თაობამ თითქოს უსიტყვოდ მიიღო. *Paideia*-მ კიდევ ერთხელ წინ წამოსწია *Bildung*-ის ღირებულებები, რომელთაც ასახვა ვერ ჰპოვეს მაქს ვებერის ნაწერებში. მხოლოდ ჯეიგერის სტუდენტების ნაშრომებში ვხედავთ მისაღებ და ერთგვარად სასიამოვნო ერთიანობას ძველბერძნული კულტურის პედაგოგიური პოტენციალის რწმენასა და საზოგადოებრივი სფეროს ობიექტურ ხედვას შორის. ამ თვალსაზრისით საინტერესო აღწერილობითი მეტაფორა ვიპოვე კარლ რეინჰარტის ციტირებისას, რომელიც, აღნიშნავდა, რომ კლასიკას სტუდენტები და მკითხველები მიჰყავდა „კართან, რომელშიც ვერასოდეს გაივლიდნენ“.<sup>39</sup>

37. იხ. ლანფესტერი, *Die Naumburger Tagung*, 17.

38. იქვე, 29-40, განსაკუთრებით 38.

39. კარლ რეინჰარტი, *Von Werken und Formen*, 1948, ციტატა უვო ჰომლერის „Strömungen“, 82. „Wer nur begeistert sein, wer aus den Quellen trinken will, der greife nicht zu diesem Buch, in dem um alles immer nur herumgeredet, alles Umittelbare umgebrochen, immer vor Turen geführt wir, in die man nicht eintritt. Mit dem Unterschied von anderen Buchern höchstens, dass darum gewubt wird.“

✠ ✠ ✠ მაქს ვებერის, შტეფან გეორგეს და ფრიდრიხ გუნდოლფის, ულრიხ ვილამოვიჩ-მოლენდორფისა და ვერნერ ჯეიგერის განხილვის (ვალარებ, ზედმეტად ნაჩქარევად) შემდეგ ჩვენ ისევ ვუპირისპირდებით ფრიდრიხ ნიცშეს გამონვევას ყველა ისტორიული ნაშრომისადმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველას, ვისაც სურს ანმყო გაახალისოს ნარსულში მოგზაურობით, გახსენების გარდა დავინყებაც უნდა შეეძლოს. მაგრამ რა არის „დასავინყებელი“ კლასიკური ფილოლოგიისა და მისი, როგორც პროფესიის თვითგანსაზღვრებებში? ტექსტები, რომელთაც მე უსარგებლოსა და სამარცხვინოს ვუნოდებ, ცდილობენ მთელი თაობების, საზოგადოებებისა და ერების „განათლებას“. ვილამოვიჩის მოხსენებები იმპერატორის დაბადების დღეზე, გეორგეს რელიგიური პროტოკოლები და რიტუალები დასავლეთის კულტურის ირგვლივ, ჯეიგერის პედაგოგიკა ერისა და კაცობრიობისათვის, ან თუნდაც უახლესი *Denkschriften*-ი, რომელიც ჰუმანიტარულ დისციპლინებს ურჩევს უფრო „ინტეგრაციულები“ და „დიალოგურები“ გახდნენ – ამ ნაშრომებიდან პირადად მე ვერც ერთი ვერ მახალისებს. იგივე ითქმის მაქს ვებერის შემოთავაზებაზე — აღვადგინოთ ისტორიული გარემოებები, რომლებიც შემთხვევიდან შემთხვევამდე შესაძლებელს ხდიან დიდ კულტურულ მიღწევებს. იქნებ შეცდომას ვუშვებთ, რომ ვყიდით, ვასამართლებთ ან ვადიდებთ ჩვენს ნაშრომს, როგორც სოციალურ ფუნქციას, რომელზეც მთელი საზოგადოების ბედნიერება ან საერთოდ გადარჩენაა დამოკიდებული. თამამად ვერ ვამბობთ, რომ ეს შესაძლებელია ჩვენი და იმ ფინანსური თავგანწირვის გარეშეც, რომელსაც ჩვენი სამუშაო ითხოვს. უფრო ზარდამცემია ის, რომ „დასავინყებელი“ ტექსტების პროგრამულ დეკლარაციაში ხშირად ენთუზიაზმის ცეცხლსაც კი ვხედავთ, განსხვავებით ძირითადი პროგრამული დებულებებისგან, სადაც ეს ენთუზიაზმი საერთოდ არ შეინიშნება.

არ მინდა სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ ნახევარი საუკუნის (მთელი ჩემი პროფესიული ცხოვრების) განმავლობაში *Erlebnis*-ის უარყოფის შემდეგ იქნებ დროა ჰუმანიტარული დისციპლინები ამ კონცეფციას დაუბრუნდნენ. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს დაბრუნება გარდაუვლად მიმართია, არის ამ ცნების შეუთავსებადობა კოლექტიურ ან სოციალურ სფეროსთან. ჩვენ შეგვიძლია „გავუზიაროთ გამოცდილება“ გამოსხატული კონცეფციებში, მაგრამ გაცოცხლებული

გამოცდილება, რომელიც აღემატება ასეთ ინტერპრეტაციას, ინდივიდუალური უნდა დარჩეს. ჩემი წინადადების ზოგად მიმართულებას ხომ არ მოჰყვება დაბრუნება ვიღაც დილთაისთან, რომელიც იყო ერთადერთი ფილოსოფოსი, „გაცოცხლებული გამოცდილების“ ცნებას ინტელექტუალური ელფერი რომ შესძინა?<sup>40</sup>

ჩემი აზრით, დილთაისათვის *Erlebnis* იყო „გარდაქმნის“ პროცესის ღერძი. გარდაქმნისა, რომელიც „ცხოვრებისეულ ობიექტიზაციას გარდაქმნის სულიერად.“<sup>41</sup> ჩვენ ვნახეთ, რომ დილთაის სურდა ეს გარდაქმნა მთლიანად მოქცეულიყო დიქტომიის ქვეშ – „მატერიალური სულიერის წინააღმდეგ“. სამწუხაროდ, ამ წინაპირობიდან ვერც ერთს ვერ ვუკავშირებ ჩვენს მუშაობას: ჩვენ რასაკვირველია, განსაკუთრებულ პრივილეგიას არ ვანიჭებთ დიდი მხატვრების, ავტორების ან ფილოსოფოსების *Erlebnis*-ს და ძალზე დაინტერესებულნი ვართ კულტურისა და კომუნიკაციის მატერიალური ასპექტებით. *გაცოცხლებული* გამოცდილების კონცეფცია ჩვენი მუშაობის ობიექტურ მხარედ კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ დავუკავშიროთ საკუთარ თავს (პროფესიონალებს) და სტუდენტებს (არ ვასხვავებ სტუდენტებს, რომლებიც პროფესიას ჰუმანიტარულ დისციპლინებში ეძიებენ და რომლებიც ამას არ აკეთებენ). და კვლავაც, მიმაჩნია, რომ *გაცოცხლებული* გამოცდილება უნდა იყოს ის, რაც სწავლებას მოჰყვება და არა ის, რაც ინტერპრეტაციამ უნდა აღადგინოს და დაიცვას.

რომ გავშალოთ *გაცოცხლებული* გამოცდილების სურათი, მივხვდებით, რატომ იწვევს სწავლება და კვლევა ინდივიდუალური *Bildung*-ის ეფექტს. როგორ უნდა მომხდარიყო ეს? ალბათ, ჩვენი და იმ სტუდენტების დაპირისპირებით, რომელთა ობიექტივიზმის იოლ სტრუქტურირებას, კონცეპტუალიზაციას და ინტერპრეტაციას ემყარება. განსაკუთრებით თუკი ეს დაპირისპირება *დროით წნეხშია მოქცეული*. ეს ფორმულა, რომელიც მაღალ ინტელექტუალურ სირთულეს გამოხატავს (და არაფერს აკეთებს ამ სირთულის აღმოსაფხვრელად), ძალზე ახლოს დგას „კითხვის“ იმ აურატიკულ კონცეფციასთან, რომელიც ჰუმანიტარების მზარდი მხარდაჭერით

---

40. *Erlebnis*-ის კონცეფციაზე ამგვარი დისკუსია ემყარება ჰანს-გეორგ გადამერის შთამბეჭდავ ქვეთავს „Der Begriff des Erlebnisses,“ გამოცემაში *Wahrheit und Methode: Grundzüge einer philosophischen Hermeneutik*, მეორე გამოცემა (Tübingen: Mohr, 1965), 60-66.

41. იქვე, 62.

სარგებლობს.<sup>42</sup> კითხვა აქ სულაც არ ნიშნავს გაშიფრვას (როგორც სემიოტიკის აღმავლობისას). ეს სიტყვა უფრო ინტელექტუალური კონტროლისა და ორიენტაციის დაკარგვასა და პოვნას შორის მერყეობის ემოციებს გამოხატავს. ჩვენი პედაგოგიური ამოცანა არ მდგომარეობს სტუდენტებთან ერთად ყოყმანში (ეს 1960-იანი წლების ფსიქოემანსიპაციური იდეალების მსგავსი იქნებოდა; რომ გავიმეოროთ რეინჰარტის სიტყვები, ჩვენ ამ კარში სტუდენტებთან ერთად არ შევალთ). ჯერ უნდა ამოვიცნოთ და მოვამზადოთ ობიექტები და შემდეგ უზრუნველვეყოთ სტუდენტების მათთან კონტაქტი. თუკი ამას მეტისმეტად ხშირად გავაკეთებთ და სტუდენტებს ჩვენს გამოცდილებას ზედმეტად გავუზიარებთ, სტუდენტები საკუთარი ინდივიდუალობის პოვნის ნაცვლად მასწავლებლის კვალს გაჰყვებიან. ფილოლოგია, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, საჭირო სირთულეს უზრუნველყოფს. რაც უფრო მაღალია რედაქტირების ფილოლოგიურობის ხარისხი, მით უფრო დისორიენტირებული, გამომწვევი და სრული იქნება კითხვა.

შეიძლება ცუდ ტონადაც კი ითვლებოდეს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ *Erlebnis*-ის არა დილთაისეული კონცეფცია, როგორც დაუმორჩილებელი და ხშირად ხელოვნურად შექმნილი სირთულის, თავსდება გეორგ ზიმელის მიერ ნაჩვენებ კავშირთან გაცოცხლებულ გამოცდილებასა და „თავგადასავალს“ შორის.<sup>43</sup> ამასთან, ვეთანხმები გადამერს, როცა აღნიშნავს კავშირს გაცოცხლებულ გამოცდილებასა და ესთეტიკის განზომილებას შორის.<sup>44</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ აკადემიური სამუშაო, რომელიც სირთულეს ენიშნავს დროითი წნეხის პირობებში, აკადემიური სამუშაო თავისი განზომილებებით (სწავლა, სწავლება და კვლევა), მიმართული ესთეტიკურობისკენ – ანუ კვლევა თეორეტიკულ ფიზიკაში, პრეისტორიულ ფრაგმენტზე ფიქრი (მაგალითად, „ფილოლოგიურად“) – ყოველივე ეს ახლოს დგას ესთეტიკურ გამოცდილებასთან. მაგრამ კიდევ ერთხელ, დავ-

42. ეს არის სტენფორდის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების იმ საპრეზიდენტო ლექციების საერთო პუნქტი, რომლებიც ტარდებოდა 1998 წლის მარტიდან 2000 წლის აპრილამდე და მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები და მეცნიერები მისი საშუალებით უმაღლესი განათლების შესახებ თავიანთ საკუთარ ხედვას წარმოადგენდნენ.

43. ზიმელის მიერ გადამერის ციტირება, *Wahrheit und Methode*, 65.

44. გადამერი, *Wahrheit und Methode*, 66.: „Am Ende unserer begrifflichen Analyse von ‘Erlebnis’ wird damit deutlich, welche Affinität zwischen der Struktur von Erlebnis überhaupt und der Seinsart des Ästhetischen besteht. Das ästhetische Erlebnis ist nicht nur eine Art von Erlebnis neben anderen, sondern repräsentiert die Wesensart von Erlebnis überhaupt.“

ფიქრდეთ ორ განსხვავებაზე. პირველი, არ ვეთანხმები იმ მიზეზებს, რომელიც გადამერს მოჰყავს გაცოცხლებულ და ესთეტიკურ გამოცდილებას შორის კავშირის დასასაბუთებლად. ერთი მხრივ, მტკიცება იმისა, რომ ეს ორგვარი გამოცდილება გვაშორებს ჩვენ „სიცოცხლის განგრძობითობასთან“, აშკარა და მნიშვნელოვანია.<sup>45</sup> მეორე მხრივ, გადამერს მიერ ნაჩვენები კავშირი ამ ორ ცნებას შორის ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ორივე მათგანი უფრო სიცოცხლის მთლიანობას ეხება, ვიდრე ცალკეულ ობიექტს. მე უფრო იმას ვემხრობი, რომ ორივე ცნება ეხება რიტუალებს, რომლებიც ხაზს უსვამენ „დისფუნქციონალიზებულ“ სურვილს.<sup>46</sup>

მეორე პოტენციური პროტესტი მომდინარეობს კარლ ჰაინც ბოჰრერისგან, რომელიც მიგვითითებს ესთეტიკური გამოცდილების „ნეგატიურობასა“ და უნივერსიტეტს (რომელმაც ჭეშმარიტება უნდა ასწავლოს),<sup>47</sup> ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ინსტიტუტს შორის არსებულ ფუნდამენტურ არათანაბარ-ზომიერებაზე. ბორერის ამ დებულებას ვეთანხმები იმაში, რომ უნივერსიტეტს არ შეუძლია ასწავლოს ესთეტიკური გამოცდილება (საერთოდ რას ნიშნავს ეს?) ან კურიკულუმის აუცილებლობად აქციოს. უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ პირობების შექმნა, რათა ესთეტიკური გამოცდილების მიღება შესაძლებელი გახდეს.

იგივე ითქმის გაცოცხლებულ გამოცდილებასა და *Bildung*-ზე, როგორც მის შესაბამის ეფექტზე. სტუდენტებს არ აქვთ არავითარი გარანტია, რომ რომელიმე ლექსი, ფილოსოფიური ტრაქტატი ან ტოლობა არ მიიყვანს მას გამომწვევ სიტუაციასთან („კითხვის კართან“). სწავლება აუცილებელია *Bildung*-ის შესაძლებლობისთვის, მაგრამ ის *Bildung*-ის ან გაცოცხლებული გამოცდილების გარანტიას ვერ იძლევა. ამისთვის საჭიროა დრო, უფრო ზუსტად კი აკადემიური პრივილეგია იმისა, რომ წარმოიშვას და არ გამოიწვიოს სწრაფი რეაქციის ან სწრაფი „გადაწყვეტის“ აუცილებლობა. ჩვეულებრივ, სპეციფიკური ინსტიტუტებისა და ინდივიდუალური მცდელობების გარეშე კი ეგ შეუძლებელია. ჩვენ უმაღლესი განათლების ინსტიტუ-

45. იქვე, 66.

46. ეს იქნებოდა ფილოლოგიური საქმიანობის შეუცნობელი ძალა.

47. ეს გაჟღერებული იყოს ბოჰრერის მიერ სტენფორდის საპრეზიდენტო ლექციაზე 1998 წლის ნოემბერში.



ტი გვჭირდება, რომელიც ყოველდღიურ ცვალებადობას სტაბილურობას შეუპირისპირებს. ამ ახალი გაგებით „კლასიკური ფილოლოგია, როგორც პროფესია“ სწორედ ამ სტაბილურობის მატარებელია, როგორც ნიციში ამბობს. სიტყვების მსგავსი მნიშვნელობის გამო შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ იგივე ითქმის აკადემიურ ინსტიტუტზე. იქნებ ეს შიშის მომგვრელადაც კი ჟღერდეს, მაგრამ ასე სულაც არ არის.



ავტორი: რედაქტირების მეშვეობით განსხეულების სურვილი, 12; რედაქტორის ჰიპოთეზები განზრახვის შესახებ, 18-19, 32, 33-35, 46; განზრახვა, 18-19, 31, 32, 47

ავტორი-სუბიექტი *იხ.* ავტორის როლები

ავტორის კონცეფცია. *იხ.* ავტორის სურათი

ავტორის პროექცია. *იხ.* ავტორის სურათი

ავტორის როლები, 31; იდენტიფიკაციის საფრთხე რედაქტორისთვის, 38; და დე მანი, 39; ფუკოსეული ისტორიზაცია, 35; და სქესი, 43-44; და ინტერპრეტაცია, 46; და ახალი ფილოლოგია, 42; არ არის აუცილებელი კომენტარისთვის, 51; განპირობებულია და ჩამოყალიბებული რედაქტორის როლით, 35; წარმოქმნილია კითხვის მეშვეობით, 35-37; წარმოშობს კითხვის სხვადასხვა სახეს და მკითხველთა სხვადასხვა ჯგუფს, 41; *იხ.* ასევე ავტორის სურათი

ავტორის სურათი: ჩამოყალიბებული ისტორიული ცოდნის

გამოყენებით, 34; როგორც კითხვის მიმართულების გამნსაზღვრელი პროექცია, 34; *იხ.* ასევე ავტორის როლები

ალიგიერი, დანტე, კომენტარები *Commedia*-ზე, 50

ალფონსო X (კასტილიის მეფე), 48, 49

არნოლდი, მეთიუ, 7, 58, 59

არსებობა: თანამედროვე დამოკიდებულება, 17; სურვილი, ფილოლოგიური საქმიანობით გამოწვეული, 11-12; ისტორიული წარსულის, 67-68; ტექსტის, 20; შუა საუკუნეების ქრისტიანული რიტუალები, 16

არსებობის კონცეფცია, ჰეიდელგერის, 16-17

აუერბახი, ერიხი, 6-7

*ანმეოს ფილოსოფია* (მიდი), 23-25

ახალი ისტორიციზმი, 67

ახალი კრიტიკა, 9, 60

ახალი ლიტერატურული ისტორია, 60

ახალი ფილოლოგია, 41-42

*Aufbau der geschichtlichen Welt in den Geisteswissenschaften, Der* (დილთაი), 77

ბენი, სტივენნი, 12, 25  
 ბენჯამინი, უოლტერი, 14-15, 15,  
 17-18, და აურას კონცეფცია,  
 65შენ.; *ცალმხრივი ქუჩა (Ein-  
 bahnstrasse)*, 14, 14შენ.  
 ბლუმი, ჰეროლდი, 63-64  
 ბოჰრერი, კარლ ჰაინცი, 86  
 ბურდო, პიერი, 64  
*Bildung*, ჰუმანისტური: დაცემა,  
 54, 73; როგორც გაცოცხლებ-  
 ული გამოცდილების შესაბამ-  
 ისი ეფექტი, 86; სწავლებით  
 და კვლევით გამოწვეული, 84;  
 დამატებითი მოთხოვნა, 55;  
 მისი ღირებულებები, 70, 82.  
 იხ. ასევე *Erlebnis*

გადამერი, ჰანს-გეორგი: წარმო-  
 სახვასთან დაკავშირებული  
 სიფრთხილის შესახებ, 26-27;  
*Erlebnis*-ის შესახებ, 83შენ.,  
 85-86; მის მიერ *klassisch*-ის  
 გამოყენება, 63  
 გამოსახულება, 16-17. იხ. ასევე  
 გამოსახულების კრიზისი  
 გამოცდილება, ესთეტიკური: და  
 აკადემიური სამუშაო, 85-87;  
 წარმოსახვისა და სხეულის  
 შეგრძნებასთან დაკავშირე-  
 ბული, 24; და ფილოლოგია, 13  
 გარსია ლორკა, ფედერიკო, 43  
 გაცოცხლებული გამოცდილება.  
 იხ. *Erlebnis*

გეორგე, სტეფანი: მისი გავ-  
 ლენა ჰუმანიტარულ დისცი-  
 პლინებზე გერმანიაში, 72,  
 78-79; და ვერნერ ჯეიგერი,

81; დილთაის იდეებთან სიახ-  
 ლოვე, 80  
 გრინბლაცი, სტივენნი, 67  
 გუნდოლფი, ფრიდრიხი: და  
 შტეფან გეორგე, 78-79; და  
 „*Erlebnis als Methode*“, 79

დე მანი, პოლი: გრამატიკული  
 კითხვის შესახებ, 37; კითხვის  
 ტექნიკა, 39-40; „თეორიისად-  
 მი წინააღმდეგობის“ შესახებ,  
 32, 37-38; და თეორეტიკული  
 კითხვა, 31-32 დეკონსტრუქ-  
 ცია: და კომენტარი, 53-54;  
 გავლენა ლიტერატურულ  
 დისციპლინებზე აშშ-ში, 60-61  
 დე სანკტი, ფრანჩესკო, 58  
 დერიდა, ჟაკი: ჰუსერლის  
 კრიტიკა, 53შენ.; და დეკონ-  
 სტრუქცია, 53-54, 67  
 დილთაი, ვილჰელმი: *Der Aufbau  
 der geschichtlichen Welt in den  
 Geisteswissenschaften*, 76-77;  
*Erlebnis*-ის კონცეფცია, 77-79,  
 79, 84-85; *Das Erlebnis und  
 die Dichtung*, 78; და ვერნერ  
 ჯეიგერი, 81-82; ჰუმანიტა-  
 რული დისციპლინებისთვის  
 განკუთვნილი პროგრამა,  
 70-71, 76-79

ესთეტიკური გამოცდილება. იხ.  
 გამოცდილება, ესთეტიკური  
*Einbahnstrasse*. იხ. *ცალმხრივი  
 ქუჩა*, ბენჯამინი, უოლტერი  
*Erlebnis und die Dichtung*, *Das*  
 (დილთაი), 78

ვატიმო, ჯანი, „სუსტი აზროვნების“ შესახებ, 42შენ., 55  
ვებერი, მაქსი: მეცნიერული ანალიზის შესახებ, 79; „Wissenschaft als Beruf“, 72, 73, 74-76, 80

ვილამოვიჩი-მოლენდორფი, ულრიხ ვონ, 72, 80-81, 82; *Reden und Vorträge*, 80

ვილჰელმ I (პრუსიის მეფე, გერმანელი იმპერატორი), 80  
*Wahrheit und Methode* (გადამერი). 26-27, 83შენ., 85-86

„Wissenschaft als Beruf“ (ვებერი), 72, 73, 74-76, 80; როგორც ემბლემური დოკუმენტი, 80; მეცნიერული ანალიზის დაყინება, 79

ზიმელი, გეორგი, 85

ინტერპრეტაცია: კომენტარი, როგორც მისი დამხმარე ფუნქცია, 45; როგორც ჰუმანიტარულ დოსციპლინათა ძირითადი საქმიანობა, 76-78; მისი განსაზღვრული ხასიათი, 46; გადამერისეული განმარტება, 26-27; როგორც მოცემული მნიშვნელობის განსაზღვრა, 45; იურიდიული კომენტარი როგორც, 52; ჰერმენევტიკის მიერ მოცული ტექსტუალური საქმიანობა, 9; მისი ტოპოლოგია, 47

ისერი, ვოლფგანგი: „ფარული მკითხველის“ კონცეფციის

შესახებ, 36; წარმოსახვის სპონტანურობის შესახებ, 27-28

ისტორიზაცია: როგორც კომპლექსურობა, 64; მისი კორელაცია ერის წარსულ დიდებასთან, 57-58; კლასიკის დისციპლინებში, 59; და *klassisch*-ის გადამერის კონცეფცია, 63-64; ბრიტანეთისა და აშშ-ს ეროვნულ ფილოლოგიებში, 59-62; როგორც ფილოლოგიის ძირითადი საქმიანობის წინაპირობა, 8, 10; მისი წინაპირობები, 63; სიკვდილთან და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლესთან კავშირი, 66-68; და წარსულის ობიექტების წმინდა ობიექტებად შერაცხვა, 12, 65. *იხ. ასევე* ახალი ისტორიციზმი; *ახალი ლიტერატურული ისტორია*; ფრანკფურტის სკოლა

კანტი, იმანუელი: *Kritik der Urteilskraft*, 24

კითხვა: და დეკონსტრუქცია, 60; გრამატიკული, 37; ლიტერატურული, 37, 57; ახალი კრიტიციზმი და, 60; როგორც ინტელექტუალური კონტროლის დაკარგვასა და პოვნას შორის მერყეობა, 64შენ., 85; მისი პედაგოგიკა, 57; ფილოლოგიური, 37; თეორეტიკული, 31-32; ავტორის

სურათის გამოყენება, 34-35  
კლასიკა (აკადემიური დისციპლინა): ისტორია, 9, 59; და ფილოლოგია, 9-10; როგორც პროფესია, 72-87. *იხ. ასევე* ფილოლოგია, კლასიკური კომენტარი: ესთეტიკურობა, 48-49; მისი ანონიმურობა, 51; როგორც ფილოლოგიის ძირითადი საქმიანობა, 8, 9-10; და კანონიზაცია, 51; თანამედროვეობაში აღორძინება, 54-56; დანტეს *Commedia*-ზე, 50; და დეკონსტრუქცია, 53-54; და არსებობის სურვილი, 12; და ელექტრონული მედია, 55-56; და ინტერპრეტაცია, 46; იურიდიული, 52; როგორც განსხვავებული კულტურული კონტექსტების დამაკავშირებელი, 45; რიტმი, 49; სტრუქტურული პრინციპი, 48-49; ტოპოლოგია, 47-48; გაურკვეველობა, 46  
კონსერვატიული რევოლუცია, 16-17  
კოჟევე, ალექსანდრე, 68  
კოსელეკი, რეინჰარტი, 66  
კრიზისი, გამოსახულების, 16, 18  
კურტიუსი, ერნსტ რობერტი, 6-7  
*Klassisch. იხ.* ისტორიზაცია: და *klassisch*-ის გადამერისიკული კონცეფცია  
Kritik der Urteilskraft (კანტი), 24  
  
ლაკანი, ჟაკი: და „დამიანის თვალის სიხარბე“, 24-25

ლახმანი, კარლი, 42  
ლიოტარდი, ჟან-ფრანსუა, 24  
ლორკა, ფედერიკო გარსია. *იხ.* გარსია ლორკა, ფედერიკო ლუმანი, ნიკლასი, 66  
*L'Imaginaire* (სარტრი), 21-22, 26-27  
  
მაკინტაირი, ალასდაირი, 41  
მარქსიზმი: დასასრული, 66; ფრანკფურტის სკოლა და, 61  
მენენდეს პიდალი, რამონი: სარედაქტორო საქმიანობა, 29-31, 38-39; მისი გავლენა ესპანურ ეროვნულ ფილოლოგიაზე, 29, 43, 58; დროებით მხედველობის დაკარგვა, 30  
მიდი, ჯორჯ ჰერბერტი, ნარმოსახვისა და მატერიალური ობიექტების შესახებ, 23-25  
მკითხველები: გჯოფები, 41; მოთხოვნები, 46; განჭვრეტის შეუძლებლობა, 49  
მკითხველი-სუბიექტი. *იხ.* მკითხველის როლები  
მკითხველის როლები: იდენტიფიკაციის საშიშროება, 38; გამოყენების შესაძლებლობა, დე მანის საქმიანობა, 39; როგორც რედაქტორის როლით განპირობებული, 35; კითხვის პროცესში წარმოქმნილი, 36-37  
მოსტი, გლენი, 9  
  
ნენსი, ჟან-ლუკი, 17, 20  
ნიცშე, ფრიდრიხი, 67; და ვერნერ

- ჯეიგერი, 81; კულტურის ფილოლოგია, 80; და კლასიკური ფილოლოგიის უდროობა, 71-73, 81
- Nachdichten*. იხ. *Nachdichtung*
- Nachdichtung*, 33, 40, 43
- Neuphilologien*, 56, 57, 59
- პარისი, გასტონი, 58
- პლატონი, 8
- პრაგმატიკა, ტექსტუალური, 31-32
- რედაქტირება: ავტორზე ორიენტირებული, 35; როგორც ფილოლოგიის ძირითადი საქმიანობა, 8, 9-10; და სქესი, 43-44; და ისტორიული პერიოდები, 43; ავტორის და მკითხველის როლებთან იდენტიფიკაცია, 38, 39-40; და ეროვნული კულტურა, 43; და ახალი ფილოლოგია, 41-42; სიმრავლისეული მიდგომა, 41; მისი იმანენტური და პრაგმატული ფორმები, 31-32; როგორც ავტორი-სუბიექტისა და მკითხველი-სუბიექტის წარმომქმნელი, 36; როგორც ტექსტის განსხეულების სურვილის წარმომშობი, 12; როგორც მნიშვნელობის წარმომქმნელი, 32-33; რედაქტორის და ავტორის როლების გამოყენება, 30-32, 35; იხ. ასევე ავტორი; ავტორის სურათი; ავტორის როლები, მკითხველის როლები
- რედაქტორი-სუბიექტი. იხ. რედაქტორის როლები
- რედაქტორის როლები: და ავტორის და მკითხველის როლები, 35-36; შემადგენლობა, 30-31, 32-33, 35-36; სქესის მიხედვით სპეციფიკური, 43-44; და ახალი ფილოლოგია, 42; მისი ხილვადობა, 33; იხ. ასევე ავტორის სურათი; ავტორის როლები; მკითხველის როლები
- რეინჰარტი, კარლი, 82, 85
- რიჩარდსი, ი.ა., 7
- Reden und Vorträge* (ვილამოვიჩი), 30
- სარტრი, ჟან-პოლი, 21-22, 27
- სინგლტონი, ჩარლზი, 7
- სპიტზერი, ლეო, 6-7, 79შენ.
- სწავლება: კლასიკის ფუნქცია, 82; ფილოლოგიის ძირითადი საქმიანობებით ნავარაუდევია, 8, 9; და სირთულის უზრუნველყოფა, 85; წარმატებული, 12; გაცოცხლებული გამოცდილების გამოწვევა, 84; ვებერის შეხედულებები, 74-76. იხ. ასევე *Bildung*; კლასიკა (აკადემიური დისციპლინა); *Erlebnis*; ჰუმანიტარული მეცნიერებები (აკადემიური დისციპლინა); ფილოლოგია, კლასიკური; ვებერი, მაქსი
- Siete Partidas, Las*, 48, 49
- ტექსტუალური პრაგმატიკა. იხ. პრაგმატიკა, ტექსტუალური

ფილოლოგია: და ესთეტიკური გამოცდილება, 13; სიმრავლის კონცეფცია, 40-41; განმარტება, 6-7; დე მანთან კავშირი, 39-40; ფრაგმენტების მიმართ ინტერესი, 18; ჰერმენევტიკის წინააღმდეგ, 9; ნორმატიული ფუნქციები, 58; მისი ძალა, 9-12, 13; ფილოლოგიური საქმიანობა, 8, 33, 45; და საჭირო სირთულის უზრუნველყოფა, 85; რედაქტორის როლის წარმოქმნა, 35; ხელახალი ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ევროპაში, 54, 56-57, 59; სკოლები, 31; სტილები, 42-43; წარმოსახვის გამოყენება და აკადემიური რაციონალურობა, 27; მისი გამოყენება, 8-9. *იხ. ასევე* კომენტარი; ფრაგმენტები; რედაქტირება; ისტორიზაცია; სწავლება

ფილოლოგია, ესპანური, 29-31, 43-58

ფილოლოგია, კლასიკური: და ვერნერ ჯეიგერი, 81-82; როგორც პროფესია, 72, 86; მისი მდგომარეობა მე-20 საუკუნის დასაწყისში, 76-82; მისი უდროობა, 73; *იხ. ასევე* კლასიკა (აკადემიური დისციპლინა)

ფილოლოგია, რომანული, 56-57. ფრაგმენტები: და ტექსტის გარეგნული მხარე, 20; გატაცება მისით, 17-18; მისი იდენტიფიკაცია ფილოლოგიის

ძირითად საქმიანობად, 8; და წარმოსახვა, 18, 21-25, 27-28; სიტყვიერი მადა, როგორც დანიშნულების მოდელი (ბენი), 25; როგორც ფლობის და არსებობის სურვილის წარმოქმნელი, 12; ტიპოლოგია, 19

ფრანკფურტის სკოლა, 61  
ფუკო, მიშელი: ავტორის კონცეფციის ისტორიზაციის შესახებ, 35; ისტორიოგრაფია, ლიტერატურული დისციპლინები აშშ-ში, 61

Freistudentische Bund, 73-74

*Querelle des Anciens et des Modernes*, 59

შვაბი, ალექსანდრე, 73

*ცალმხრივი ქუჩა* (ბენჯამინი), 14, 14შენ.

ცენზურა, ფრაგმენტაციის მისთვის დაქვემდებარება, 19

*Cantar de mio Cid, El*, 29, 58

*Commedia* (დანტე), კომენტარები მასზე, 50

ძალა: ცნება, 11; და ფილოლოგია, 11-12, 69შენ.

წარმოსახვა: მასზე მატერიალური ობიექტების გამაძლიერებელი ეფექტი, 20, 22-25; მისი სამეცნიერო მეთოდებიდან გამორიცხვა, 26-27; და ფრაგმენტები, 18;

- მისი მნიშვნელობა რე-  
დაქტირებისას, 10; მენენდეს  
პიდალის ფილოლოგიურ  
საქმიანობაში, 30-31; მკითხ-  
ველის, 33; სარტრის მსჯელო-  
ბა საკითხის შესახებ, 21-23;  
სპონტანურობა, 27-28
- ჯეიგერი, ვერნერი: კლასიკური  
ფილოლოგიის შესახებ, 73,  
81-82; და *paideia*-ს კონცეფ-  
ცია, 82
- ჰამფრი, სალი, 33
- ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდ-  
რიხი, 67, 68
- ჰეიდეგერი, მარტინი: სიკვდილი-  
სა და სიკვდილის შემდგომ სი-  
ცოცხლის შესახებ, 66-68; და  
„მოსანოდებლად გამზადებუ-  
ლი“, 24, 63; და განახლებული  
ფილოსოფიური დამოკიდებ-  
ულება სიახლოვესთან, 16-17;  
*იხ. ასევე* კონსერვატიული  
რევოლუცია
- ჰეიდელბერგის ციხესიმაგრე, 14,  
15, 17-18
- ჰერდერი, იოჰან გოტფრიდი, 81
- ჰერმენევტიკა: დილთაის და  
გეორგეს წრე, 78; მისი პარა-  
დიგმათა წინამძღვრებიდან  
ჰუმანიტარული დისცი-  
პლინების გამომდინარეობა,  
13; ფილოლოგიის წინააღმ-  
დეგ, 9. *იხ. ასევე* ინტერპრე-  
ტაცია
- ჰუმანიტარული დისციპლინები  
(აკადემიური დისციპლინა):  
დილთაის აქცენტი ინტერ-  
პრეტაციაზე, 75-79; შეფასე-  
ბა, 69-72; შტეფან გეორგეს  
წრის გავლენა, 78-79; საზ-  
ღვრები, 13; დეკონსტრუქცი-  
აზე რეაქცია, 53; და *Erlebnis*-  
ის კონცეფციაზე მიბრუნება,  
82-87; მაქს ვებერის ხედვა,  
73-76; დამახასიათებელი კომ-  
პლექსურობის სურვილი, 64
- ჰუსერლი, ედმუნდი: და *Leb-  
enswelt*-ის კონცეფცია, 68 შენ.,  
დერიდას მიერ მისი კრიტიკა,  
53 შენ.; „დროითი ობიექტები  
შესაბამისი გაგებით,“ 15 შენ.,  
62





